ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№292 (351) 11-18 ნოემბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

“სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა” — აკაკი შანიძე

რა საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა ალექსანდრე ჭაჭია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?

წარსულის გახსენება წარსულში ჩარჩენას არ ნიშნავს

რა და რისთვის უნდათ ამერიკელებს საქართველოში? ამერიკას სჭირდება **ნატო**-ს ეგიდით საქართველოში თურქული სამხედრო ბაზის განლაგების შესაძლებლობა იმ მიზნით, რომ გააძლიეროს დაძაბულობა რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე; მეორეც – მთლიანად აკონტროლოს ნავთობ და გაზსადენები; მესამე – ირანთან სამხედრო მოქმედების გაშლის შემთხვევაში, გამოიყენოს ქართული სამხედრო აეროდრომები, რომელთაც, უკვე კარგა ხანია, თურქები აკონტროლებენ. ამ ამოცანების გადასაჭრელად არც აფხაზეთი, არც სამხრეთ ოსეთი საჭირო არ არის.

ამიტომ ძალიან მაწუხებს, თუ როგორ აპირებს საქართველოს ხელმძღვანელობა **ნატო**-ში შესვლის საკითხის მოგვარებას, უფრო სწორად, რა პირობებს უკარნახებს მას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ძალიან მაფიქრებს, რომ სოხუმში ყოფნისას აშშ-ის ელჩმა ტეფტმა მოიწონა და პროგრესული უწოდა კონფლიქტის მოგვარების აფხაზურ გეგმას, რომელიც შემდეგ თბილისში სერგეი შამბამ ჩამოიტანა. გეგმის პირველივე პუნქტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ითვალისწინებს.

მაშ, ვისთვის არის ეს გეგმა პროგრესული? არ გამიკვირდება, თუ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ გოგობიჭები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ე. წ. დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაიწყებენ **«რუსთავი 2»**-ის ეთერში გამოსვლებს **ნატო**-ში ნებისმიერ, თუნდაც სადავო ტერიტორიებზე დროებით უარის თქმის ფასად შესვლის შესახებ, რომელთაც შემდეგ **ნატო** აუცილებლად დაგვიბრუნებს. წლის ბოლოსთვის კოსოვოს პრობლემაც ამერიკული სცენარით გადაწყდება. ასე რომ, **«მსოფლიო თანამეგობრობა»** ტერიტორიული დავის **«ცივილიზებული გადაწყვეტის»** რეალურ პრეცენდენტზე ლაპარაკს შეძლებს. ქართველი დემოკრატები კი, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ცივილიზებულნი არიან...

ძალზე სახიფათოა, რომ რუსულ პოლიტიკურ წრეებშიც მატულობს კოსოვოს სცენარის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში. არსებობენ ძალიან გავლენიანი ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველო უნდა გაიყოს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კი მათი გავლენის ქვეშ დარჩეს. მეც და ჩემი ბევრი მეგობარი ვცდილობთ, დავარწმუნოთ რუსი პოლიტიკოსები, რომ აფხაზეთის მოწყვეტა დანარჩენი საქართველოსგან ვერ გადაწყვეტს რუსეთის სამხრეთის სტრატეგიული უსაფრთხოების პრობლემას. თურქეთის ხელისუფლების გახშირებული კონტაქტები აფხაზეთთან, პირდაპირი მიმოსვლის აქტივიზაციის სურვილი მეტყველებს თურქეთის განსაკუთრებულ ინტერესზე ამ რეგიონის მიმართ. უეჭველია ისიც, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთი სერიოზულ სტიმულად იქცევა ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანების პროცესისთვის ამ რეგიონის შემდგომი სეპარატიზაციის მიმართულებით, რაც, დიდი ხანია, თურქეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის სტრატეგიულ გეგმებში შედის. მაგრამ ყველა ეს არგუმენტი – ნატო-სკენ სწრაფვასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მანიაკალური განცხადებების ფონზე – ყოველგვარ ძალასა და დამაჯერებლობას კარგავს. თუ რუსეთი და შეერთებული შტატები საქართველოს გაჟოფაზე მოილაპარაკებენ, ეს დიდი უბედურება იქნება.

– სააკაშვილისა და პუტინის პეტერბურგში შემდგარმა შეხვედრამ ვერანაირად ვერ იმოქმედა რუსულ-ქართული ურთიერთობების ხასიათზე?

– ვერ იმოქმედა და ვერც იმოქმედებდა. მაოცებს, როგორ შეიძლებოდა ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა. შეხვედრა აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო. ასეთი რამ იშვიათია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა პრაქტიკაში. მე ვიცი, რომ საქართველოს საელჩო რუსეთში, დიპლომატიური სამუშაოს გარდა, ყველაფრით არის დაკავებული, მაგრამ გაუგებარია, რას აკეთებს საგარეო საქმეთა სამინისტრო და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ნათელია, რომ სერიოზული შეთანხმებისთვის ბაზად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ საქართველოს თანხმობა, რუსეთ-საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულებაში ჩაიდოს ქართული მხარის ვალდებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო კონტინგენტები არ განთავსდება. ამგვარი საერთაშორისო ვალდებულების გარეშე აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა ვერ მოგვარდება. ისიც ნათელია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ამაზე ვერ წავა, რადგან ეს, ასე ვთქვათ, ამერიკული კომპეტენციის საკითხია. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ საქართველო ფორმალური დამოუკიდებლობის 15 წლის თავზეც ვერ გახდა საერთაშორისო ურთიერთობათა დამოუკიდებელი სუბიექტი, მაგრამ ეს ფაქტია და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ორმხრივი თანამშრომლობის გარკვეული საკითხები (ქართული პროდუქციისთვის ბაზრის გახსნა, ერთობლივი ეკონომიკური პროექტები, სავიზო რეჟიმის შემსუბუქება, პუტინის თანხმობა საქართველოში სტუმრობაზე და სხვ.) წარმატებით შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ვიზიტის სათანადო მომზადებისა და სხვადასხვა დონის მხარდაჭერის ამოქმედების შემთხვევაში. მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელი ხელისუფლების რეალური პოლიტიკა პრიმიტიული პიარაქციების დონეზეა დასული, რაც, ცხადია, ქვეყნისთვის დამღუპველია. თუმცა ბუტაფორია საქმიანობის ყველა სფეროს განუყოფელ ნაწილად იქცა.

– როგორ მოგეწონათ სამხედრო აღლუმი?

– მე მახსოვს სამარცხვინო აღლუმი, რომელიც შევარდნაძემ აფხაზეთის ჩაბარების შემდეგ გამართა და იმის შემდეგ აღლუმებს აღარ ვუყურებ. რა ეაღლუმება ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიის მესამედი დაკარგული აქვს? არმიის ძალა მწყობრ ნაბიჯში და საბრძოლო შეძახილებში კი არ არის, არამედ მის უნარში – უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და უსაფრთხოება.

– ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ახალ წელს ცხინვალში შევხვდებით. როგორ ფიქრობთ, თუ ეს არ მოხდა, გადადგება?

– მახსოვს, აფხაზეთში გაგანია ომისას მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ხაინდრავა იფიცებოდა, ახალ წელს ბიჭვინთაში შევხვდებითო და სინდისმა არ დაუშალა, ახალ ხელისუფლებაშიც კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო მინისტრის პოსტი დაეკავებინა.

რაც შეეხება ჯარს, პრობლემა გაცილებით ღრმა და არსებითია, ვიდრე ბუტაფორული აღლუმების ჩატარება. ჩვენ დღემდე არ ვიცით, რა საჭიროა არმია და, შესაბამისად, როგორი უნდა იყოს იგი. დღეს საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი, რამდენადაც ვიცი, 200 მილიონ ევროს, ანუ თითქმის 500 მილიონ ლარს შეადგენს. ეს დაუშვებელი ფუფუნებაა დატაკი ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს პარალიზებული ეკონომიკა და უმუშევრობის კოლოსალური დონე. ამის **“დაშვება”** კიდევ შეიძლება, დაკარგული ტერიტორიების ძალის გამოყენებით დაბრუნება ჩვენი პირველხარისხოვანი ამოცანა რომ იყოს, მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ რუსეთთან და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ჩვენი ამჟამინდელი ურთიერთობების პირობებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალის გამოყენებით დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა მარცხისთვის არის განწირული? მეტიც, – საქართველოს ვერასოდეს ეყოლება არმია, რომელიც ისეთ მოწინააღმდეგეს შეერკინება, როგორიც რუსეთია. მე მგონი, ეს ცხადია. გარდა ამისა, აშშ, ნატო, ევროპული სტრუქტურები კატეგორიულად გამორიცხავენ ჩვენი კონფლიქტების ძალის გამოყენებით გადაწყვეტას. თუმცა, ამავე დროს, ქართული არმიის მშენებლობასა და წვრთნას აფინანსებენ. რაში სჭირდება ნატო-ს 12 ათას 500 ქართველი ჯარისკაცი? ბუნებრივია, ეს ნატო-ს არ სჭირდება, მაგრამ ერთი ქართული ბატალიონის ერაყში გაგზავნა ამერიკელებს წელიწადში 300 მილიონი დოლარის ეკონომიას აძლევს, ანუ საკუთარი ჯარისკაცების გაგზავნა და შენახვა მათ 300 მილიონი დოლარით უფრო ძვირი დაუჯდებოდათ. სხვათა შორის, ჩვენს ჯარისკაცებს საყარაულო ფუნქციისთვის წვრთნიან. დღეს ერაყში 852 ქართველი სამხედროა. იაპონელებმა კი ამ დღეებში ერაყიდან საკუთარი კონტინგენტის გაყვანის შესახებ განაცხადეს. ბუნებრივია, ამერიკელებს ხელს აძლევს საკუთარი მიზნებისთვის სხვისი, მით უფრო, იაფი ჯარისკაცების გამოყენება. ვფიქრობ, მალე ქართული კონტინგენტი გაიზრდება.

არმიასთან დაკავშირებით კიდევ ერთ კაზუსთან გვაქვს საქმე. საქართველოს ხელმძღვანელობა კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვს, ამის პარალელურად კი არმიის გაძლიერების, ცხინვალში ახალი წლის შეხვედრის და სხვა ამის მსგავს განცხადებებს აკეთებს. ამით ჩვენ მსოფლიო საზოგადოებრიობას ვამცნობთ, რომ მშვიდობისმყოფელთა გაყვანის შემდეგ ომს დავიწყებთ. განა ეს ნორმალურია? გამოდის, სამშვიდობო ძალების გაყვანას იმიტომ მოვითხოვთ, რომ ისინი ომის დაწყებაში გვიშლიან ხელს, მაგრამ მათი მოვალეობა ხომ სწორედ ეს არის!

– თქვენ ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი ბრძანდებით, რომელმაც აშშ-ის საელჩოსთან საპროტესტო მიტინგი გამართა ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ. რა გამოძრავებდათ?

– ერაყში ომის წინააღმდეგ ნახევარი მსოფლიო გამოდის – იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც თავისუფალი არიან აშშ-ზე კოლონიური დამოკიდებულებისგან, არაანგაჟირებული საერთაშორისო ორგანიზაციები, უბრალოდ, წესიერი ადამიანები სხვადასხვა სახელმწიფოდან ამ ომს ეწინააღმდეგებიან. ყველაზე მძლავრი დემონსტრაციები, სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში გაიმართა. საქართველოში მთავრობაც და პოლიტიკური პარტიებიც ამერიკელებს შესაცინებენ თვალებში და ამ მხეცურ აგრესიას მიესალმებიან. ერაყში შეჭრა ყველა პატიოსანი ადამიანისთვის მრავალი მიზეზის გამო არის მიუღებელი. ჯერ ერთი, ამერიკელებმა ეს თვითნებურად – გაეროს სანქციის გარეშე ჩაიდინეს, ანუ ფეხქვეშ გათელეს მსოფლიო მართლწესრიგი, საერთაშორისო სამართალი, რომელიც ასე თუ ისე, უზრუნველყოფდა მსოფლიოში სტაბილურობასა და გლობალურ უსაფრთხოებას. მეორეც, ამერიკელებმა იმის დემონსტრირება მოახდინეს, რომ ცალკეული ქვეყნების სუვერენიტეტი ფიქციაა და სხვა სახელმწიფოზე თავდასხმა შეიძლება მხოლოდ **«ძალის უფლებით»**, ანუ მსოფლიო საყოველთაო ქაოსის საფრთხის წინაშე დააყენეს. მესამეც, ისინი ატყუებდნენ საკუთარ ხალხსაც და მთელ მსოფლიოსაც, რომ სადამი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობს, თუმცა დანამდვილებით იცოდნენ, რომ ეს ასე არ იყო. ისინი მხოლოდ საკუთარი ნავთობინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, მათ შორის, ოჯახური ბიზნესის ინტერესებით, როგორც, მაგალითად, პრეზიდენტი ბუში და ვიცეპრეზიდენტი ჩეინი. ახლახან აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ბოდიში მოიხადა მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე იმის გამო, რომ იძულებული იყო, საჯაროდ ეთქვა ტყუილი ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. სინდისმა შეაწუხა კაცი. სხვათა შორის, იმ პერიოდში შევარდნაძემ მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ თავისი დაზვერვის მიერ მოპოვებული უცილობელი მონაცემები აქვს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. მაშინ ევროპაში ბევრი იცინეს მლიქვნელი მარიონეტის ყალბ ტიტინზე. დარწმუნებული ვარ, შევარდნაძეს სინდისი ვერ აიძულებს, ბოდიში მოიხადოს. მეოთხეც, ერაყში შეჭრით ამერიკელებმა სტიმული მისცეს მსოფლიოში ბირთვული შეიარაღების ახალ რბოლას, რადგან ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელსაც არ უნდა ამერიკის კოლონიად იქცეს, ნათელი გახდა, რომ ამერიკის თავდასხმისგან თავის გადასარჩენად ბირთვული იარაღი უნდა იქონიონ. ერაყს რომ მართლაც ჰქონოდა ბირთვული იარაღი, ამერიკელები არასდროს შეყოყდნენ იქ ცხვირს. ერაყის ბედი აიძულებს დღეს ირანს ბირთვული პროგრამის ფორსირებას. მეხუთეც, ერაყის ომით ამერიკელებმა გააღვივეს ცივილიზაციური წინააღმდეგობანი ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის, რომლის შემდგომმა ესკალაციამ მსოფლიო საყოველთაო კატასტროფამდე შეიძლება მიიყვანოს. მისი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი, შესაძლოა, სწორედ საქართველო გახდეს. მეექვსეც, ამერიკელებმა სრულიად და დიდი ხნით მოახდინეს არა მარტო დემოკრატიის იდეის, არამედ თვით სიტყვა **“დემოკრატიის”** დისკრედიტაცია; როცა 50-100 მშვიდობიანი ერაყელის ყოველდღიური დაღუპვის ფონზე ბუში **“ერაყული დემოკრატიის”** ფორმირებაში ამერიკელთა წარმატებებზე საუბრობს, **“დემოკრატია”** და **“კაციჭამობა”** ადამიანთა ცნობიერებაში იდენტურ ცნებებად იქცევა. მეშვიდეც, გარდა ათი ათასობით ადამიანის მკვლელობისა, ამერიკელებმა დაბომბვებით კაცობრიობის ისტორიის უდიდესი ძეგლები, ფაქტობრივად, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი გაანადგურეს, მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმები გაძარცვეს, კაცობრიობას, პრაქტიკულად, წაართვეს მისი ისტორიის მთელი პლასტი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

15 ნოემბერს 1 საათზე სოფელ მუხურში (ჩხოროწყუს რაიონი) შედგება გახარიების გვარის შეკრება.

ვეპატიჟებით ყველა გახარიას!

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 599-72-85-91

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

დიდი ხანია ქართველ ისტორიკოსთა ინტერესს იწვევს ვახუშტის მიერ აბაშის ნაპირზე მითითებული **„სახარია“**, სადაც ყოფილა **„ციხე და სასახლე დადიანისა“** (იქვე: 776-777). სად მდებარეობდა ვახუშტისეული სახარია? აღნიშნული პუნქტის ლოკალიზაციის შესახებ გამოთქმულია რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. გ. ელიავამ ტოპონიმი **„სახარია“** სალხინოსთან გააიგივა. ჩანს, რომ მკვლევარი სალხინოსა და სახარიას იგივეობას ამ ორი სახელწოდების ფონეტიკური მსგავსებით ხსნიდა (ელიავა 1971: 82). ეს მოსაზრება გაიზიარეს გოგილო და დემურ ბასილაიებმა (ბასილაია, ბასილაია 2008: 29-30).

პ. ზაქარაიამ და თ. კაპანაძემ სახარია ბანძის უკიდურეს ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირას მდგარი ციხე-დარბაზის სახელწოდებად მიიჩნიეს; თუმცა, სრულიად სამართლიანად, მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანისგან თავი შეიკავეს. **„ეს ის ადგილია თუ არა, ამის ზუსტად დადგენა ძნელია, ასეთი ტოპონიმი დღეს არ არსებობს“**, – წერენ ისინი (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 234).

საქმე ისაა, რომ ბანძის ციხე შეუძლებელია სახარიად მივიჩნიოთ და ეს კარგად ჩანს თვით ვახუშტის ცნობიდან, რომელიც წერს: **„ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“** (ვახუშტი IV, 1973: 776). ბანძა აბაშის ხეობაში მდებარეობს. ციხის ნაშთი, როგორც აღვნიშნეთ, ბანძის ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირზე, ველზე დგას და ნოჯიხენის სახელწოდებითაა ცნობილი. ესაა სოფლის სახელის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტიც. ნაჯიხუ, ნოჯიხენი მეგრულში **„ნაციხარს“** ნიშნავს (ჯიხა **„ციხე“**). ამრიგად, ეს სახელი სავსებით შეეფერება ციხის ნაშთებსაც. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ვახუშტის დროს და უფრო ადრეც, ციხის სახელი ნოჯიხენი ვერ იქნებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ციხის არსებობის პერიოდში სოფელს ჯიხა ერქვა, ხოლო მას შემდეგ, რაც, აქ მდგარი ნაგებობები დაინგრა, სოფელსაც ნოჯიხენი ეწოდა. ეს უნდა მომხდარიყო XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში (ზაქარაია, ლომოური... 1984: 55).

ჩვენი ფიქრით, ციხის გარშემო მდებარე დასახლების სახელწოდება ნოჯიხენამდე ბანძა უნდა ყოფილიყო. ეს სავსებით დამაჯერებელი ვარიანტია მაშინ, თუკი გავითვალისწინებთ იმ საგულისხმო გარემოებას, რომ ბანძა, გვიან შუა საუკუნეებსა და, შემდეგაც, XIX საუკუნეში, მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას აბაშიდან ცხენისწყლამდე (კეკელია 9, 2002: 7; 6, 2005: 14). სწორედ ამიტომ უნდა მიუთითებდეს ვახუშტი ცხენისწყლის დასავლეთით ბანძას **„კეთილნაშენი“** ციხით.

ძეგლი, რასაც ვახუშტისეულ ბანძის ციხედ მივიჩნევთ, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ბანძის თემის უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეს, ლეხაინდრავოს თემის სოფ. ნოჯიხევში, აბაშის მარცხენა მხარეს მდებარე შემაღლებაზეა. ციხის გეგმა მოზრდილი ოვალია. მის მახლობლად აგებული პალატი ოთახებიან შენობას წარმოადგენდა, რისიც მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევებია შემორჩენილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნოჯიხენში ქვის ნაგებობების გვერდით ხის შენობებიც იქნებოდა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო მათი არსებობა არ დასტურდება. თუკი ჩავთვლით, რომ ნიკო დადიანის მიერ მოხსენიებული ნოჯიხევი სწორედ ეს ადგილია, მაშინ სწორია მისი ცნობა აქ დადიანის სასახლის არსებობის შესახებ. ნ. დადიანის მსჯელობით, **„ამისთვის იმეცადინა გიორგიმ დადიანის ძემ და მიიბირა გელოანი ქაიხოსრო და მოუწოდა გრიგოლს თვისსა სასახლესა შინა ნოჯიხევს“** (დადიანი 1962: 188). ამ შემთხვევაში XVIII ს. 90-იანი წლების ამბებია აღწერილი. მაშასადამე, დასახელებული საუკუნის მიწურულამდე აქ ცხოვრება გრძელდებოდა. XIX ს. დასაწყისში კი ციხე და სასახლე ნადგურდება. ამიტომ აქ ცხოვრება წყდება.

ბანძის შემდეგ ვახუშტი აღწერს ჭყონდიდის ადგილმდებარეობას, საუბრობს ჰიდრონიმ **„აბაშის“** წარმომავლობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გვაწვდის ცნობას სახარიას ციხესა და სასახლეზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვახუშტის რუკაზე ტოპონიმი **„სახარია“** ნაჩვენებია ბანძის მახლობლად, აბაშის მარჯვენა ნაპირას, დღევანდელ აბედათ-სერგიეთის ტერიტორიაზე.

შალვა ჯღარკავას ვარაუდით, **„სახარია“** სახარბედიოს დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. ხარბედიები აბედათში მოსახლეობდნენ. **„საინტერესოა, რატომ აღნიშნავს ვახუშტი ამ ადგილს სახარიად. შესაძლოა ეს მისი ძველი სახელწოდება იყო. ამ ადგილის შესწავლამ ერთ საყურადღებო გარემოებაზე შეგვაჩერა. აქ ცხოვრობენ ხარბედიები. დღეს რამდენიმე ოჯახია დარჩენილი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ წინათ ხარბედიებს მარსელში ეკავათ გარკვეული ტერიტორია და ეს ადგილი იწოდებოდა სახარბედიოდ... ვახუშტიმ შესაძლოა სახარბედიო აღნიშნა სახარიად... ვფიქრობთ, რომ ვახუშტის სახარია, „ციხე და სასახლე დადიანისა“, არის იგივე მარსელის დადიანის სასახლე“** (ჯღარკავა 113, 1965: 287).

შ. ჯღარკავას მოსაზრება გაიზიარა თამაზ ბერაძემ. თუმცა სხვა, დამატებითი არგუმენტი ვარაუდის გასამყარებლად მკვლევარს არ წარმოუდგენია (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 56).

ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე, ახლანდელ აბედათის ტერიტორიაზე, აღნიშნულია პუნქტი მარსელის სახელწოდებით. აბაშის მარჯვენა ნაპირის სახნავ-საბალახოები ჯოლო-აბედათიდან ვიდრე სერგიეთ-ბობოთამდე, დღესაც მარსი (ლ)ის//მარსიიშ მინდორის სახელითაა ცნობილი (კეკელია 2007: 47). ეს ადგილი მარსელის, მარსი(ლ)ის სახელს ატარებდა XVII-XIX საუკუნეებში და იგივე სახელითაა ცნობილი დღესაც.

შ. ჯღარკავას ზემოთ მოხმობილი მსჯელობიდან გამოდის, რომ ლამბერტის რუკაზე აღნიშნული მარსილი და ვახუშტისეული სახარია ერთსა და იმავე პუნქტში, აბედათის ტერიტორიაზე, ან მის შემოგარენში ლოკალიზდება.

სახარიასა და მარსილის იგივეობა ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია. ამ იგივეობის მართებულობას უფრო ის გარემოება ართულებს, რომ ტოპონიმი სახარია აბედათის ტერიტორიაზე დამოწმებული არ არის. ამასთანავე, შეცდომაა, როცა შ. ჯღარკავას ვახუშტისეულ **„სახარიად“** აბედათში, მარსილის ველზე, ხარბედიების გვარით დასახლებული თუ მათ მფლობელობაში არსებული და, უწინ, ალბათ, სახარბედიოდ სახელდებული გარკვეული ტერიტორია ესახება. ამ მოსაზრების მცდარობაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებანი: 1. ხარბედია ერთ-ერთი რიცხვმრავალი გვარია, მაგრამ აბედათის თემის არც ერთ სოფელში (აბედათი, ჯოლო, ლემიქავე, ლექაჯაიე) ხარბედიების მოსახლეობა ვერ დავადასტურეთ. შ. ჯღარკავას ნაშრომის გამოქვეყნების თარიღის (1965 წ.) გათვალისწინებით, აბედათში ხარბედიებს არ უცხოვრიათ არც გასული საუკუნის 60-იან წლებში, თუმცა ისტორიკოსი დარწმუნებით წერს, რომ აბედათში თითქოს ხარბედიები მოსახლეობენ. რეალური სურათი კი სხვაგვარია: ჩვენ მიერ მოწყობილი ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციების დროს ხარბედიების გვარის კომპაქტური დასახლება დადასტურდა არა აბედათში (როგორც აღნიშნავს შ. ჯღარკავა), არამედ მეზობელ სოფელ სერგიეთში (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცენტრი აბედათის ჩრდილოეთით, აბაშის მარჯვენა მხარეს), სადაც ამ გვარით დასახლებული უბანი წინაკვერკვესა და ნახუნუს საზღვრებთან **„სახარბედიოდ“** იწოდება. აქვე დასტურდება გვართან დაკავშირებული ორი ტოპონიმი: ნეძგიდეა//ხარბედიეფიშ ონეძე **„ხარბედიების ნიგვზნარი“** – ფერდობი არჯანიაშ ღეეს შენაკადის – ნოდის მარცხენა ნაპირზე, და ხარბედიეფიშ ნოხორი **„ხარბედიების ნასახლარი“** – სახნავი ნახუნუს საზღვართან. ამასთანავე, XVII–XVIII სს. ისტორიული წყაროების მიხედვით ხარბედიები საეკლესიო გლეხები იყვნენ. თუკი სერგიეთში კომლმრავალ გვარებად ითვლებოდა გაწერელია, სურმავა, ბედია, სულავა, ქუთათელაძე, თოდუა, ინჯგია და სხვ., ხარბედიას გვარი რიცხოვნობით გამორჩეული არ ყოფილა და არაა სავალდებულო, რომ უწინ დამოუკიდებელი სოფლის ან სოფლის შიგნით დასახლებული უბნის სახით არსებულიყო.

იური სიხარულიძის ვარაუდით, გეოგრაფიულად აბაშის ნაპირზე მდებარე სოფელი ნახარებაო სახელით უფრო ახლოსაა სახარიასთან. ამიტომ სახელწოდებათა მსგავსება ჩვენთვის საინტერესო პუნქტის არსებობას მკვლევარს სწორედ აბაშის ხეობაში, ამ სოფლის ტერიტორიაზე აფიქრებინებდა (სიხარულიძე 1, 2003: 3).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ვახუშტიმ სოფლის სახელწოდება ნახარებაო მართლაც სახარიად გაიაზრა და ამ ფორმით კიდეც მოიხსენია თავის ნაშრომში, მაგრამ ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას მაინც ართულებს რამდენიმე გარემოება: 1. ვახუშტი სახარიას აღნიშნავს ბანძის პირდაპირ, აბაშის მარჯვენა მხარეს. ნახარებავო კი ბანძის ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს; 2. ჩვენამდე მოღწეულ არცერთ წერილობით დოკუმენტში ნახარებუს უწინდელ თუ პარალელურ ფორმად სახარია ნახსენები არ არის. უფრო მეტიც: ვახუშტის ცნობის თითქმის თანადროულ, 1771 წლით დათარიღებულ ანტონ ცაგერელის შეწირულების წიგნში სოფლის სახელწოდებად მითითებულია ნახარბოი (კაკაბაძე II, 1921: 43); 3. ახლანდელ ნახარებუს ტერიტორიაზე ციხის ნაშთი შემორჩენილი არ არის.

სახარიას ლოკალიზაციის საკითხს შეეხო დ. ჭითანავა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ვახუშტის მიერ აბაშასთან მოხსენიებული ციხე და დადიანის სასახლე ვედიდკარში, აბაშის მარცხენა ნაპირთან ახლოს მდებარე, **„ნოჯიხევად“** (ნაციხარი) სახელდებული ადგილი უნდა იყოს, სადაც შემორჩენილია ეკალ-ბარდებით დაფარული რიყის ქვის კედლის ნაშთები (ჭითანავა 2010: 208). იმავე ნაშრომში მკვლევარი ერთგან აღნიშნავს, რომ ვედიდკარ-მუხურჩის ციხე იგივეა, რაც ვახუშტის **„ბანძა და ციხე კეთილნაშენი“** (იქვე: 213).

„სახარიას“ ისტორიისა და ლოკალიზაციის საკითხთან მიმართებაში ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე სოფლის სახელწოდება ლეხაინდრავომ. ვახუშტის რუკაზე, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს აღნიშნული პუნქტი ლეხაინა ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც დღევანდელ ლეხაინდრეს შეესაბამება (კეკელია 12, 2010: 73; მისივე 2010: 66). XVIII საუკუნეში ერთი და იგივე პუნქტის პარალელურ სახელწოდებად ლეხაინდრე და სახაინდრაო დასტურდება. ხაინდრავების მიერ 1770 წელს ხონის მთავარეპისკოპოს მაქსიმესადმი მიცემულ პირობის წიგნში დასტურდება **„მოწმე სულ ერთობით სახაინდრაო“** (კაკაბაძე II, 1921: 175). 1997 წელს სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერისას ჩავიწერეთ ტოპონიმი **„სახარიაშ ფონი“**. ასე ეწოდება ფონს სოფლის აღმოსავლეთით, ცხენისწყალზე. 2007 წელს ფეხდაფეხ შემოვიარეთ ლეხაინდრავოს თემში შემავალი სოფლები და მისი შემოგარენი. თუმცა ცხენისწყლის გაყოლებით, არც **„სახარიაშ ფონის“** სახელწოდებით ცნობილი ადგილის მახლობლად და არც მეზობელი სოფლების (ნაგვაზუ, ნაგებერუ, ნაჯახუ) ტერიტორიაზე ციხისა და სასახლის ნაშთებს ვერ მივაკვლიეთ. თვით **„სახარიაშ ფონის“** სახელდების მოტივის შესახებ კი შემდეგი განმარტება ჩაგვაწერინეს: სახარია ერქვა პიროვნებას, რომელიც ცხენისწყლის ნაპირას, სახელდებული ობიექტის მახლობლად ცხოვრობდა.

ციხისა და სასახლის არსებობაზე ადგილობრივი მოსახლეობის ხსოვნას არანაირი გადმოცემა არ შემორჩენია. რაც შეეხება გ. ელიავას მიერ **„ლეხაინდრაოს სასოფლო საბჭოს“** ტოპონიმთა ნუსხაში, აბაშის ჭალაში მდებარე ბორცვისა და ქვითკირის ნაგებობათა ნაშთების სახელწოდებად **„ნოჯიხუს“** (ნაციხარი) დამოწმებას, მკვლევარი ამ ტოპონიმში სწორედ იმ ციხის ნაშთებს უნდა გულისხმობდეს, რაც მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ ვახუშტისეულ „ციხე კეთილნაშენთანაა“ გაიგივებული (ელიავა 1977: 75; სიხარულიძე 1, 2003: 3).

ჩვენი მიზანი იყო **„სახარიას“** ლოკალიზაციასთან დაკავშირებით მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა. ყველა თვალსაზრისი მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება, ვიდრე თითოეული მათგანი სათანადო არგუმენტებით არ გამყარდება.

IV. 3. ტეხურის ხეობა

IV. 3. 1. ჰიდრონიმი **„ტეხური“**. ტეხურის ხეობის აღწერას ვახუშტი ასე იწყებს: მდინარე აბაშის **„დასავლით დის მდინარე ტეხური. იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს ხიდსა და სხვასა რაის. გამოსდის მასვე კავკასსა. მიერთვის ისულეთს ჩდილოდამ რიონს. ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლით კიდეზედ არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“** (ვახუშტი IV, 1973: 777).

ტეხური სათავეს იღებს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კურორტ ლებარდეს ჩრდილო-დასავლეთით, მწვერვალ ტეხურიშდუდთან, ზ. დ. 2400 მ-ზე, და მარჯვნიდან შეერთვის რიონს. მდინარის სიგრძე 108 კმ-ია, აუზის ფართობი 1040 კმ2-ს შეადგენს (მარგველანი ქსე, IX, 1985 : 709). მისი მარჯვენა და მთავარი შენაკადია აბაშა. თვით ტეხური რიონს უერთდება ისულას სამხრეთით.

სხვაგან ვახუშტი აღნიშნავს, რომ **„რიონს მოერთვის ჩდილოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე, უნაგირას მთის ზეით, ისულეთს“** (იქვე: 747).

მდინარის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ტეხირი, ტეხრი. საინტერესოა მეცნიერის მსჯელობა ჰიდრონიმის ეტიმოლოგიაზე. ვახუშტი მდინარის სახელწოდებას დინების ხასიათით ხსნის და წერს, რომ ჩქარი დინების გამო ტეხური შემუსრავს და ანგრევს ხიდსა და სხვა მისთ. ადგილობრივ ინფორმანტთა ცნობითაც მდინარე **„ტეხილი და გიჟმაჟია“** (ელიავა 1977: 174).

განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა ო. ხუხუამ. მისი აზრით ჰიდრონიმი **„ტეხური“** ორწევრიანი კომპოზიტია, სადაც ხირი ნაზმნარი ზედსართავი სახელია და იგივეა, რაც **„რღვეული“**. მკვლევარი ვარაუდობს, რომ კომპოზიტის პირველი წევრი ტე- რღვეული, ბობოქარი, მოვარდნილი წყლის განტევების, აშვების, დახსნის აღმნიშვნელია (ხუხუა 4, 2005: 15).

ა. ქობალიას **„მეგრულ ლექსიკონში“** მოცემულია ტეხირის//ტეხ?რის რამდენიმე მნიშვნელობა: **„ტეხილი, მიხვეულ-მოხვეული, უსწორმასწორო; ქვიანი, ოღრო-ჩოღრო ადგილი; მეტეხი, მტეხავი, მლეწავი; ყინულოვანი (მდინარე)...“** (ქობალია 2010: 601).

ტეხური ოროგრაფიული ნომენია და უნდა აღნიშნავდეს მდინარის მიხვეულ-მოხვეულ, დატეხილ-დაკლაკნილ კალაპოტს, ან მტეხავს, მლეწავს (კეკელია 2010: 36). პაატა ცხადაიას მიაჩნია, რომ ქართული **„ტეხ“** ფუძის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი მეგრულში არის **„ტახ“** (ტახ?ნს **„ტეხს“**). ამიტომ ქართული **„ტეხ“** ფუძიდან შეუძლებელია მდინარის სახელის წარმოქმნა. **„აქედან გამომდინარე,** – დასძენს იგი, – **ტეხურთან დაკავშირებული მსჯელობა ცრუ, ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო ჰგავს, ვინემ მეცნიერულს“** (ცხადაია 2005: 11).

IV. 3. 2. ისულა//ისულეთი. რიონისა და ტეხურის შესართავთან ვახუშტი ასახელებს პუნქტს ისულეთის სახელწოდებით. ისულეთს მეცნიერი ვაკე-იმერეთის საზღვრებში აქცევს და აღნიშნავს, რომ ვაკეს **„...მზღვრის... დასავლით ცხენისწყალი და ცხენისწყლიდამ წასული ხაზი ისულეთამდე და რიონამდე...“** (იქვე: 773); **„ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე“ (იქვე: 776). როგორც ჩანს, ვახუშტის დროს ოდიშის ერთი ნაწილი, კერძოდ, რიონისპირეთი, ცხენისწყალ-რიონის შესართავიდან ტეხურ-რიონის შესართავამდე ვაკე-იმერეთის შემადგენლობაში იყო. სოფელს ისმულეთის ფორმით ასახელებს იმავე საუკუნის მეცნიერი და მოგზაური გიულდენშტედტი (გიულდენშტედტი 1962: 323). ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ დოკუმენტში გვხვდება ისულა ფორმა (კეკელია, კურდღელია, ხარბავა „მხარეთმცოდნე II“,** 2011: 46-47).

ისულა ოდიშის დაბლობზე, ტეხურის მარჯვენა ნაპირას, ზ. დ. 12 მ-ზე მდებარეობს და ახალსოფლის ტერიტორიულ ორგანოში შედის. სენაკს 4 კმ-ით არის დაშორებული.

სოფელი ისულას ფორმით გვხვდება XIX-XX სს. დოკუმენტებშიც. კერძოდ, კავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მონაცემებით ისულა 32-კომლიანი სოფელია თეკლათის სოფლის საზოგადოებაში. მ. შ. 74 კაცია, 63 – ქალი (სულ 137 სული). XX ს. დამდეგს ისულაში მამულებს ფლობდნენ თავადი მხეიძეები და აზნაური სალაყაიები (ამ გვარის 7 კომლი გლეხი ყოფილა, 8 კომლი – აზნაური). საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის მიხედვით ისულა თეკლათის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაშია 105 კომლით (457 სული). 1949 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არსებობს ახალსოფლის სასოფლო საბჭო, რაც აერთიანებს ორ სოფელს – ახალსოფელსა (ყოფილი ძონძირი) და ისულას (კეკელია, ოდიშარია 2012: 31-33).

იბორ კეკელია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„Opus Dei“

ჩვენი სტატიის ეს სათაური „Opus Dei“, რაც ქართულად ნიშნავს **“საქმე ღვთისა”**-ს, სრულებით არ უკავშირდება ამ სახელით ცნობილ ქრისტიანულ სექტას, რომელიც ჩაისახა ესპანეთში და გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

ვეცდებით ამ ლათინური სიტყვების (Opus, Dei) კოლხური (ქართველური) ძირების მიკვლევას და ამასთან ერთად მოვიძიებთ რამდენიმე კოლხურ ძირს ბერძნულში, ლათინურში, სლავურსა და ინგლისურში.

როგორც ბიბლიიდან ცნობილია, უფალმა ღმერთმა სიტყვით შექმნა ჩვენი სამყარო (იხ.დაბადება 1.1-31). ამ მხრივ მოვიყვანთ იოანეს სახარებიდან (1.1-31) ამონარიდს: **“დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა, ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უიმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა”.**

ცნობილმა გერმანელმა მწერალმა **გოეთემ ამ ციტატის განხილვისას “სიტყვას”** დაუკავშირა **“საქმე”** და დაასკვნა: **“თავიდან იყო საქმე”**.

როგორც ცნობილია კოლხური ცივილიზაცია ერთ-ერთი უძველესია დედამიწაზე არსებული ცივილიზაციათა შორის, რაც უკანასკნელი ხანებში სულ უფრო და უფრო აშკარავდება, ყოველი კოლხური სიტყვა არის ენიგმა, რომლის მეშვეობით იშიფრება და მომავალში კიდევ უფრო მეტად გაიშიფრება სხვა ენების სიტყვათა არსი, მაგრამ კოლხური სიტყვა არის ენიგმა ამ ენის არმცოდნეთათვის, ხოლო ის, ვინც მეტ-ნაკლებად ერკვევა და შეუძლია მეტყველება ამ ენაზე, მისთვის ყველაფერი გაცილებით მარტივია და ტრივიალური.

მაგალითისათვის ავიღოთ ქართული სიტყვა **“ოღონთ”**, რომლის მნიშვნელობა: დათმობა, პირობა, ნატვრა, – როგორმე, რამენაირად, ნეტავ, მხოლოდ, მაგრამ. ამ სიტყვის არსი დამალულია მის კოლხურ ეტიმოლოგიაში, ხოლო ეტიმოლოგია შემდეგია: მეგრულად **“ო-ღორონთ”** ნიშნავს **“ო ღმერთო”**. მაგალითად, ფრაზა **“ოღონთ ნუ გამკიცხავთ”,** იქნება **“ო ღმერთო ნუ გამკიცხავთ”; “ოღონთ შემიბრალე”, “ო ღმერთო შემიბრალე”, “ოღონთ ეს იცოდე”, “ო ღმერთო ეს იცოდე”** და ა.შ. ეს ლინგვისტური პროცესი შემდეგნაირია: ოღორონთ ო-ღოონთ ოღონთოღონდ, რ-ს ამოვარდნა ჩვეულებრივია. ამრიგად ქართული **“ოღონთ”** – მეგრული **“ოღორონთ”**-ია.

მსგავსი მაგალითები ქართულში ხშირია, რომელთაგან ზოგიერთს ქვემოთ წარმოვადგენთ.

მსგავსი ეტიმოლოგია გააჩნიათ ინდოევროპულ, სემიტურ, ქამიტურ, დრავიდულ და სხვა ენათა ჯგუფების სიტყვებს, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით და რაშიც თითქოს ღვთის ხელი ურევია, თითქოს ეს ღვთის საქმეა. აი, ამიტომაც წარვუმძღვარეთ ამ სტატიას ეს სათაური.

ახლა განვიხილავთ კოლხურ სახელზმნას ყოფ-ა [‘op^h-a], რაც ნიშნავს ყოფნას, ქმნას, არსებობას. ამ ფორმის ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლათინური ოპუს სიტყვის ძირი. ე.ი. ‘op^h -=op-

მეორე ლათინურ ფორმას Dei (<Deus), რომელიც მიღებულია ბერძნულ Θεος-იდან, რაც ნიშნავს ღმერთს, ღვთაებას, ვუკავშირებ: ჭან. თ-ე, მეგრ. სი-ნ-თ-ე, ქრთ. ნა-თ-ელ-ი, რაც ნიშნავს სინათლეს (არნ. ჩიქობავა- **“ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი”**-ტფილისი, 1938, გვ.200).

სხვათა შორის უნადა ითქვას, რომ ლათინური ლექსიკა უმრავლეს შემთხვევაში მიმდინარეობს ბერძნულიდან. ანუ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ბერძნულში უფრო ცოცხლადაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შენარჩუნებული სიტყვათა არქაული ძირები. ასეა ამ შემთხვევაშიც, ბერძნული Θεος –ში ძირია **“Θ-ε”** , ხოლო **“ος”** სახელობითი ბრუნვის ნიშანია. აქედან გამოგინარე, სახეზე გვაქვს ძირების სრული დამთხვევა. ახლა საკითხავია რომელ ენას მიენიჭოს უპირატესობა. გარდა იმისა, რომ როგორც ჩვენთვის ცნობილია კოლხური წარმომავლობის პელაზგები იყვნენ საბერძნეთის ავტოქტონები და განმანათლებლები, ღმერთის (თე-ოს-ის) უპირველესი მისია იყო, რომ მას სამყაროსათვის მოეტანა სინათლე (სი-ნ-თე). ამის გარდა **“სინთე”** კოლხურში სულსაც ნიშნავს, რაც დაკავშირებულია უშუალოდ ღმერთთან. აი, ასე წარმოგვიდგენია სტატიის სათაურის ჩვენეული ეტიმოლოგია.

ახლა განვიხილოთ რამოდენიმე სიტყვა, რომლებიც ეტიმოლოგიურად აშკარად კოლხური წარმომავლობისანი არიან.

ულამაზეს კირქვულ მასივს დას. საქართველოში, ცაგერისა და წყალტუბოს რაიონების ტერიტორიაზე ხვამლი ჰქვია, როგორც ცნობილია პრომეთემ ცეცხლი მოიტაცა ოლიმპოდან და ადამიანებს გადასცა, ცნობილია გამოთქმაც **“პრომეთეს ცეცხლი”**, რაც კულტურის წინსვლის, ნიჭისა და განათლების სიმბოლოა. ამისთვის ზევსმა პრომეთე, იგივე, ამირანი კავკასიონის მაღალ მთაზე (ხვამლის მთაზე) მიაჯაჭვა. ძველი ბერძნები პრომეთეს მითს კავკასიურად თვლიდნენ (ჰესიოდე, ესქილე, სტრაბონი, არიანე და სხვა). ამირანი რომ პრომეთეს პროტოტიპია, ეს იმ უბრალო ლოგიკიდანაც გამოდის, რომ ამირანი ადგილობრივი, კავკასიური მითიური გმირია და მას პრომეთეს მსგავსად არ სჭირდება საბერძნეთიდან კავკასიაში გადაადგილება. ესეც რომ არ იყოს, მთავარი არის ის, რომ სიტყვა ხვამლის ფუძისაა სიტყვა ხვამილაფა, რაც მეგრულად ტაცებას, გატაცებას, მოტაცებას ნიშნავს. აქ ჩვენი აზრით სწორედ ამირან-პრომეთეს მიერ ცეცხლის მოტაცება უნდა ვივარაუდოთ, რომლის გამო ღმერთმა ამირანი დასაჯა და იმავე სახელწოდების (ხვამლის) მთაზე მიაჯაჭვა.

მეორე მხრივ **“ხვამილი”** მეგრულად ნიშნავს **“დალოცვილს”** და ჩვენი აზრით ეს მთა იყო დალოცვილი იმის გამო, რომ აქ, ამ მთაზე მოხდა ამირანის მიერ ცეცხლის მოტაცება (ხვამილ-აფა) და მისი კაცობრიობისათვის გადაცემა.

ახლა განვიხილოთ სიტყვა **“განვითარება”** რაც ნიშნავს ერთი მდგომარეობიდან მეორეში (უფრო მაღალში, სრულყოფილში) გადასვლას. ეს სიტყვა იშლება შემდეგნაირად გან-ვით-არ-ება, რომელშიც ფუძე არის **“ვით”**-ი, რაც მეგრულად ნიშნავს **“ათს”**. სწორედ ათი არის ერთეულებიდან ათეულებში ე.ი. მარტივიდან უფრო რთულში, უფრო მაღალში, სრულყოფილში გადასვლელი რიცხვი. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, მოვიყვნოთ ამონარიდი რ.ერისთავის სტატიიდან **“მზის შვილები”** (ჟურნალი **“აია”** 8, 2000 წელი, გვ.7), სადაც ის აღნიშნავს: **“ნოეს კიდობანი ხომ ალეგორიული გამოხატვაა დედამიწაზე მომხდარი კატასტროფებისა და ახალი, ორსქესიანი სასიცოცხლო ციკლის თავიდაან დაწყებისა. იგი ასევე ალეგორიულად გამოხატავს სამყაროს საწყის “კვერცხს”, რომელიც ეზოტერულ თეოსოფიაში აღინიშნება დიდი წრეხაზით-“O” და მას მდედრობითი საწყისი “მუტ”-ი ეწოდება. ამ წრეხაზის დიამეტრი კი იგივე ფალოსის კულტია და მას მამრობითი საწყისი ჰქვია, იგი აღინიშნება “T”.**

წრეწირის წინ გამოტანილი მისი დიამეტრი იძლევა რიცხვ 10-ს ქრისტიანულ რელიგიაში 10 წმინდა რიცხვია და სამყაროს უსასრულო გამრავლების სიმბოლური გამოხატულებას წარმოადგენს “.

სწორედ ეს რიცხვი **“ათი”** (10) ანუ მეგრულად **“ვითი“** ძევს ფუძედ სიტყვაში გან-ვით-არ-ება, რომელიც არა მხოლოდ გამრავლების სიმბოლოა, არამედ სწორედ რომ განვითარებისაც.

იგივე ფუძისაა რუსული развитие (развит-ие), რომელიც აფიქსებითაა გაფორმებული და ასევე ლათინური “Vita”, რაც სიცოცხლეს ნიშნავს. მამრობითისა და მდედრობითის გაერთიანება წარმოადგენს სწორედ სიცოცხლის საფუძველს.

სიტყვა “ელჩი” ს.ს. ორბელიანს ახსნილი აქვს შემდეგნაირად: ელჩი-თურქთ ენაა, ქართულად დესპანი და ომირა ჰქვიან. მეორე ადგილას განმარტებული აქვს სიტყვა მოციქული-დესპანი არის მეფისგან მეფესთან მიგზავნილი მოციქული საქმესა რისამე ზედა, რომელსა სპარსნი ელჩად უწოდენ. ე.ი. ორბელიანთან ელჩი ხან თურქულია, ხან კიდევ სპარსული, სინამდვილეში კი ელჩი კოლხური წარმომავლობის სიტყვაა. ელაჩამა ნიშნავს რჩევას (ელუჩანს-ურჩევს, ელმაჩამალი-მრჩეველი), რომლის ფუძე არის ელჩი და მართლაც ელჩის ძირითადი ფუნქცია რჩევითი საქმიანობაა.

სიტყვა **“კერპი”** განმარტებით ლექსიკონში ახსნილია, როგორც წარმართთა ღვთაების გამოსახულება (ჩვეულებრივი ქანდაკება), რომელსაც თაყვანს სცემენ.

თაყვანს სცემდნენ და სცემენ ახლაც იმას, ვინც უყვართ, ასე რომ კერპთაყვანისცემა სიყვარულზე ყოფილა აგებული. და ეს, რომ ასეა, სჩანს თვითონ სიტყვა **“კერპი”**-დან ანუ **“ყოროფილი”**-დან, რაც კოლხურად შეყვარებულს, სიყვარულს ნიშნავს. **“კერპი” არის “ყოროფილი”**-ს სახეცვლილი ფორმა და ეს სიტყვა თავისი კოლხური სემანტიკით ზუსტად გამოხატავს იმ განწყობას, რა განწყობასაც ის იწვევს. ეტიმოლოგიურად იგივენაირად იშიფრება ბერძნული **“კორიფე”**-ც.

ამას წინათ ტელევიზიით გავიდა სიუჟეტი ჯავახეთიდან სოფელ ხიზაბავრიდან, სადაც უნვენეს მიწისქვეშა ტალანები უძველესი დროისა, რომლებსაც თურმე დარნები ეწოდება. ადგილობრვი მოსახლეები მტრის შემოსევისას სწორედ ამ ტალანებში იმალებოდნენ, რომლებსაც ისინი საცხოვრისს უწოდებენ. **“დარინალი”** მეგრულად სწორედ საცხოვრის ნიშნავს, რომლის შეცვლილ ფორმად მიგვაჩნია სიტყვა **“დარნა”**. როგორც გადაცემაში ითქვა, ეს დარნები 15 საუკუნის წინათ აუგიათ. ჩვენი აზრით დარნები გადიოდნენ დიდ დარბაზებში (რომლებიც როგორც სჩანს, ჯერ მიკვლეული არაა), სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრობდა გარკვეული დროის განმავლობაში, სანამ მტერი არ დატოვებდა მათ ტერიტორიას და ვფიქრობთ, რომ **“დარბაზიც”** ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვა დარნიდან. ასე გვესახება სიტყვა **“დარნის”** ეტიმოლოგია. იმავე ძირისაა არენა (ლათ. arena), რომელიც მარტო ქვიშამოყრილი, გლადიატორთა ბრძოლის ან ცირკის არენას არ ნიშნავს, ერთ-ერთი განმარტების თანახმად ის მოქმედების ადგილს, ასპარეზს ნიშნავს, გარდა ამისა, ბიოლოგიაში ცხოვრების არენა ნიშნავს დედამიწის ზურგზე ყველა იმ ადგილთა ერთობლიობას, სადაც არსებობს შესაფერისი გარემო ორგანიზმთა არსებობისთვის. სწორედ ორინე (ორინალი), რომელიც არის დარინალის სინონიმი, კოლხურად ნიშნავს საცხოვრებელს, საარსებოს. აი, ასეთნაირად არიან გაფანტულნი ერთი და იგივე ძირის სიტყვები, ერთ შემთხვევაში ევროპაში (ლათინური arena), ხოლო მეორე შემთხვევაში საქართველოში (ჯავახური დარნა).

ნუბზარ კვაშილავა

“ფაზისი”-ს აკადემიის ნამდვილი წევრი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ: „ᲛᲐᲘᲐ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲦᲐᲛᲣᲠᲐᲡᲐᲕᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐ“

ცნობილი ფაქტია, რომ როცა ესა თუ ის ადამიანი დედის გვარს ატარებს, ეს მის ბიოლოგიურ წარმოშობაზე, ან მისი წინაპრების ვარგისიანობაზე საკმაოდ საფუძვლიან ეჭვებს წარმოქმნის ხოლმე – თუნდაც ისეთს, რომ არც ამ პიროვნებამ და არც დედამისმა არ იცოდნენ ვინ იყო ბავშვის მამა, ან ჩაიდინა ისეთი უღირსი საქციელი, რომ დაძრახულია ერისა და ქვეყნის მიერ. ძნელია ასეთ შემთხვევაში თავი იმართლოს ადამიანმა და შავი თეთრად წარმოგვიდგინოს...

სრულიად განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე სკანდალურად ცნობილი ქალბატონის, ვითომც ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის, სინამდვილეში კი ნაციონალებისა და სააკიანცის პირწავარდნილი დამცველის მაია ორჯონიკიძის შემთხვევაში...

„ეს შავტუხა ქალბატონი, რომელსაც თავი მერცხალი ჰგონია, სინამდვილეში კი ბადრიჯანია, როგორც ჩანს, ძალიან განიცდის უსააკაშვილობას“, – ასე მოიხსენიებს აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე გაზეთ **„ასავალ-დასავალთან“** საუბრისას პოეტ იზა ორჯონიკიძის შვილს მაია ორჯონიკიძეს.

რამდენიმე დღის წინ იზა ორჯონიკიძის შვილმა ცნობილ მეცნიერს ელიზბარ ჯაველიძესა და პოეტ რეზო ამაშუკელს **„ჩარეცხილები“** უწოდა და **„30-იან წლებში ჩარჩენილებად“** მოიხსენია. **„მე დედამისთან – იზა ორჯონიკიძესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. მაშინ შემოქმედებითი და სამეცნიერო დარგის სპეციალისტები ყველანი ხელმოკლედ ვცხოვრობდით და მე არაერთხელ დავხმარებივარ იზას, მისი ოჯახისა და ამ შავტუხა გოგოს გამოსაკვებად თუ ჩასაცმელად! მე კარგად ვიცნობდი ამ ქალბატონის მამას – თბილისელ სომეხს, საინტერესო პიროვნებას სტიმსონ ტეროგანესოვსაც! და აბა, რა უნდა ველაპარაკო არსებას, რომელსაც ღამურასავით, თავისი სომხური წარმომავლობისა რცხვენია და გვარად ორჯონიკიძე აირჩია?! ქალი ორჯონიკიძეობდეს და მე, ელიზბარ ჯაველიძეს მაბრალებდეს „30-იან წლებში ჩარჩენილობას“, ძალიან სასაცილოა, თავშისაცემი რომ არ იყოს! ეს შავტუხა ქალბატონი სააკაშვილმა მწევარი ძაღლივით „პადოშა“ გია თორთლაძის პარტიას მიანათხოვრა და ეგ მელაპარაკება მე მაღალ იდეალებზე?!“,** – აცხადებს ელიზბარ ჯაველიძე.

პოლიტიკური დიდი თამაშის ისტორიული შტრიხები

დიდი თამაში, მსოფლიო ამ ტერმინით მოიხსენიებს ახალი ისტორიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია უდიდეს დაპირისპირებასთან ორ მძლავრ იმპერიას ბრიტანეთსა და რუსეთს შორის. ეს თამაში წარმოებს XVII საუკუნიდან. იმ პერიოდში იგი წარმოებდა ძირითადად ახლო აღმოსავლეთის, შუა აზიისა და კავკასიის ირგვლივ. ამ დრომდე მოთამაშეები თითქმის არ შეცვლილა და გრძელდება დღემდე.

ჩვენ დროშიც, თუ დავაკვირდებით აშშ-ს, რომელიც იჭრება ავღანეთში, ერაყში და ასე შემდეგ და ცდილობს თავს მოახვიოს თავისი პოლიტიკური სისტემა ამ ქვეყნებს, შევნიშნავთ რომ ის იმეორებს დიდი ბრიტანეთის გამოცდილებას. როცა 1917 წელს ინგლისმა ბაღდადი აიღო მათ გაავრცელეს პროკლამაცია – **„ჩვენ მოვედით თქვენთან არა როგორც დამპყრობლები, არამედ განმანთავისუფლებლები”.** ამ რეგიონში ბრიტანეთის იმპერია სადღაც გაქრა, ხოლო მისი მემკვიდრე გახდა **აშშ**.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ცივი ომი დამთავრდა. ის არ დაწყებულა არც 1946 წელს და არც 1918 წელს, არც 1991 წელს დამთავრებულა. მთელი XIX საუკუნე აღინიშნება სისხლისმღვრელი ბრძოლებით ბრიტანეთის იმპერიასა და რუსეთს შორის. დიდი თამაში ცივი ომის თანამედროვე სახელწოდებაა. მის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს ინგლისელების პანიკური შიში ინდოეთის გამო. მათი აზრით რუსეთი ისე მოძლიერდა XVIII საუკუნეში რომ არ შეიძლება ინდოეთზე არ ჰქონოდა პერტენზიები. მოგეხსენებათ რომ პეტრე I გარდაიცვალა 1725 წელს. ინგლისში ვრცელდება მისი ანდერძი, თითქოს იგი წერს ვინც დაიკავებს კონსტანტინოპოლს და ინდოეთს, ის იქნება მსოფლიოს მბრძანებელი. რუსეთის მეფეები მართალაც შემჩნეული იყვნენ შუა აზიის მიმართ **„ყურადღებაში”,** როგორც ცარიელი ხაზინის შევსების მთავარი წყარო. პირველი სამხედრო ექსპედიცია აზიაში გაემართა თავადი ბეკოვიჩის მეთაურობით. მაგრამ ხივის სახანოში მან მარცხი განიცადა.

იმ პერიოდში ხმელთაშუა ზღვას ბრიტანელები მიიჩნევდნენ როგორც თავიანთ საკუთარ **„შიდა ტბას”.** სხვის ყოფნას ამ **„ტბაში”** ისინი ვერ იტანდნენ. თავის მხრივ რუსეთიც ცდილობდა მოეპოვებინა გასასვლელი ხმელთაშუა ზღვაზე. რუსეთის ფლოტის გამოჩენა კი ემუქრებოდა ბრიტანეთის კომუნიკაციებს ინდოეთთან. ისინი ძალიან უფრთხილდებოდნენ ამ საკომუნიკაციო ხაზს. პირველი ანტირუსული ისტერია ბრიტანეთის პარლამეტში დაიწყო 1788 წელს, როცა რუსეთის ჯარმა თურქეთთან ომის დროს აიღო ქალაქი ოჩაკოვო. **„რუსები მალე ეგვიპტესაც დაიკავებენ, კარი ინდოეთისკენ უკვე ღიაა მათთვის”!** – აცხადებდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უილიამ პიტი 1791 წელს. იგი ითხოვდა რუსეთთან ომისთვის მზადებას. – **„ჩვენ არამარტო პეტერბურგს გადავაქცევთ ნანგრევებად, არამედ არხანგელსკსაც გადავწვავთ, მათ გემებს სევასტოპოლშიც მივწვდებით და იცურონ მერე რუსებმა ნაფოტებით, როგორც პირველყოფილებმა”.** მაშინ პიტმა წააგო პოლემიკა თავიანთ ოპონენტებთან, რადგან იმ დროისათვის თავს იჩენდა ახალი საშიშროება – ნაპოლეონ ბონაპარტი.

დაიწყო ბრძოლა ახალი ბაზრებისათვის, მსოფლიო ვაჭრობისა და გავლენების ახალი გადანაწილებისათვის. 1805 წელს ბრიტანეთმა გაანადგურა ფრანგების ფლოტი, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისათვის მათ დასჭირდათ რუსეთის დახმარება. ნაპოლეონი კი თავის მხრივ ცდილობდა დაეყოლიებინა რუსეთი ინგლისის წინაღმდეგ ბლოკადისაკენ, რადგან ინგლისი რუსეთისგან იღებდა ხორბალს და ნედლეულს თავისი ფლოტისათვის. როგორც ცნობილია ნაპოლეონი თავს დაესხა რუსეთს და დამარცხდა. ვენის კონგრესზე რუსეთსა და ბრიტანეთს შორის მოხდა კომპრომისი, რის შედეგადაც რუსეთს გადაეცა თითქმის მთელი პოლონეთი. აზიაში კი კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი იქნა და ეს ვითომ მოკავშირეები ჩაებნენ ახალ დიდ თამაშში.

1813 წელს რუსები ამარცხებენ სპარსეთს და უახლოვდებიან ინდოეთს დასავლეთის მხრიდან. ამ დროიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავღანეთს. რადგან ყველა სახმელეთო გზა გადის სწორედ მასზე. დღემდე მის ირგვლივ ტრიალებს მთავარი მოქმედებები. ინგლისელები შიშობდნენ, რომ ინდოელები აჯანყდებოდნენ და მაშინ ისინი რუსებს შეხვდებოდნენ როგორც განმანთავისუფლებლებს. მაგრამ აღმოჩნდა რომ რუსეთს ინდოეთის მიმართულება არ აინტერესებდათ. მათი მთავარი სამიზნე იყო კონსტანტინოპოლი და მიმდებარე სრუტეები, გამაგრებული იდეით – მართლმადიდებლური იმპერია, მესამე რომი. ეს არის უმნიშვნელოვანესი ადგილი რუსეთის უსაფრთხოებისათვის და ევროპაზე გასასვლელი. ამიტომ რუსეთი ერთვება ბერძნების განმათავისუფლებელ ბრძოლაში თურქების წინააღმდეგ. კავკასიის მხრიდან კი თურქეთში შედის ერმოლოვის ჯარი. 1825 წელს რუსეთში გარდაიცვალა იმპერატორი ალექსანდრე I. ახალი იმპერატორი გახდა მისი ძმა ნიკოლოზ I. ამავე დროს ხდება დეკაბრისტების შეუმდგარი აჯანყება. სპარსელებმა ინგლისელების წაქეზებით ისარგებლეს რუსეთში შიდა არეულობით წამოვიდნენ ჩრდილოეთისაკენ. კინაღამ აიღეს თბილისი. ნიკოლოზ I-მა გაანთავისუფლა ერმოლოვი და დანიშნა პასკევიჩი. მან დაამარცხა სპარსელები და აიღო ერევანი. მაშინ სპარსელებმა დახმარებისათვის მიმართეს ინგლისელებს ამან კი ისინი დააბნია, რადგან მხარდაჭერა არ ნიშნავდა ბრძოლას. თან ბრიტანელებს არ ჰყავდათ არმია კავკასიაში. ისინი მზად არ იყვნენ რუსეთთან კონფლიქტისათვის. 1828 წლის ზავის პირობებით რუსეთმა შეიერთა ერევანი და ნახიჩევანი, ირანის შაჰმა კი მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. ამით ბრიტანეთის გავლენა სპარსეთში დამთავრდა და არავითარი ინტერესი XX საუკუნის დასაწყისამდე არ გამოუჩენია, სანამ აქ არ აღმოაჩინეს ნავთობი და გაზის საბადოები.

სპარსეთში რუსეთის ელჩად იმ პერიოდში დაინიშნა ალექსანდრე გრიბოედოვი. იგი თვლიდა, რომ ის უნდა დაეხმაროს სპარსეთიდან განთავისუფლებულ ერებს და როცა შაჰის ჰარამხანიდან ორი სომეხი გოგო გამოიქცა, გრიბოედოვმა მათ თავის საელჩოში მისცა თავშესაფარი. ეს დიპლომატიური თვალსაზრისით საკამათო გადწყვეტილება გახდა მისთვის საბედისწერო. უკმაყოფილო სპარსელებმა შტურმით აიღეს რუსეთის საელჩო. გრიბოედოვი კი იარაღით ხელში ბრძოლაში დაიღუპა. რუსეთმა ელჩის მკვლელობაში ბრიტანეთის კვალი დაინახა.

1829 წელს რუსეთის არმია მიუახლოვდა კონსტატინოპოლს. გენერლები თხოვდნენ იმპერატორს, რომ მათ აეღოთ ქალაქი. ნიკოლოზ I-მა ევროპასთან კონფლიქტის შიშით ვერ გარისკა და ხელი მოაწერა ანდრიანაპოლის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება ბერძნებს აძლევდა დამოუკიდებლობას, რუსეთს კი მისი სავაჭრო გემების თავისუფალი გადაადგილების უფლებას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში. ამან ინგლისის მთავრობაში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. მათი აზრით, რუსეთს სურს გაანადგუროს თურქეთი და სპარსეთი. ამ რეგიონში ბრიტანეთის გავლენა შეცვალა რუსეთისამ. სწორედ ამ დროს იბადება ახალი თემა დიდ თამაშში, ეს არის კავკასია.

რუსეთმა დიდი ძალისხმევით გამოსტაცა თურქეთსა და სპარსელებს განადგურებამდე მისული საქართველო და სომხეთი. მაგრამ მათ ზურგში აღმოჩნდა მთიელი კავკასიელები, ძირითადად მუსულმანები. რუსეთი იძულებული გახდა მთელი ძალისხმევა მიემართა კავკასიის საკითხებისათვის. აქ კი ირკვევა, რომ კავკასიაში მუშაობს ბრიტანეთის აგენტურა. 1835 წელს ბრიტანეთის ელჩი სტამბოლში დევიდ უკვარტი წერდა: **„რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლით კავკასიელი მთიელები უდიდეს სამსახურს უწევენ ინგლისს და ევროპას. თუ რუსეთი დაიპყრობს კავკასიას, მას უკვე სამხრეთისაკენ ვერაფერი შეაჩერებს. ჩერქეზები არიან აზიის დარაჯები”.** ეს ადამიანი ორგანიზებას უწევდა იარაღის მიწოდებას და მონაწილეობდა ჩერქეზების სამხედრო მომზადებაშიც. რუსეთმა, გარეშე ჩარევისაგან თავი რომ დაეცვა, შავი ჭირის მომიზეზებით ჩაკეტა შავი ზღვის სანაპირო ზოლი. უკვარტმა მაინც გაგზავნა ხომალდი, თითქოს მარილით დატვირთული. გემის დაპატიმრებას უნდა გამოეწვია ანტირუსული აზრის გაღვივება, რაც საშუალებას მისცემდა ინგლისს რუსეთისათვის დაერტყა, მაგრამ ინტრიგა არ შედგა. უკვარტი გაიწვიეს სამშობლოში და გაანთავისუფლეს. მან ინგლისშიც გააგრძელა ანტირუსული მოღვაწეობა. დააფუძნა კომიტეტი, რომელიც მუშაობდა რუსეთის წინააღმდეგ, აგრძელებდა იარაღის მიწოდებას კავკასიაში. აგრეთვე დააფუძნა ჟურნალი.

„კავკასია წარმოადგენს უფრო მნიშვნელოვან დასაყრდენს, ვიდრე თურქეთი. იქ ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვიძლია ძალიან იაფად შევაიარაღოთ ორასი ათასი უმამაცესი მეომარი. რომელთაც საჭიროების შემთხვევაში მოსკოვამდეც შეუძლიათ მისვლა”. – წერდა ამ ჟურნალში პოლიტიკოსი და მოგზაური ედმუნდ სპენსერი 1838 წელს. გამოჩნდა კავკასიელ ხალხთა ძირითადი დანიშნულება. ჩერქეზთა მხარდაჭერამ და წაქეზებამ გამოიწვია ის, რომ ისინი ლამის გადაშენდნენ. მცირე ერების ჩართვა გრძელდება დღემდე. უახლოეს პერიოდშიც რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთმა ჩართო საქართველო. სულ ახლახანს კი მისი მოძმე ერი – უკრაინელები. იმპერიებს შორის ტერიტორიების გადანაწილება გრძელდება და გაგრძელდება სანამ კაცობრიობა იარსებებს. მთავარია მცირე ერები არ შეეწიროს მათ შორის ბრძოლას.

გოჩა შალამბერიძე

საიდუმლო შეხვედრა წყნეთში – რა მოხდა “ნაციონალების” ლიდერებსა და მათ მოკავშირე ბიზნესმენებს შორის?

სანდო და კარგად ინფორმირებულმა წყარომ გვაცნობა, რომ რამდენიმე დღის წინ **“ნაცმოძრაობასთან”** დაახლოებული ბიზნესმენებისა და ამ პარტიის ლიდერთა ფარული შეხვედრა გაიმართა. ამ შეხვედრის ინიციატორები ნაცთა ზეობის პერიოდში **“ნომენკლატურული”** ბიზნესმენები ყოფილან, ეს ფარული თავყრილობა წყნეთში, ერთ-ერთი ბიზნესმენის აგარაკზე შედგა და მას, დაახლოებით, ოცი მსხვილი ბიზნესმენი ესწრებოდა. მათი ვინაობის დაზუსტება, წყარომ ჯერჯერობით ვერ მოახერხა. **“ნაცმოძრაობას”** კი გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე და გია ბარამიძე წარმოადგენდნენო, – წერს ავტორი ლევან ღვინიაშვილი სტატიაში **“გასაიდუმლოებული შეხვედრა წყნეთში”.**

როგორც გამოცემა იუწყება, მათი წყარო აცხადებს, რომ ბიზნესმენებმა მკაფიოდ და კატეგორიულად დაუფიქსირეს **“ნაცების”** ლიდერებს, რომ ისინი მათი პარტიის დაფინანსებას აღარ აპირებდნენ.

ამონარიდი სტატიიდან: **“ეს ხალხი წლების მანძილზე აფინანსებდა “ნაცმოძრაობის” საარჩევნო კამპანიებს, სხვა სახის აქტივობებს, ინახავდა “ნაცმოძრაობის” კუთვნილ მედიასაშუალებებს, პარტიის კონკრეტული ლიდერებისა და მათი ოჯახების წევრების საზღვარგარეთულ ვოიაჟებს, უცხოეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის ქირას უხდიდა პარტიის ლიდერთა შვილებსა და ახლო ნათესავებს... ბიზნესმენებს დაურიდებლად უთქვამთ “ნაციონალებისთვის”, რომ ამიერიდან მათგან ერთ თეთრსაც ვეღარ მიიღებდნენ. ეს ბიზნესმენები სარგებლობდნენ პრივილეგიებით, იგებდნენ სახელმწიფო ტენდერებსა და აქუციონებს, შედავათიან და სიმბოლურ ფასად ყიდულობდნენ სახელმწიფო ქონებას. მოკლედ, “მწვანე შუქი” ჰქონდათ ანთებული. გივი თარგამაძეს სწორედ ეს შეუხსენებია მათთვის და დაუმუნათებია, – ჯერ კიდევ ვალში ხართ ჩვენთანო. ბიზნესმენებს უკან არ დაუხევიათ და რაც ზემოთ ჩამოვთვალე, “ნაციონალებისთვის” გაკეთებული ათი იმდენი სანაცვლო სიკეთე კიდევ შეუხსენებიათ. უთქვამთ, რომ ათეულობით მილიონი აქვთ დახარჯული ინფრასტრუქტურულ პროექტებზე თბილისშიც და რეგიონებშიც, სპეცფონდებში... მოკლედ, ბიზნესმენებს უთქვამთ, რომ, თუ რამე სიკეთე მიიღეს “ნაციონალთა” ხელშეწყობითა და მფარველობით, ყველაფერი გადაიხადეს და ახლა, სააკაშვილის პარტიის გარეშე აპირებენ საქმიანობის გაგრძელებას.

ბიზნესმენების ერთ ნაწილს უშუალოდ გივი თარგამაძისთვის უთქვამს, რომ ოფშორში დარეგისტრირებული კონკრეტული ქართული ბიზნესკომპანიების ანგარიშებზე “ნაცლიდერების” კუთვნილი თანხები ინახება და ეს ფული დროულად გადაიტანეთ სხვა ანგარიშებზე, თორემ ავდგებით და ჩვენ მოვიხმართო. შეიძლება ეს არის ბიუჯეტიდან მოპარული მილიონები, რომლებიც ამ ბიზნესმენთა დახმარებით გაათეთრეს და მათ მიაბარეს ოფშორულ ანგარიშებზე შესანახად. მოკლედ, “ნაციონალები” მაგარ შარში არიან, სავარაუდოდ, გაუჭირდებათ საქართველოში ისეთი კომპანიების მოძებნა, ვინც ამ ფულს ისევ ოფშორში შეუნახავს. გაუჭირდებათ იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა გიორგი კაპანაძემ პროკურატურასთან ითანამშრომლა და ჯერ გიგი უგულავას ქვისლი, გიორგი ღონიაშვილი დააჭერინა, მერე კი თავად უგულავას ციხეში გასტუმრებაშიც დაიდო წილი, აღარავის ენდობიან. ბიზნესმენებს ბოკერიას, თარგამაძისა და ბარამიძისთვის ასევე უთქვამთ, რომ კონკრეტულ “ნაციონალთა” ოჯახის წევრებსა და მათ “ნათესავებს” მათსავე კომპანიებში რომ აქვთ წილები ხელშეუხებლობის სანაცვლოდ და სოლიდურ დივიდენდებსაც იღებდნენ, ყველა ასეთმა ადამიანმა თუ უარი არ განაცხადა საკუთარ წილზე, მაშინ ისინი გიორგი კაპანაძის გზას დაადგებიან და სამართალდამცავებთან ითანამშრომლებენ. რამდენიმე ბიზნესმენს ისიც უთქვამს, გიორგი კაპანაძის ჩანაწერები არაფერია ამასთან შედარებით, რაც მათ აქვთ არქივში.

ამ შეხვედრაზე ბიზნესმენებს ისიც უთქვამს, რომ ბიზნესს არ ააქტიურებდნენ და მოლოდინის რეჟიმში მუშაობდნენ, ელოდებოდნენ ქვეყანაში პროცესების განვითარებას და ამით გვარიანადაც იზარალეს და რაც მთავარია, მათი მხრიდან ეს იყო საბოტაჟი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ეს რომ გააკეთეს, ნანობენ კიდეც, რადგან დღევანდელ ხელისუფლებასთან დაპირისპირება არ სურთ, ამიტომ ახლა, ბიზნესაქტივობას გააგრძელებენ და იმავე რეჟიმში იმუშავებენ, როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მუშაობდნენ.”

ᲥᲔᲑᲐᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐ ᲔᲜᲘᲡᲐᲘ

სულ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ხორცის სხეული არის მამა ღმერთის მარადიული სიცოცხლის ინფორმაციის წიგნის (მარადიული სახარების) საფლავი. ამ საფლავში სძინავს ჩვენი აღდგომის მაგიურ გასაღებს – **ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ**! ამინ!

„და ესე ენაი,
შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა
მდაბალი და დაწუნებული
მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა“.

ადრე გითხარით, რომ მამა ღმერთი კითხულობს მარადიული სიცოცხლის წიგნს, რომელიც შედგენილია ქართული საღვთო დამწერლობითა და საღვთო ენით. ეს საღვთო დამწერლობა და ენა თავის თავშია მარადიული სახარების ტექსტის გასაღებიც. ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი იოანე ზოსიმე: *„და ეს ენაი, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა“* ანუ უფალი მამა ღმერთი ქართული კოდური მატრიცული ენით აზროვნებს და მეტყველებს, რომელსაც ეწოდება **ᲣᲤᲐᲚᲘ** (ლაზარე).

თუ ადამიანს ზემოდან, მამა ღმერთისაგან არ მიეცა შესაბამისი სულიერი სიმწიფე, მან დედამიწიერი განათლების პროგრამითა და მეცნიერული პროფესორობით, აკადემიკოსობით, პაპობითა და პატრიარქობით, გამორიცხულია გახსნას კოდური ტექსტი და მის შინაარსში ჩაიხედოს. ვიცხავ მათ თავიანთი პატივმოყვარული ამპარტავნობის გამო, მაგრამ თანავუგრძნობ საზოგადოებრივი მძიმე ტვირთის გამო, რომელსაც ისინი ძლივსძლივობით მიათრევენ.

იბადება მარტივი კითხვა: ვისგანაა დაწუნებული და დამდაბლებული მამა ღმერთის დამწერლობა და ენა? უპირველეს ყოვლისა, მამა ღმერთის დამწერლობა, ენა და ძე ღმერთი დაწუნებული და დამცირებულია სამღვდელოების, სამეცნიერო და პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ. რატომ დაიწუნეს ღვთის დამწერლობა და ენა? ცრუ და ბოროტი კატეგორიებით მოაზროვნე კაცობრიობას აქვს და აკმაყოფილებს მდაბიო, აგარი და ავაზაკი ბარაბას სულის შესაბამისი დამწერლობები, ენები, განათლების პროგრამა და მისგან აღმოცენებული საზოგადოებრივი და სახელმწიფო პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის რეჟიმი (კაენის ძღვენი).

ამიტომ, ღვთის დამწერლობა და ენა უცდის მესიის (იესოს) მეორედ მოსვლას დედამიწაზე, რომელიც ამ ენით განიკითხავს *„ᲧᲝᲕᲔᲚᲡᲐ ᲔᲜᲐᲡᲐ* – ხალხების უმეცებას, ცოდვას და აღუდგენს მას უცოდველი აზროვნების სულს. ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი „**ᲫᲔᲑᲐᲘ**“: **„და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალნი და დაწუნებული, მოელის დღეს მას მეორედ მოსვლასა უფლისასა“.** ამინ!

„და სასწაულად ესე აქვს:
ას ოთხი წელი
უმეტეს სხვათა ენათა
ქრისტეს მოსვლისგან დღესამომდე“.

აი, აქ, ამ ტექსტში ჩადებულია საკრალური საიდუმლო, რომელსაც გვეუბნება გენიოსი ზოსიმე შეფარვითა და გასაოცარი ალეგორიით: **ᲐᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲔᲚᲘ“** გულისხმობს, რომ ქართული ასონიშნები კოდია, გასაღებიც **მასში დევს და ა. შ.**

„ᲐᲡ ᲝᲗᲮᲘ“ გულისხმობს უფლის სულის საიდუმლო ენის გასაღებს.

იძულებული ვარ, კოდური სისტემით გითხრათ სათქმელი, ვინაიდან მარტივი ტექსტით ურთულესი საიდუმლო სიტყვას გასაღების გადმოცემა შეუძლებელია.

კოდი 10+16+4+10=41 (ალი)

კ+ო+დ+ი

20+70+4+10=104 წელი 1+14+2+1+14=32 ჭარი= დამწერლობა

ა+ნ+ბ+ა+ნ = სიტყვის შემოქმედი

1+50+2+1+50=104 წელი

ღვთაებრივი სახარება გვეუბნება: ***იესომ იცოდა რა, რომ მამამ ყველაფერი მისცა მას ხელთ, რომ ღვთისგან გამოვიდა და ღმერთთან მიდის, წამოდგა სერობიდან, გადადო ზემო სამოსელი*** (ანუ მამა ღმერთის მარადიული სახარების წიგნის დამწერლობისა და ენის შინაარსი, აუხსნა და ასწავლა მოციქულებს). ***აიღო ტილო და წელზე შემოირტყა*** (*ანუ მოციქულებს აჩვენა ქართული დამწერლობისა და ენის სიტყვის გასაღები, რომელიც არის პირიდან დასაბადებელი სიტყვის გასაწმენდი, სუფთა კოდური სიტყვის შესადგენი ერთადერთი* ***უფალი).*** ***შემდეგ ჩაასხა წყალი საბანელში და დაიწყო მოწაფეების ფეხის ბანა და იმ ტილოთი შემშრალება, რომელიც წელზე ერტყა*** (ანუ მოწაფეებს ასწავლა, როგორ მოხდება ქართული დამწერლობითა და ენით კაცობრიობის ცოდვილი აზროვნების განბანვა).

მივიდა სიმონ პეტრესთან, მან კი უთხრა: „უფალო შენ უნდა დამბანო ფეხი?“ მიუგო იესომ და უთხრა მას: „რასაც ვაკეთებ ახლა, არ იცი, მერე კი გაიგებ“ (სამღვდელოებამ ახლა არ იცის, თუ რას ნიშნავს ფეხის დაბანა, ვერ ხვდებიან, რომ მათ ქრისტეს სახელით ფეხებს ვბანთ ქართული ენით), **პეტრემ უთხრა: „უკუნისამდე არ დამბან ფეხს“, იესომ უპასუხა: თუ არ დაბბან ჩემთან არ გეძნება წილი“. სიმონ-პეტრემ უთხრა: „უფალო, არა მარტო ფეხს, არამედ ხელსაც და თავსაც“. უთხრა იესომ: „ბანბანილს აღარ ჭირდება დაბანა, გარდა ფეხებისა, რადგან ის მთლად სუფთაა და თქვენც სუფთანი ხართ, ოღონდ ყველა არა.** (მხედველობაშია ივრითი, იუდა სინაგოგას სამღვდელოება, რომელიც ცრუობს და ბიბლიის ავტორად აჩვენებს თავს მსოფლიოს) **რადგან იცოდა ვინ გასცემდა. ამიტომ თქვა ყველანი არ ხართ სუფთა“** (იოანე 13, 3-11).

თუ ჩვენ ტანისამოსს მთლიანად გავიხდით და ტიტველი დავდგებით იატაკზე (მიწაზე), სხეულის ყველა დეტალი თვალით ხილული გახდება სხვა ადამიანისთვის. მისთვის მხოლოდ ფეხის ტერფები დარჩება დაფარული და უხილავი. როდესაც ჩვენ ბიბლიის ტექსტს ვკითხულობთ, მთლიანად ვხედავთ დამწერლობის სხეულს, ანუ სიტყვის სამოსელს, ხოლო დამწერლობისა და სიტყვის საიდუმლო შინაარსს – **ᲤᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲤᲔᲑᲡ** – ვერ ვხედავთ მთლიანად.

აი, რას ნიშნავს საიდუმლო რელიგიით ქრისტეს მიერ მოწაფეებისათვის ფეხების დაბანის ალეგორია. ბოლო ორი ათასი წელია, რაც კაცობრიობამ წერა-კითხვა მასიურად ისწავლა. განსაკუთრებით XIX საუკუნიდან მოყოლებული უთვალავი წიგნი დაიწერა, მაგრამ ვერავინ ვერ მიხვდა, დამწერლობისა და ენის ხარისხი რომ განსაზღვრავს ამ ენაზე მეტყველი ხალხის ცნობიერ-შემეცნებით ხარისხს, ანუ დამწერლობითა და ენით, მართლმადიდებლური მოძღვრების საფუძველზე შედგენილი განათლების პროგრამა რომ განსაზღვრავს ერისა და ნაციის ცნობიერ-შემეცნებით ხარისხს. ეს არც ერთმა მღვდელმა, მეცნიერმა და სახელმწიფოს მეთაურმა არ იცის თანამედროვე მსოფლიოში.

მაცხოვარი იესო ეუბნება პეტრე მოციქულს: **„ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲑᲐᲜ, ᲩᲔᲛᲑᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲔᲫᲜᲔᲑᲐ ᲬᲘᲚᲘ“**, ანუ ვისაც სიღრმისეულად არ ეცოდინება ქართული დამწერლობის, ენისა და წმიდა წერილების დაფარული საიდუმლოს შინაარსი, მას ჩემთან არ ექნება წილიო, – ყველა, მთელი კაცობრიობა, მით უმეტეს პატრიარქები და ეპისკოპოსები, რომლებიც ქრისტეს სერობის ფეხის დაბანის რიტუალს ატარებენ, მაგრამ ღვთის მსახურებად არ ჩაეთვლებათ, თუ ხიღრმისეულად არ ისწავლიან ქართულ დამწერლობაში, ენასა და სიტყვაში დამარხულ საიდუმლოს და ამ საიდუმლოს არ აზიარებენ მრევლს.

სახარების ტექსტი გვეუბნება, რომ იესო ჯოხით მიწაზე წერდა და მოწაფეებს რაღაც საიდუმლოს ასწავლიდაო. დიახ, მან ქართველებსა და დანარჩენ კაცობრიობას ბევრი საიდუმლოს გასაღები დაუტოვა, მაგრამ მთავარი გასაღები დევს ქართულ დამწერლობასა და ენაში. ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი იოანე ზოსიმე: **„ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲐᲓ ᲔᲡᲔ ᲐᲥᲕᲡ, ᲐᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲔᲜᲐᲗᲐ, ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗᲒᲐᲜ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲝᲛᲓᲔ“.** იოანე ზოსიმეს მეორე ტექსტში **„ᲐᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲔᲚᲘᲡ“** ნაცვლად წერია **„ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲓᲐᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ“** წელი. ამით არაფერი არ ფუჭდება, ვინაიდან 104+40 ანბანის წილი =144=ლაზარეს, ხოლო თუ მეორე ვარიანტით ვისარგებლებთ, მაშინ 94+50 კოდი =144 ლაზარეს. ქართული კოდი **Წ-ᲔᲚᲘ, Წ-ᲔᲚᲘᲐ** გულისხმობს, რომ მამა აბრაამიდან 4X1000=4000 წლის თავზე ელია წინასწარმეტყველი და გრაალის თასის საძმო ქრისტეს მეორედ მოსვლის წინარე დღეებში დაიწყებენ ლაზარეს აღდგენის მოსამზადებელ სამუშაოებს. საიდუმლო სერობისას მაცხოვარმა წელზე რომ შემოირტყა პირსახოცი, ისიც იგივეს გულისხმობს. ასე რომ, იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება მთლიანად აღსრულდა. ამინ!

„და ეს ყოველი, რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგითხარ,
ას ოთხი ესე წელი,
და წილი ანბანისაი“

წმიდა ბიბლია გვასწავლის, რომ თითოეული ადამიანი შედგება უკვდავი სულისა და ხრწნადი სხეულისაგან, მაგრამ რა ხდება და სად მიდის ადამიანის უკვდავი სული მისი ხორცის გარსის სიკვდილი (გარდაცვალების) შემდეგ?! აღნიშნულ საკითხზე სამღვდელოებას აქვს ბუნდოვანი პასუხი, თანაც ისინი თვლიან, რომ ის, ვინც არ არის ქრისტიანი და ზიარება არა აქვს მიღებული სამღვდელოებისაგან, აბსოლუტურად კვდება და უკვდავად ქრება სამყაროდან. შეკითხვაზე ღმერთმა შექმნა ჩინელი, ინდოელი, არაბი და სხვა, მათში უკვდავი სულის ჩადება დაავიწყდა? სამღვდელოებას მოცემულ შეკითხვაზე პასუხი არა აქვს. ამიტომ ამ საკითხზე ვისაუბრებ, რადგან **„ას ოთხი ესე წელი, და წილი ანბანისაი“** ეკუთვნის არა მხოლოდ ცოცხალ 6-7 მილიარდ კაცობრიობას, არამედ n –რაოდენობის მიცვალებულებსაც.

ყველაფერი და ყოველივე არსებული სხეულის ჯვარცმით ახალი განზომილების სხეულში, ანუ ჯვარცმა არის სიცოცხლის მარადიული გაახლების აუცილებელი პირობა.

აი, თურმე სინამდვილეში რას გულისხმობს გენიოსი იოანე ზოსიმე **„ᲐᲡᲝᲗᲮᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡᲐᲘ“** -ს ტექსტის საიდუმლო კოდით.

ისევ ვიმეორებ, რომ თითოეულ ადამიანში, რომელიც ახლა ცხოვრობს დედამიწაზე და ცხოვრობდნენ წუთისოფლის დასაბამიდან, ინფორმაციის სახით დევს მარადიული სიცოცხლის პროგრამის წიგნი, რომელიც შედგენილია ქართული დამწერლობითა და ენით, რომლის საიდუმლო გასაღებია 104 წელი და 40 წილი ანბანისაი = 144 = ლაზარე. ასე რომ, გამჩენი ღმერთის წინაშე ყველანი, ვინც კი ცხოვრობს დედამიწაზე და n – რაოდენობის მიცვალებულები, თანასწორნი ვართ.

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲮᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲝᲠᲘ ᲡᲐᲗᲠᲔᲕᲔᲚᲐ

ᲠᲐ ᲐᲮᲐᲠᲮᲐᲠᲔᲑᲗ?

ᲠᲐ ᲐᲮᲐᲠᲮᲐᲠᲔᲑᲗ?
ᲐᲕᲔᲘᲝᲑᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲡ
„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-ᲝᲠᲘ“ – ᲡᲘᲪᲠᲣᲘᲡ ᲛᲐᲪᲜᲔ,
ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲬᲐᲦᲛᲐᲠᲗ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲕᲪᲓᲔᲗ, –
ᲠᲐ ᲣᲮᲐᲠᲘᲐᲗ ᲨᲝᲣᲛᲔᲜ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ,
ᲠᲐ ᲐᲮᲐᲠᲮᲐᲠᲔᲑᲗ ᲨᲝᲣᲛᲔᲜ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ,
ᲠᲐᲓ ᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐᲗ „ᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲘ“ ᲜᲐᲪᲔᲑᲡ?
ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲕᲘᲜ ᲒᲐᲒᲕᲪᲔᲛᲡ?

ᲖᲔᲓᲐᲮᲝᲠᲐ

ᲐᲡᲔ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲐᲦᲝᲠᲐ,
ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲔᲫᲔᲑᲓᲐ ᲤᲐᲠᲡᲐᲒᲡ,
ᲓᲐᲔᲢᲧᲝ ᲖᲔᲓᲐᲮᲝᲠᲐ
ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲡᲐᲠᲓᲡ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲐᲓᲡ,
ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲮᲚᲘᲩᲐ ᲝᲠᲐᲓ,
ᲝᲠᲐᲓ ᲙᲘ ᲐᲠᲐ – ᲐᲡᲐᲓ,
ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲛ,
ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚ-ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ!

ᲥᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲐᲒᲛᲔᲑᲘ

ᲛᲢᲔᲠᲘ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲙᲔᲢᲐᲕᲡ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ
ᲡᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲔᲑᲡ,
�თᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲠᲘᲧᲕᲘᲐ,
ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲚᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲡᲐᲛ-
ᲨᲝᲑᲚᲝ-ᲡᲐᲕᲐᲜᲔ
ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲠᲘᲧᲘ-
ᲐᲗ,
ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲗᲐ
ᲥᲐᲠᲐᲕᲜᲔᲑᲡ,
ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚ ᲐᲛᲘᲜᲓᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ
ᲓᲐᲤᲝᲤᲝᲜᲔᲑᲔᲜ
ᲓᲐ ᲥᲐᲠᲘ ᲛᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲛᲐᲗ ᲜᲐᲬᲔᲠ
ᲥᲐᲠᲐᲒᲛᲔᲑᲡ,
ᲕᲘᲜ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲕᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲠᲐᲡ
ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ!

ᲖᲔᲓᲐᲮᲝᲠᲐ

ᲐᲡᲔ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲐᲦᲝᲠᲐ,
ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲔᲫᲔᲑᲓᲐ ᲤᲐᲠᲡᲐᲒᲡ?
ᲓᲐᲔᲢᲧᲝ ᲖᲔᲓᲐᲮᲝᲠᲐ
ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲡᲐᲠᲓᲡ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲐᲓᲡ;
ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲮᲚᲘᲩᲐ ᲝᲠᲐᲓ,
ᲝᲠᲐᲓ ᲙᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲡᲐᲓ,
ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲛ,
ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚ-ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ!

ᲡᲐᲗᲠᲔᲕᲔᲚᲐ 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲒᲐᲦᲐᲡᲐᲗᲠᲔᲕᲖᲔ

ᲫᲘᲠᲡ ᲜᲐᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ!

ᲘᲛᲔᲓᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲓᲐᲐᲥᲪᲘᲐ,
ᲕᲘᲜᲪ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲐᲥᲪᲘᲐ
„ᲪᲝᲪᲮᲖᲔ“ ᲨᲔᲛᲭᲦᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲛᲐᲭ-
ᲪᲘᲐ,
ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲒᲕᲘᲨᲕᲔᲚᲔ, ᲭᲘᲠᲡ ᲐᲒᲕᲐᲪᲘᲚᲔ:
ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲘ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲥᲪᲘᲐᲡ!
ᲨᲔᲒᲕᲔᲗᲐᲛᲐᲨᲐ ᲒᲐᲜᲐ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ, –
ᲔᲙᲐᲚᲑᲐᲠᲓᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲑᲐᲠᲓᲜᲔᲑᲘᲗ
ᲓᲐ „ᲪᲝᲪᲮᲝᲡᲐᲜᲗᲐ“ ᲒᲐᲜᲐᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ.
ᲔᲘᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲕᲑᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ
ᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲡᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲜᲓᲔᲑᲘ.
ᲕᲘᲜᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲙᲜᲐᲓ ᲐᲥᲪᲘᲐ
ᲓᲐ „ᲔᲠᲘᲡ“ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲒᲕᲘᲮᲛᲝᲑᲡ „ᲜᲐ-
ᲪᲘᲐᲓ“,
ᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲮᲕᲐᲛᲚᲘ, ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲒᲐᲪᲘᲐ,
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲖᲜᲔᲝ ᲐᲠᲐᲙᲐᲪᲘᲐ
ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲑᲔᲓᲐᲕᲡ ᲐᲥᲪᲘᲐᲡ!
ᲐᲠᲐ, ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲪᲚᲘᲐᲜ,
ᲛᲘᲡ�გᲐᲜ ᲜᲐᲢᲐᲜᲯ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲘ
ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ,
ᲪᲮᲕᲘᲠᲡ ᲛᲝᲣᲒᲠᲔᲮᲔᲜ, ᲦᲓᲘᲜᲡ ᲒᲐᲐ-
ᲪᲚᲘᲐᲜ,
�თᲣ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲑᲔᲓᲐᲕᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐᲡ
ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲐᲥᲪᲘᲐ!

ᲒᲝᲚᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ, ᲒᲝᲚᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲜᲐᲢᲔᲮᲘ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔ-
ᲚᲐᲓ ᲡᲣᲠᲐᲗᲡ,
ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ
ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲪᲜᲝᲑᲐ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲛᲫᲐᲤᲠᲘᲐ
ᲓᲐ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲒᲝᲚᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ,
ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲣᲡᲐᲡᲠᲣᲚᲝᲓ ᲛᲔᲝᲠᲓᲔᲑᲐ ᲒᲖᲘᲡ
ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ
ᲙᲐᲔᲜᲘᲓᲐᲜ ᲘᲣᲓᲐᲛᲓᲔ,
ᲘᲣᲓᲐᲓᲐᲜ – ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘ-
ᲜᲘᲛᲓᲔ
ᲓᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ, –
ᲕᲘᲓᲠᲔ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲗ
ᲠᲐ ᲑᲔᲓᲔᲜᲐᲐ,
ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲠᲐᲡ ᲘᲜᲔᲑᲔᲑᲡ,
ᲓᲐᲜᲐ ᲛᲝᲒᲙᲚᲐᲕᲡ, ᲗᲣ
ᲢᲧᲕᲘᲐ – ᲛᲘᲡ�გᲐᲜ ᲜᲐᲡᲠᲝᲚᲘ?
ᲓᲐᲔᲨᲕᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲤᲠᲔᲑᲘ
ᲓᲐ ᲯᲐᲛᲘ ᲐᲦᲛᲐᲤᲠᲔᲜᲘᲡ;
ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ,
ᲠᲝᲪᲐ ᲪᲮᲐᲓᲚᲘᲕ ᲮᲔᲓᲐᲕ,
ᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲐᲔᲚᲐᲕᲡ,
ᲠᲝᲛ ᲨᲣᲠᲘᲗ ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲛᲐ ᲙᲐᲔᲜᲛᲐ
ᲘᲡᲔᲕᲔ ᲘᲛᲘᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲝᲡ ᲐᲑᲔᲚᲘ!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲑᲔᲚᲘᲐ

სამეტყველო ბგერების წარმოშობისა და მეგრულ (იბერიულ) ენაში მათგან მნიშვნელობების მიღების შესახებ

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ავტორები ძირისეულ ფორმას **ხ**, ხმაბაძვითი წარმომავლობისად მიიჩნევენ, მაგრამ არ აკონკრეტებენ ბგერათა კომპლექსის **ხ**, გამღებ რეალობას.

ბგერა **ხ** უკანა სასისმიერი ბგერაა. გაურკვეველია, რატომ მიიღო ბგერა-სიტყვამ **ხ**, ზემოაღნიშნული მნიშვნელობები.

იბერიულ (ე.წ. მეგრულ) ენაში გვაქვს, კიდევ, მე-3 პირის ზმნა **ხონ**, (ხნა), ზოგადი ფორმით, **ხონუა** (ხვნა). ამ სიტყვის გაუხმოვანებელი, ანუ ძირისეული ფორმა უნდა ყოფილიყო **ხ,ნ,,** სადაც **ხ**, და **ნ**, ადამიანთა შეკავშირებული ჩანს.

ცნობილია, რომ მიწის დამუშავება (ხვნა, ბარვა) ხდება დატკეპნილი მიწის სიღრმეში წყლის უკეთ შეღწევის მიზნით. ხშირად ნაყოფის მომცემ ხეებს ამ მიზნით შემოაბარავენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ **ნ**, წყალს ნიშნავს. ხოლო ხ, , ,... ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ გუთნით, ან მეგრული **„აგაფა“**-თი მიწის გატეხვისას. ე.ი. **ხ,ნ**, უნდა ნიშნავდეს **ხ**, , **წყლისთვის**-ას, ანუ **ხვნა**-ს (ხ,ნ, ხუნა ხვნა).

ამდენად, შესაძლოა, ძირისეული ფორმა **ხ, ხნა**-ს მნიშვნელობითაც იხმარებოდა (ხ,ნ, ᲮᲮ,ნა ხნა). იბერიულში კი ხ,ნ, ხონ, (ხნა).

ამ უკანასკნელ **ხ**, , ბგერათა კომპლექსზე ხმაბაძვით და შემდგომ მისი ემფაზიის გარეშე წარმოთქმის მცდელობისას შეიძლებოდა მიგვეღო **ხ** ბგერა.

Ხ(//Ꭶ, [,]). ბგერა-სიტყვა Ꭶ, [,] იხმარება სამი მნიშვნელობით: 1. Ꭶ,//Ꭶუ (პეშვი); 2. Ꭶ,//Ꭶუ (ამხია). მაგ., **ნ,გა დუდიგიმე** Ꭶ**უ** („ვედრო“ თავქვე ამხია); 3. Ꭶ, ,//Ꭶ**უუ** (შალა). მაგ., **გოჩაქ, ,ᲮᲘᲮᲔ ᲪᲣᲓᲔᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲪ, დიდი აშენკონი, ᲯᲕᲔᲨᲘ ᲮᲘᲮᲔ ᲪᲣᲓᲔ დო-**Ꭶ, , (გოჩამ, პატარა სახლის ადგილას დიდი რომ აეშენებინა, ძველი პატარა სახლი და-**შალა**). როგორც ვხედავთ, მე-2 და მე-3 მნიშვნელობებით Ꭶ, და Ꭶ, , მე-3 პირის ზმნებია და ირთავენ რა, ყველა ზმნისწინს და რიგ სუფიქსს, გვაძლევენ მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას. შვიდტომეულის ავტორებს ძირისეული ფორმა Ꭶ, საერთოდ, განხილული არა აქვთ.

სიტყვაში ხორხისმიერი Ꭶ ბგერის მომდევნო ბგერა ყოველთვის ხმოვანია (მᲮარი, მᲮედარი, ჩᲮირი, ᲮოᲯი (ხარი), ᎦუᲯი (მხარი), Ꭶუნდი და სხვ.). ცალკე აღებულიც Ꭶ ბგერა წარმოითქმება ამ თანხმოვანთან თანმხლები ირაციონალური ბგერის განსაკუთრებული ემფაზიის პირობებში. ამიტომ ის გამოითქმება პირდაღებულ მდგომარეობაში. ამიტომაცაა ის ხორხისმიერი.

Ꭶ, , ,.., თუ **ᲮᲣᲣᲣᲣ...** გაბმულ ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ, თუ თითებმოხრილ ხელის მტევანს დავიფარებთ ყურზე. ალბათ, ამიტომ ეწოდა თითებმოხრილ ხელის მტევანს **Ꭶუ**.

Ꭶ, , ,Ꭶ, , , და ა.შ. გვესმის პერიოდულად მძინარე ადამიანის **Ꭶ**ᲣᲠᲘᲜᲣᲐ (ხვრინვა). აღნიშნულ ბგერათა კომპლექსებზე ხმაბაძვით შეიძლებოდა მიგვეღო ხორხისმიერი Ꭶ ბგერა.

ᲯᲕ(//Ꭶ,). ბგერა-სიტყვა Ꭶ, იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. Ꭶ,//ᎦᲐ (ხე); 2. Ꭶ, (წვა). მაგ., **ᲨᲣᲚᲐᲓᲘᲠᲘ ᲛᲝᲮᲐᲜᲓᲔᲥ, ᲝᲜᲯᲣᲐᲡ ᲐᲓᲠᲔ ᲥᲘᲓᲘ-Ნ-Ꭶ**, (დაღლილი მშრომელი საღამოს ადრე კი და-წვა); აქ **ნ** ბგერა მოგვიანებით განვითარებული უნდა იყოს. გვაქვს სიტყვა **Ꭶ,ᲜᲪ,//ᎦᲐᲜᲪ**, (წევს). აქედან უნდა იყოს მიღებული შემოკლებული სიტყვა **ᎦᲐᲜ**[Ც,] (წევს).

როგორც ვხედავთ, ბგერა-სიტყვა **Ꭶ**, მე-3 პირის ზმნაა და ირთავს რა იბერიულ ენაში არსებულ ყველა ზმნისწინს და ზოგ სუფიქსს, გვაძლევს მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას, რაც შვიდტომეულის ავტორებს გათვალისწინებული არა აქვთ.

„ᲫᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ Ꭶ, ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲓᲒᲔᲜᲘᲐ“-ო, – მიუთითებენ შვიდტომეულის ავტორები.

Ꭶ, , ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ, სწორი ხის მორის, თუ ხის წაქცევის დროს მიწის სწორ ზედაპირზე გართხმის (გა-წოლ-ის) მომენტში. ამიტომ ეწოდა **ᲮᲔᲡ** იბერიულ ენაზე **Ꭶ,//ᎦᲐ,** ხოლო **ᲬᲕᲐᲡ, ᲓᲐ-ᲬᲕᲐᲡ Ꭶ,(//Ꭶ,)**. **Ꭶ**, , ბგერათა კომპლექსზე ხმაბაძვით და შემდგომ მისი ემფაზიის გარეშე წარმოთქმის მცდელობით შეიძლებოდა მიგვეღო ბგერა Ꭶ.

(Ც//Ც, [ ].)ბგერა-სიტყვა (Ც,//Ც,) იხმარება ერთადერთი მნიშვნელობით: **Ც**, ,(ᲰᲧᲝ, ᲥᲛᲜᲐ). ბგერა-სიტყვა **Ც**, , ირთავს რა იბერიულ ენაში არსებულ ყველა ზმნისწინს და რიგ სუფიქსს გვაძლევს მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას, ეს კი გათვალისწინებული აქვთ შვიდტომეულის ავტორებს. „Ც, ,ძირისეული ფორმა ხმაბაძვითია“-ო, აღნიშნავენ შვიდტომეულის ავტორები, მაგრამ რა რეალობაზე ხმაბაძვით მიიღო **Ც**, ,ბგერათა კომპლექსმა **ᲰᲧᲝ, ᲥᲛᲜᲐ**-ს მნიშვნელობა მითითებული არა აქვთ და, საერთოდ, ძალზე ხშირად არ აკონკრეტებენ რა რეალობის საფუძველზე მიიღო ამა თუ იმ ძირისეულმა ფორმამ ესა თუ ის მნიშვნელობა და, კონკრეტულად, რა რეალობაზე ხმაბაძვით წარმოიშვა ესა თუ ის თანხმოვანი ბგერა.

Ც, Ც, Ც, ,Ც, , , , , ბგერათა კომპლექსს გამოსცემს მამალი. შესაბამისად, გვაქვს სიტყვა **ᲪᲘᲝᲜᲝ** (ყივილი).

Ც, , ბგერათა კომპლექსის **ᲰᲧᲝ, ᲥᲛᲜᲐ**-ს მნიშვნელობით წარმოშობა კი დაკავშირებულია ქალ-ვაჟის ინტიმურ საიდუმლოსთან და ამიტომ, შეიძლება, აარიდეს თავი მის დაფიქსირებას შვიდტომეულის ავტორებმა, მაგრამ ეს მეცნიერებაა და მეცნიერებისათვის საიდუმლო არ უნდა არსებობდეს.

Ც, ,Ც, ,Ც, , და ა.შ. ბგერათა კომპლექსს გამოსცემს ნებისმიერი ეროვნების ქალი სქესობრივი აქტის დროს ორგაზმში ყოფნის მომენტში. სწორედ, ამ მომენტში გაღეღებულ ბგერათა კომპლექსზე ხმაბაძვით მიღო ძირისეულმა ფორმამ **Ც**, , **ᲰᲧᲝ**-ს, **ᲥᲛᲜᲐ**-ს მნიშვნელობა, რადგან, სწორედ ამ მომენტში ხდება ყოფიერება, **ᲥᲛᲜᲐ** (ჩასახვა) ახალი სიცოცხლისა.

Ც, , ბგერათა კომპლექსზე ხმაბაძვითა და შემდგომ მისი ემფაზიის გარეშე წარმოთქმის მცდელობით შეიძლებოდა Ც ბგერის მიღება.

6652 ძირისეული ფორმა აქვთ შვიდტომეულის ავტორებს განხილული და ხშირად აღნიშნავენ, რომ ესა და ეს ძირისეული ფორმა ბუნებითია (ხმაბაძვითია), მაგრამ იშვიათად აკონკრეტებენ რა რეალობაზე ხმაბაძვით მიიღეს მათ ესა თუ ის მნიშვნელობა. **„მაგალითად, აღნიშნავენ, რომ „რტყ, ძირისეული ფორმა ხმაბაძვითია“**, მაგრამ რა რეალობა გამოსცემს ამ ბგერათა კომპლექსს და რის საფუძველზე აქვთ მიღებული სიტყვებს **ᲝᲠᲢᲧᲐᲤᲣ** (სარტყელი), დარტყმა და სხვა, არ აკონკრეტებენ.

თუ მოქნილ, ბრტყელ და გრძელ საგანს, მაგ., აკაციის ქერქს გლუვზედაპირიან ხეს შემოვკრავთ, იგი ხეს ირგვლივ შემოევლება (შემოეკვრება) და გავიგონებთ ჰარმონიულ ბგერათა კომპლექსს **რტყ**, , ამ ბგერათა კომპლექსზე ხმაბაძვითა და მის გამღებ რეალობაზე მიმსგავსებით მიიღო წელზე შემოსავლებმა საგანმა სახელდება **Ო-ᲠᲢᲧ-ᲐᲤᲣ (ᲡᲐ-ᲠᲢᲧ-ᲔᲚᲘ)**. ასევე, რომელიმე საგანზე სხვა საგნის, თუ ხელის შემოკვრამ მიიღო სახელდება **ᲓᲐ-ᲠᲢᲧ-ᲛᲐ**.

„ᲠᲩᲮ, , ძირისეული ფორმა ხმაბაძვითია“-ო, – აღნიშნავენ შვიდტომეულის ავტორები, მაგრამ, ასევე, არ აკონკრეტებენ, რის საფუძველზე მიიღო აღნიშნულმა ძირისეულმა ფორმამ რეცხვას მნიშვნელობა.

დამდგარ, ან ძალზე მდორედ გადაადგილებადი წყლის კალაპოტის ფსკერი მუდამ სლიპინა და ზგლეტიაა, ხოლო სიმაღლიდან ვარდნადი წყლის დაღვრის ადგილზე ყველაფერი გაპრიალებულია. პირველ შემთხვევაში, ჰაერში არსებული მტვერი ილექება უმოძრაო წყლის აუზის ფსკერზე და ხდის მას სლიპინას და ზგლეტიას, ხოლო სწრაფად, ვარდნის სიჩქარით დაცემული წყალი არ აძლევს მტვერს გაჩერების საშუალებას და აქ ყველაფერი გაკრიალებულია. უმოძრაო წყალი არავითარ ბგერას არ გამოსცემს, ხოლო სიმაღლიდან ვარდნილი წყალი გამოსცემს ბგერათა კომპლექსს **ᲩᲮ,Რ,Რ,Რ**, და მის ქვეშ ყველაფერი გაკრიალებულია. ეს ბგერათა კომპლექსი ჩვენი უძველესი წინაპრის გონებაში, შემოკლებით, ასე დაფიქსირდა: **ᲩᲮ,Რ**,. დროთა განმავლობაში, ენათმეცნიერებაში კარგად ცნობილი ფონეტიკური კანონზომიერება – მეტათეზისი (სიტყვაში ბგერათა ადგილის შეცვლა) მოხდა და ამგვარად მივიღეთ ფორმა **Რ,ᲩᲮ**,, მაგრამ იბერიულ მეტყველებაში **Რ**-სთან , ბგერას მახვილი არ ეცემა და არ გახმოვანებულა და ამიტომ მოგვიანებით, საერთოდ, გაქრა, რომლის შემდეგ **Რ** ბგერა **ᲩᲮ**, კომპლექსს მჭიდროდ შეეკრა და მივიღეთ **ᲠᲩᲮ**,. ხოლო რეცხვის მომენტის უკეთ გამოხატვის მიზნით , ბგერას მეტი ემფაზიის (სახმოსნო ორგანოების მეტი დაძაბვით) გამოთქვამდნენ და საბოლოოდ მივიღეთ **ᲠᲩᲮ, ,** იბერიული ენის ქართლურ დიალექტზე კი ფორმაში **Რ,ᲩᲮ**, მახვილი, ალბათ, , ბგერას **Რ**-სთანაც ეცემოდა და **Ხ**-სთანაც, ამიტომ , ბგერა ორივე ადგილას გახმოვანდა და მივიღეთ **ᲠᲔᲩᲮᲐ ᲠᲔᲪᲮᲐ** (იბერიულ ᲩᲮ-ს ხშირად ცვლის ქართული **ᲪᲮ**).

„ᲢᲧ,Რ, ᲫᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲮᲛᲐᲑᲐᲫᲕᲘᲗᲘᲐ“-ო, – აღნიშნავენ ზემოხსენებული ავტორები, მაგრამ არ უთითებენ რა რეალობა გამოსცემს **ᲢᲧ,Რ**, ბგერათა კომპლექსს და რის საფუძველზე მიენიჭა მას სიცრუის, ტყუილის მნიშვნელობა.

ჩვენი აზრით, ბუნებაში არ არსებობს **ᲢᲧ,Რ**, ძირისეული ფორმის ასე შეკავშირებული სახით გამღები რეალობა. ის **ᲢᲧ**, და Რ, ფორმათა კომპოზიტი უნდა იყოს. ფორმა **Რ**,, გახმოვანების შემდეგ **ᲠᲔ** (არის), რაღაც რეალობის არსებობის დამადასტურებელი სიტყვაა და **ᲢᲧ**,-ს არსებობის უკეთ დადასტურებისათვის უნდა იყოს დამატებული, ხოლო **ᲢᲧ**, ბგერათა კომპლექსს გამოსცემს გადამწიფებული, უფრო სწორად, უკვე გახრწნილი, საკვებად უვარგისი მსხალი, ლეღვი, ტყემალი და სხვა ნაყოფი ჩამოვარდნისას, დაცემის მომენტში, და დაიქცევა მიწაზე. ასეთი ნაყოფი სანამ ასხია, ფორმაშენარჩუნებული, ვარგისიანობის შთაბეჭდილებას ტოვებს შორიდან, მაგრამ ხშირად იმედგაცრუებული ვრჩებით, თუნდაც ხელით მოვწყვიტოთ. ხოლო ვარგისი ნაყოფი გამოსცემს სულ სხვა ბგერათა კომპლექსს დაცემისას და, შეიძლება, დაზიანდეს, მაგრამ გარეცხვის შემდეგ ვარგისია საკვებად. სწორედ ამიტომ მიენიჭა **ᲢᲧ**, ბგერათა კომპლექსს სიცრუისა და სიყალბის გამოხატვის ფუნქცია. აქედან წარმოსდგა სიტყვა **ᲢᲧᲣᲘᲚᲘ** (ტყუილე ტყუირე ტყ,რე ტყ,რ,).

კუკური ფიფია,
„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-
სამეცნიერო აკადემიების წევრი,
კოლხური კულტურული
მემკვიდრეობის შესწავლისა და
დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

სისასტიკის ამსახველი ფოტოები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა

მეხსიერებისთვის დამახასიათებელია ცუდი მოვლენების მივიწყება. **“ერს, რომელსაც არ ახსოვს საკუთარი წარსული, არ აქვს მომავალი”**, – ამბობდა უინსტონ ჩერჩილი. წარსულის შეცდომები მუდამ უნდა გვახსოვდეს, რათა არასდროს გავიმეოროთ...

გთავაზობთ სისასტიკის ამსახველ ფოტოსურათებს, რომლებმაც მსოფლიო შეძრა.

1. 1930 წელს ამერიკაში, თეთრკანიანი გოგონას გაუპატიურების ბრალდებით, 2 შავკანიანი მამაკაცი ჯერ აწამეს, ხოლო შემდეგ ხეზე ჩამოახრჩვეს. ბრალდებულების ლინჩის წესით გასამართლებას სამართალდამცავებმაც კი არ შეუშალეს ხელი. მოგვიანებით კი დადასტურდა, რომ მამაკაცები შეცდომით დაადანაშაულეს და მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ამ დანაშაულთან. თუმცა, თეთრკანიანთა მხრიდან მუდმივი აგრესიის გამო, ამერიკის შავკანიანი მოსახლეობა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში უფრთხოდა ქუჩაში გასვლას.

2. სურათი ცნობილი ფაშისტის პირადი ფოტო ალბომიდან. ფოტოს უკანა მხარეს აქვს წარწერა: “უკანასკნელი ებრაელი ვინიციდან”. 1941 წელს ვინიცის რეგიონში 28 ათასზე მეტი ებრაელი მოკლეს.

3. სამხრეთ ვიეტნამის ქვედანაყოფის გენერალი ნგუენ ჰგოკ ლოანი ტყვედ აყვანილ პარტიზანს კლავს.

4. 1998 წელი, სუდანი, ტყვეთა ბანაკი. ყოველდღიურად 100-ზე მეტი ადამიანი შიმშილისგან კვდება. ქვეყანაში ჰუმანიტარული კრიზისია. ბრიტანელმა ფოტოგრაფმა ტომ სტოდარტმა ფირზე აღბეჭრა შიმშილისგან დასუსტებული ბიჭუნა, რომელიც საკვების მისაღებად იდგა რიგში, თუმცა, კუთვნილი პროდუქტი სხვამ მოპარა. იმის გამო, რომ მოზარდი ძალიან დასუსტებულია, ის ვერ ახერხებს ფეხზე დადგომას და საჭმლის ქურდს, ხოხვით მისდევს.

5. ამ ფოტოსურათმა 2007 წელს პულიცერის პრემია მიიღო. კადრზე აღბეჭდილია, როგორ უწევს ებრაელი ქალი წინააღმდეგობას ჯარისკაცებს, რომლებიც მას ტერიტორიის უკანონოდ მითვისებაში ადანაშაულებენ.

რა იცი საქართველოს დედაქალაქის თაობაზე

რა უძღოდა წინ ქალაქის პრესტიჟული უბნების – ვაკე-საბურთალოს გაშენებას

თბილისის ისტორიაში თითქმის ყველა ეპიზოდი საინტერესოა, განსაკუთრებით კი მისი ცენტრალური თუ გარეუბნების დაარსებისა და განაშენიანების ამბავი.

ამიტომ გვინდა, ისტორიას XIX საუკუნიდან მოვყვეთ და დღევანდელობამდე მოვიდეთ. ამჯერად მთავარი აქცენტები კი თბილისის ისეთ ცენტრალურ უბნებზე გავაკეთოთ, როგორიც არის, ვაკე-საბურთალო. რა უძღოდა წინ ამ პრესტიჟული უბნების გაშენება-განვითარებას?

თემის გაშლა კი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთანამშრომელს, ალექსანდრე ბოშიშვილს ვთხოვეთ:

– თბილისი მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე, ანუ თბილისის ქვაბულშია გაშენებული და ბუნებრივია, მთელი ისტორიის მანძილზე, ქალაქის გაფართოება,

მდინარის სანაპიროებს მიუყვებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც თბილისი კავკასიის ცენტრად გამოცხადდა და რუსი მთავარმართებლებისა და მეფისნაცვლების სამყოფელს წარმოადგენდა, იმ დროიდან, საქართველოს ისტორიის ფეოდალურ ეპოქაში ქალაქმა გაშენება შემოსაზღვრული კედლების გარეთ დაიწყო, პირველად, ციხის კედლის მიღმა არსებული **"გარეთუბანი"** (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) იქნა ათვისებული, მალე მის გაყოლებაზე, მთელი პროსპექტი გაშენდა და ქალაქმა, მანამდე მისგან ოდნავ მოშორებულ სოფელ ვერემდეც მიაღწია.

XIX საუკუნეში გაშენებული უბნები, დღევანდელი რუსთაველის გამზირი, მთაწმინდა და სოლოლაკი, მეფისნაცვლის, ქართველი დიდებულების, ქალაქისა და მთლიანად, ქვეყნის მმართველი ელიტის, ასევე დიდვაჭრების საცხოვრებელი იყო, შესაბამისად ისინი იმ დროს, უკვე ყველაზე პრესტიჟულ უბნებად მიიჩნეოდა. ერთმანეთის მიყოლებით შენდებოდა მსოფლიოში ცნობილი არქიტექტორების მიერ დაპროექტებული სახლები, რომელთაც, მოგვიანებით ცნობილი მხატვრები ხატავდნენ და ა.შ.

– ქალაქი, როგორც ცნობილია, მტკვრის მეორე მხარესაც განვითარდა...

– რა თქმა უნდა, მეორე კედლიდანაც გავიდა, და იქაც გაჩნდა ახალი უბნები და დასახლებები, სადაც შედარებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, ამიტომ ამ უბნებმა (ავლაბარი, ელია და სხვა) ისეთი სტატუსი ვერ

მოიპოვა, როგორიც სოლოლაკმა, გოლოვინის პროსპექტმა (დღევანდელი რუსთაველის გამზირი), მთაწმინდამ...

– სოფელი ვერე ახსენეთ. მასზე უფრო ვრცლად რომ ვისაუბროთ...

– დიახ, XIX საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით, XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი ორივე მიმართულებით ფართოვდებოდა და გოლოვინის პროსპექტის გაგრძელებაზე, ყველაზე ადრე ქალაქმა ვერე შთანთქა, რომელიც მანამდე თავისი ბაღებით იყო ცნობილი და ქალაქს ხილითა და ბოსტნეულით ამარაგებდა.

ვერე ისტორიულ წყაროებში XIII საუკუნიდან ჩანს, ამავე პერიოდშია აგებული **"ლურჯი მონასტერიც"**. იქ XIX საუკუნეში ახალი უბნები გაჩნდა (ვარდისუბანი, ვაკე, საბურთალო), რომლებიც მდინარე ვერეს ხეობაში იყო განლაგებული. სოფელ ვერეში XIX საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა ქალაქური საცხოვრებელი სახლების განაშენიანებამ, საუკუნის ბოლოს უკვე ვაკის სახღვარს (ვარაზის ხევს) მიაღწია. ვარაზის ხევი, როგორც სახელიც გვეუბნება, იმ დროს უზარმაზარ ხევს წარმოადგენდა.

– და XX საუკუნეში ქალაქი უკვე ახალი გამოწვევების წინაშე დადგა?

– XX საუკუნეში ხელისუფლების ცვლილებების მიუხედავად, ქალაქის გაფართოება და განაშენიანება ყველა დროში აქტიურად მიმდინარეობდა.

ვარაზის ხევზე დიდი ხიდი იყო გადებული, ხოლო ხევის გაღმა სათავადაზნაურო გიმნაზიის, დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მშენებლობა დაიწყო. როგორც ჩანს, ამ უბნის შემდგომ განვითარებას და მისი, როგორც ქალაქის პრესტიჟულ, განვითარებულ და კეთილმოწყობილ უბნებად ჩამოყალიბებაში უნივერსიტეტის მშენებლობამ დიდი როლი შეასრულა.

განათლების ამ ტაძრის აშენებიდან ძალიან მალე, 1907 წელს, ვაკე თბილისს შემოუერთდა. მისი ინტენსიური განაშენიანება კი XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ დაიწყო, ხოლო ვარაზის ხევის ამოვსების შემდეგ კი ვაკე ფართო ქუჩით ქალაქის სხვა ცენტრალურ რაიონებსაც დაუკავშირდა. დღეს ის ერთ-ერთი დიდი საცხოვრებელი რაიონია, სადაც საცხოვრებელი სახლები, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები აშენდა. საცხოვრებელი სახლების უმეტესობა საბჭოთა კავშირი-გერმანიის ომის (1941-1945 წწ.) წინა პერიოდში (არქიტექტორები: ნ. სევეროვი, ი. მეგელი, გ. ხიმშიაშვილი, ნ. ლეონტიევი, ა. კოჩინაშვილი, გ. ჯანდიერი) აიგო, რადგანაც იქ სახლების უმეტესობა საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენდა.

ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ უბნის დაწინაურება საბჭოთა ხელისფლების მესვეურთა სურვილის, ანდა, რაიმე გადაწყვეტილების გამო მოხდა, ეს ასეც რომ ყოფილიყო, უნივერსიტეტის აქ აშენებით ამ საქმეს უკვე საფუძველი ჰქონდა ჩაყრილი.

– ვაკეში თავდაპირველად მთავარ ქუჩას რა ერქვა?

– მთავარ ქუჩას წყნეთის გზა წარმოადგენდა და მას მოგვიანებით წყნეთის ქუჩაც ეწოდა, იგი დაახლოებით დღევანდელი ფილარმონიიდან იწყებოდა და წყნეთამდე გრძელდებოდა. აღნიშნული ქუჩა 1867 წელს უკვე არსებობდა, XX საუკუნის 20-იან წლებში მას უნივერსიტეტის ქუჩა

დაერქვა და ამ სახელით არის დატანილი იმ დროს შედგენილ თბილისის გეგმებსა და რუკებზე, ხოლო 1935 წელს ის ნიკო მარის ქუჩა გახდა, 1950-იან წლებში ცოტა ხანს უნივერსიტეტის სახელი დაუბრუნდა, ხოლო 1957 წლიდან მას ილია ჭავჭავაძის სახელი მიანიჭეს, დაბადებიდან 129 წლისა და გარდაცვალებიდან 50 წლის აღსანიშნავად.

– ვარაზის ხევს ალბათ თავის ისტორია აქვს...

– კი, საინტერესო ისტორია აქვს ვარაზის ხევს, რომელიც მართლაც უზარმაზარი ხევი გახლდათ. იგი XX საუკუნის 40-იან წლების ბოლოს იქნა ამოვსებული, მანამდე, როგორც უკვე აღვნიშნე, დღევანდელი პეტრე მელიქიშვილისა და ილია ჭავჭავაძის გამზირები ვარაზის ხევზე გადებული ხიდით იყო დაკავშირებული. ვარაზის ხევის ზედა ნაწილის ამოვსების შედეგად წარმოიქმნა კ. კეკელიძის ქუჩა, სახელი 1962 წელს ეწოდა, ხოლო 60-70-იან წლებში აქ საცხოვრებელი კორპუსები აშენდა...

დღევანდელი ჭავჭავაძის გამზირის პარალელურად, ვაკეში სხვა ქუჩებიც წარმოიქმნა, რომლებიც დაახლოვებით ერთ პერიოდში გაშენდა. მაგალითად, დღევანდელი ფალიაშვილის ქუჩაც XX საუკუნის 20-იან წლებში გაჩნდა, თავიდან ვაკის ქუჩა, ხან ვაკის გამზირი ერქვა, ხოლო 30-იან წლებში ზაქარია ფალიაშვილის სახელი ეწოდა.

– საბურთალო ვაკის პარალელურად ვითარდებოდა?

– თბილისი ვაკის მიმართულებით გაფართოებით არ კმაყოფილდებოდა და პარალელურად, საბურთალოს განაშენიანებაც მიმდინარეობდა. საბურთალო მტკვრის მარჯვენა მხარეს, დასავლეთით მდებარეობს. მდინარე ვერესა და მტკვარს შორის. მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ადამიანი იქ ჯერ კიდევ ძვ.წ. V-IV ათასწლეულში სახლობდა, XI-XIII საუკუნეებში საბურთალო ქალაქისპირა მზარდი უბანი ყოფილა. ხოლო XVII-XVIII საუკუნეებში ვერეს ფარგლებში შედიოდა და მის დაწინაურებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონს წარმოადგენდა. საბურთალოს ველის მორიგი დასახლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. 1917 წელს კი საბურთალო უშუალოდ ქალაქის ტერიტორიული ნაწილი გახდა.

საბურთალოზე XX საუკუნის 20-იან წლებში, დღევანდელი პეკინის, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირებისა და მათ ირგვლივ ქუჩების განაშენიანება დაიწყო, მალე ქალაქს შემოუერთდა სოფელი დელისიც. მისი ადრინდელი სახელი გდელისი იყო. ტოპონიმი XVIII საუკუნეში იესე ოსეს ძის თხზულებაში და ვახუშტი ბატონიშვილის 1745 წლის **"პეტერბურგულ ატლასშია"** დადასტურებული. მოგვიანებით ბგერა **"გ"** დაიკარგა და მივიღეთ ტოპონიმი – **"დელისი"**.

შედარებით, გვიან, XX საუკუნის 50-იან წლებში, წარმოიქმნა ვაჟა-ფშაველას გამზირი, პირველად კომინტერნის ქუჩა ერქვა, ხოლო 1961 წლიდან ვაჟა-ფშაველას სახელი ეწოდა.

XX საუკუნის შუა ხანებში საბურთალოს განაშენიანებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, გარდა საცხოვრებელი სახლებისა, აქ განლაგებული იყო სასწავლო, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები.

ქალაქის სხვა უბნები უფრო მეტად იყო დატვირთული ქარხნებით და ფაბრიკებით, ამიტომ, ამანაც შეუწყო ხელი ამ ორი უბნის უფრო მეტად დაწინაურებას.

1958 წლიდან ვაკე და საბურთალო დელისის მხრიდან, ერთმანეთს დაუკავშირდა, გაიყვანეს გზა, თავდაპირველად, მას დავით გურამიშვილის ქუჩა ერქვა, ხოლო 1990 წლიდან მიხეილ თამარაშვილის სახელი ეწოდა.

XX საუკუნის 50-70-იან წლებში, ვაკის ტერიტორია, ისევე, როგორც საბურთალოს მიდამოები ერთ დიდ უზარმაზარ სამშენებლო მოედანს წარმოადგენდა. შეიქმნა განაშენიანების ერთიანი სამოქმედო გეგმა და შენდებოდა ასობით საზოგადოებრივი შენობა და საცხოვრებელი სახლი, საფუძველი ეყრებოდა პარკებსა და ბაღებს, გაჰყავდათ გზები, იქმნებოდა ახალი ქუჩები.

ამის შედეგად, მოგვიანებით, ვაკესა და საბურთალოზე თავი მოიყარა, უმაღლესი სასწავლებლების, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტურქციო ინსტიტუტების ძირითადმა ნაწილმა, კულტურის მრავალმა დაწესებულებამ და სპორტულმა ნაგებობამ. ამ თვალსაზრისით ვაკე და საბურთალო წარმოადგენდა არა მარტო ახალგაზრდულ, არამედ ისეთ რაიონებს, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ქვეყნის

სამეცნიერო-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი.

დღეს ამ მხრივ, მთელს ქალაქში, სამწუხაროდ, სურათი უარესობისკენ არის შეცვლილი. უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით სწორედ ვაკეს და საბურთალოს ეხება, – აღნიშნულ უბნებში საცხოვრებელ ბინებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ, ის გამოიწვია, რომ ბევრი ბაღი განადგურდა, უამრავი ხე მოისპო, ქუჩები და მოედნები შემცირდა, ამის ხარჯზე აშენდა და დღესაც შენდება მრავალსართულიანი შენობები, რაც ქალაქს და აღნიშნულ უბნებსაც საკუთარ სახეს უკარგავს, ამასთან ეკოლოგიური მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაუარესდა.

ლალი ფაცია

მელანქოლიური შენიშვნები

გერონტი ქიქოძის (1886-1965) ანალიტიკური ესსე „მელანქოლიური შენიშვნები“ ქართველთა ისტორიული ბედისწერის მტკივნეულ პრობლემას ეხება. ავტორი ვრცლად საუბრობს თანამედროვე მსოფლიოში ჩვენი ერისროლისა და ადგილის შესახებ.

საგულისხმოა, რომ ქვემოთ მოტანილი წერილი თითქმის ასი წლის წინათ დაიწერა და გამოქვეყნებულია 1915 წელს. ვფიქრობთ, უბადლო ესთეტისა და მოაზროვნის ეს ქმნილება კიდევ ერთხელ დააფიქრებს სხვათა მოიმედედ მყოფ ჩვენს საზოგადოებას. დღეს, როცა დიდ ძალისხმევას ვახმართ ამა თუ იმ ერთან მშვიდობიანი თანაცხოვრების გზების ძებნას, ძალზე მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი მეცნიერების შეხედულებათა გათვალისწინება, რათა ეს თანაცხოვრება დაფუძნებული იყოს სინთეზირებულ ფენომენზე და არა იმ მტრულ კონგლომერირებულ მსოფლმხედველობაზე, რითაც ამერიკელები სპერმატოზოიდებივით მიძვრებიანი სხვადასხვა ერების სულში და ამ გზით ცდილობენ მათ გახრწნა-განმხოლოებას!

ჩვენ, ქართველებს, ნათესავები არა გვყავს დედამიწის ზურგზე. ეს ძალიან უცნაური მოვლენაა, ყოველი ხალხი რომელიმე ოჯახს, რომელიმე რასსას ეკუთვნის. ყველას ჰყავს ან ძმა, ან ბიძაშვილი, ან შორეული მოკეთე. ინდოელები, სპარსელები, ქურთები ევროპიელების შორი-ახლობელი ნათესავები არიან. გერმანელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, სკანდინელები ერთს ვიწრო ოჯახს შეადგენენ. მეორე ასეთი ოჯახი რომანელებია, მესამე – სლავიანები.

ჩვენ რომელ რასსას ვეკუთვნით? ეს არავინ იცის. ჩვენ არა ვართ ეთიოპები, უეჭველია, მაგრამ, თეთრი კანის მიუხედავად, არც ინდოევროპიელები ვართ, არც სემიტები, უდედმამოთ გაჩენილ, ციდან ჩამოვარდნილ არსებას ვგევართ. ჩვენი ენა საოცრად განსხვავდება ყველა ცნობილ ენისაგან: თავისებურია მისი ლექსიკონიც, მისი სინტაქსიც, მისი ფონეტიკაც. და ენა რომ სულის გარეგნული სახეა, მაშასადამე, თავისებურია ჩვენი ხასიათიც, ჩვენი მგრძნობიარობა და აზროვნებაც.

მეცნიერები, რომელნიც ყველაზე მეტად კლასიფიკაციას აფასებენ და საშინლად იტანჯებიან, როცა რაიმე განკერძოებულ და გაუგებარ მოვლენას ამჩნევენ, ამტკიცებენ, რომ ქართველებსაც გვყავდა ახლობელი ნათესავები, მაგრამ დავკარგეთ ჟამთა მსვლელობაში. ესენი ყოფილან ძველი სომხები, ელამიტები, ხეთები, ურართელები, ალაროდილიები ან კიდევ ეტრუსკები, ბასკები და სხვები. მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ ეს ტომები ან სრულიად მოსპობილან, ან კიდევ სრულიად შეცვლილან. თანამედროვე სომხობას ჩვენთან ბევრი აღარაფერი აქვს საერთო არც გარეგნობასა, არც ენასა, არც მწერლობაში. სხვებიდან კი თითქმის არაფერი დარჩენილა, გარდა რამდენიმე ლურსმულ წარწერისა, იეროგლიფისა თუ რებუსისა, რომელიც ჯერ არავის წაუკითხავს და რამდენიმეთაღიან გვირაბისა, რომელიც კიდევ არ კმარა რასსიულ ნათესაობის დასამტკიცებლად. ყოველს შემთხვევაში, ქართველი ერი ჯერჯერობით მარტოდ-მარტო სდგას, როგორც ცოცხალი ნიმუში უცნობი, გარდასული რასსისა, რომელიც შეიძლება სადმე შორეულს საფლავებში სთვლემდეს.

მაგრამ განა ცოცხალს არსებას უთვისტომოთ ყოფნა შეუძლიან? მთელი ჩვენი ისტორია სულიერი ნათესავის ძიებაა. ძნელად მოიპოვება ერი, რომელიც ასე მოტყუებულიყოს თავის საუკეთესო იმედებში.

ოდესღაც შუამდინარეთში გვიცხოვრია და ტიგროსის თუ ევფრატის ტალღების ხმა მოგვისმენია. უხვად გვისვამს სამხრეთის ცხოველი მზე და უდაბნოების სუნთქვა გვიყნოსია. მაგრამ იქიდან ძლიერმა და მრავალრიცხოვანმა მეზობლებმა გამოგვრეკეს; არ დაგვაცალეს არც კაპადოკიის ხევებში, არც მცირე აზიის მადლობებზე სამუდამოდ დამკვიდრება. და თუ დღემდე ჩვენს ახლანდელს სამშობლოს შევრჩით, ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ მეტი გასაქანი აღარ გვქონდა: ჩრდილოეთით გარდაუვალი მთები გვეკრა, დასავლეთით – ზღვა, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი მტრით დასახლებული ადგილები ან ერთფეროვანი უდაბნოები.

არა ერთხელ გაგვიწოდებია ხელი ბიზანტიელებისთვის, მაგრამ განა იმათ სავსებით ჩვენი გაგება შეეძლოთ? ჩვენ ჭაბუკები ვიყავით, ისინი – ხანშიშესულები; ჩვენ რაინდები ვიყავით, ისინი – კარისკაცები. ჩვენ გვიყვარდა ცხოველი სარწმუნოება, იმათ – თეოლოგია; ჩვენ გვიყვარდა ფერადი ცხოვრება, იმათ – განყენებული აბსტრაქცია. ჩვენშიც მოდიოდნენ ბიზანტიელი პრინცესები და ჩვენშიც მოჰყავდათ ბიზანტიელი ხუროთმოძღვრები და მხატვრები, მაგრამ ეს ადამიანები სრულებით იცვლებოდნენ, თითქო ხელახლა იბადებოდნენ საქართველოს ნიადაგზე. აქ ისინი უფრო ახალგაზრდანი ხდებოდნენ, უფრო მხიარულნი: კუნთების ძალასაც იძენდნენ და სულის მოქნილობასაც, თითქო ჩვენი ცხრათვალა მზე ადნობდა მათ მელანქოლიას, თითქო ჩვენი ნაზი ჰავა მათ სიმსუბუქეს აძლევდა, ქუთაისის ტაძარიც ბიზანტიელმა ოსტატებმა შეამკეს და კიევის წმინდა სოფიაც და ლავრაც: ერთმა და იმავე იმპერატორმა გამოუგზავნა კონსტანტინეპოლიდან ხუროთმოძღვრები ბაგრატ მეოთხესა და იაროსლავს, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ქართულ და რუსულ ძეგლებს შორის! კიევის ეკლესიები სულმოკლე ასლებია ბიზანტიური ნიმუშებისა. მათი ფასადები უსახურია; მათი კორპუსები ტლანქი და დამძიმებული. მათ აკლიათ სიდიადე. სიდიდის მიუხედავად, ბაგრატის ტაძარი, პირიქით, განუმეორებელია. მისი პროპორციები ზომიერი და კეთილშობილია, მისი კონტურები ელეგანტური და გრანდიოზული. ბიზანტიელებს ბრმად არც მხატვრობასა და ქანდაკებაში ვბაძავდით. მათ მოზაიკა უყვარდათ, რადგან მოთმინების ადამიანები იყვნენ, ჩვენ ფრესკებს ვაძლევდით უპირატესობას, რადგან მეტი ემოცია და ფანტაზია გვქონდა. ჩვენი შენობების კედლებზე ნაკლები ადგილი ჰქონდა გამხდარ, დაგრძელებულ და გაშშებულ წმინდანებს, განა ბეთანიის ანტიმოთეს უბნის ფრესკები ბიზანტიური ნიმუშების ასლები არიან? რომელ ბიზანტიელ მხატვარს შეეძლო ამდენი გულუბრყვილობის და შეუგნებული სიბრძნის გამოჩენა? რომელ ბიზანტიელ მხატვარს შეეძლო ამდენი სულიერი სიცოცხლის და მოძრაობის გადმოცემა? მხოლოდ ქართველს შეეძლო ასეთი სიყვარულით და ყურადღებით თევზებისა, ფრინველებისა და ცხოველების გამოსახვა ნეტარ და ტანჯულ ადამიანების გვერდით.

ბიზანტიელების განყენებული ბუნება ადვილად შეურიგდა ხატების მებრძოლ იმპერატორების დეკრეტებს: იმათ შეეძლოთ, თაყვანი ეცათ აბსტრაქტული სულისთვის. ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ხატების მებრძოლნი. ჩვენ გვსურდა, ჩვენი ღმერთები თვალით დაგვენახა, მათი ადამიანური სიახლოვე გულით გვეგრძნო. ჩვენს ფანტაზიას ხშირად სწვევიან აღმოსავლეთური ხილვანი.

სვეტების თავებზე ხშირად ვსჭრიდით არაბესკებს, ფასკუნჯებს, მტრედებს, რომელნიც ნისკარტით ერთი მეორეს ეალერსებიან, ვეფხვებს თუ ავაზებს, რომელნიც ირმებს ებრძვიან, და გრიფებს, რომელთაც კლანჭებში გველები უჭირავთ.

მაგრამ ჩვენ მაინც არც აღმოსავლეთის ღვიძლიშვილებად ჩავითვლებით. აღმოსავლეთური დესპოტიზმი ჩვენთვის უცხო და გაუგებარი იყო. ჩვენ არ შეგვეძლო, ქედი მოგვეხარა უსიტყვო მორჩილების ნიშნად. ქედფიცხელი არისტოკრატების ერი ვიყავით და თვითეულს ჩვენგანში ლიპარიტ ორბელიანის სული სცხოვრობდა. სპარსელების დიდი მგოსნები – ფირდოუსი, საადი, ჰაფიზი, ჯელალედინ რუმი – ადვილად შევითვისეთ, მაგრამ მათი ნაწარმოები უფრო გადმოვაქართულეთ, ვიდრე ვთარგმნეთ. გერმანელმა მეცნიერმა ფინკმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ქართველებს სრული უფლება გვაქვს ფაბრედინის **„ვისრამიანი“** საკუთარ ეროვნულ პოემად ვაღიაროთ; ეს რომანი გადავნათლეთ და ჩვენს რომანტიულ და რაინდულ სულს შევუფარდეთ. მაგრამ თუ ჩვენთვის ასე თუ ისე სპარსელების მწერლობა და ხელოვნება კიდევ ახლობელი იყო, სამაგიეროდ სრულიად მიუღებელი იყო მათი ეთიკა და სარწმუნოება. ისინი იმ თავითვე ფატალისტები იყვნენ, ჩვენ არასოდეს უაზროდ არ მიგვაჩნდა ზნეობრივი აჯანყება ბედისწერის წინააღმდეგ. იმათი საუკეთესო ადამიანები ასკეტები და მისტიკოსები გახდნენ იმ ხანაში, როცა ჩვენში რეალიზმი და ჰუმანიზმი გაძლიერდა. იმათი სუფისტური თეოსოფია და პოეზია პიროვნების გათქვეფას მოითხოვდა აბსოლუტურს ერთეულში; ჩვენ წარმართული ტრადიციები და ჩვენი ინდივიდუალისტური მორალი პირიქით, პიროვნების დადასტურებას იღიარებდა. თუმცა ჩვენი მეზობლები იყვნენ, მაგრამ არასოდეს სულიერი ნათესაობა არ გვიგრძნია ამ ხალხთან. როგორც სისხლმოწყურებული მტერი, ისე შევიჭრებოდით მათ სამფლობელოში. შემდეგ მივდიოდით როგორც ირანის მბრძანებლის მოხარკენი, მაგრამ გულწრფელად არასოდეს არ გადავხვევივართ.

დროგამოშვებით ჩვენში შორეულ ქვეყნებიდან უცხოელები მოდიოდნენ და სახტად რჩებოდნენ ჩვენი დიდებული

ნაშთების წინაშე. ჩვენი ბედნიერი დღეები მათ არ ენახათ: არ იცოდნენ, რომ ერთს დროს დიდი თავისებური კულტურა გვქონდა, რომელიც სჩანთქა საშინელმა კატასტროფამ, ამიტომ ჩვენს მიწა-წყალზე ყველაფერი სასწაულად ეჩვენებოდათ. მათ ეუცხოებოდათ ყველაფერი, რაც კი საშუალო ზომას სცილდებოდა და მაღალი ნიჭის ან აღფრთოვანების ბეჭედს ატარებდა. დიუბუა დე მონპერეს უკვირდა, რომ საფარის ბარელიეფები ქართველმა ერმა შეჰქმნა. კონდაკოვი ამ პლასტიურ ნაწარმოებს ბიზანტიელებს აწერდა. მაგრამ ამ გზით უნდა უარგვეყო რაც კი რამ დიადი და ორიგინალურია ქართულს ხელოვნებაში: საეკლესიო ხუროთმოძღვრება და ჩუქურთმების დეკორაცია, მინანქრობა და ოქრომჭედლობა, ფრესკების და მინიატურების მხატვრობა, ბექა და ბექშენ ოპიზართა პიროვნება.

მდიდრები ვიყავით ერთს დროს და ბოგანოებათ ვიქეცით ბოლოს, მაგრამ არისტოკრატიული სული მაინც შეგვრჩა.

შეგვრჩა პროფილის სიწმინდე და მიხვრა-მოხვრის კეთილშობილებაც. ბევრს ესეც ეუცხოებოდა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩვენს სამშობლოს შარდენი ეწვია და აღმოაჩინა, რომ ჩვენ უფლიდესი და უველურესი ხალხი ვართ დედამიწის ზურგზე; ჩვენი ხილი უგემურათ სცნო და ჩვენი ქალები უზნეოთ. მაგრამ ჩვენმა სილამაზემ ისიც მოხიბლა. მისთვის ამოცანად დარჩა, როგორ შერჩა ქართველს ტომს ასეთი შნო და მიმზიდველობა. არ შეიძლება მართლაც გასაკვირალი იყოს. ჩვენ ხომ მთელი საუკუნეების განმავლობაში უსაშინელეს ხარკს ვაძლევდით სპარსეთის შაჰს და ოსმალეთის ხონთქარს. ეს ხარკი სწორედ შარდენის დროს იყო უმძიმესი. ჩვენმა ლამაზმა ქალ-ვაჟებმა გააკეთილშობილეს წინააზიის დაბალხარისხოვანი რასსები. ჩვენ კი თუმცა დავძაბუნდით და დავქვეითდით, სავსებით მაინც არ დაგვიკარგავს სხეულის ელასტიური ძალა.

ჩვენი კულტურა არასოდეს არ ყოფილა ვიწროდ ცენტრალისტური; ჩვენ არასოდეს არ გვქონია ქართული პარიზი ან მოსკოვი.

ჩვენი კულტურა ყოველთვის გაფანტული იყო. ყოველს პროვინციას თავისი განსაკუთრებული სახე ჰქონდა და ყოველ ხევსა თუ მაღლობს ტაძარი ან ციხეკოშკი ამშვენებდა. ხალხი არ იყო დაშორებული გონებისა და განათლების ცენტრს და კულტურაც უფრო ფართო, უფრო ხალხხსნური იყო. ამიტომ არის, რომ დღეს ასე ძნელია ჩვენი მოთავსება ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულს კალაპოტში.

რუსობისთვის უცნობია ჩვენი მძაფრი სუბიექტივიზმი. ისტორიკოსები იმასაც ამბობენ, რომ ძველი სლავიანები თავებს სჭრიდნენ თავიანთ გამარჯვებულ სარდლებს: ვერ ურიგდებოდნენ ინდივიდუალობას, რომელიც საშუალო ზომას სცილდებოდა. ეს მისწრაფება ერთსახეობისა და ერთფეროვნებისადმი შემდეგშიც შერჩათ რუსებს.

ივანე მრისხანებამ ძირიანად მოსრნა საბრალო ნოვგოროდი, რომელსაც ის ერთადერთი დანაშაული მიუძღოდა, რომ მოსკოვს არა ჰგავდა. ბიუროკრატიული წეს-წყობილება, საზოგადოების მილიტარიზაცია, გამარუსებელი პოლიტიკა გარეგნული გამოხატულებაა ამ უნივერსალურ, გამათანასწორებელ მისწრაფებისა. ვერასოდეს ვერ შევეგუებით ამ თავისებურ ეგალიტარიზმსა და ცენტრალიზმს.

ვერც ჩვენი მეზობლები შეურიგდებიან ჩვენს სუბიექტივიზმს. ამიტომ სულიერად ყოველთვის უცხო დავრჩებით ერთი-მეორესთვის. ეს ჩვენი ბედი თუ უბედობაა.

ჩვენი წინაპრები იმაში ჰხედავდნენ ნუგეშს, რომ ჩვენც მართლმადიდებელნი ვართ მათსავით. მაგრამ რარიგ განსხვავდება თვით ჩვენი შემეცნება სარწმუნოებისა!

ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა ყოველთვის პირადს განცდას ჰქონდა, იმათთვის ზოგად დოგმებს. ჩვენში არასოდეს არ ყოფილა მწვალებლობა ან რასკოლი; არასოდეს არ გვიბრძოლია იმისთვის, თუ როგორ უნდა დაიწეროს იესოს სახელი, რამდენი თითით უნდა გამოვისახოთ პირჯვარი ან ეკლესიას გარს როგორ უნდა შემოვუაროთ. ამათში არასოდეს არ ყოფილა სინდისის თავისუფლება: არასოდეს არ შერიგებიან იმ აზრს, რომ სარწმუნოება პირადს აღმაფრენაში მდგომარეობს და არა საეკლესიო ცერემონიალში. ჩვენ გვყავდა გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და ანტონ ჭყონდიდელი. იმათ ჰყავდათ პატრიარქი ნიკონი.

ცნობილია, რომ იოანე მთაწმინდელი იბერიის ნახევარკუნძულზე გაემგზავრა. ეგონა, რომ იქ ქართველების მონათესავე ხალხი ცხოვრობდა. ახლა კარგად ვიცით, რომ ჩვენი საეკლესიო მოღვაწე სცდებოდა და ესპანელებს ჩვენთან არაფერი აქვთ საერთო: მაგრამ ახლა ისიც ვიცით, რომ ნათესავები სრულიად არა გვყავს დედამიწაზე. ამიტომ ეხლა კიდევ უფრო განმარტოებული ვართ, ვიდრე საშუალო საუკუნოებში ვიყავით. მაშინ ილუზიები მაინც გვქონდა.

გერონტი ქიქოძე

რეცეპტის შავი ბაზარი თბილისში – აფთიაქებისა და ექიმების თანამშრომლობის უკანონო სქემა

მედიკამენტებზე ახალი სარეცეპტო რეგულაციებიდან სამი თვის თავზე რეცეპტის შავი ბაზარი უკვე სახეზეა, – იუწყებიან ჟურნალისტები. მათი ინფორმაციით, შავ ბაზარს თავად სააფთიაქო კომპანიები ამუშავებენ. გაყიდვები რომ არ შემცირდეს, მომხმარებელს ნებისმიერ რეცეპტს აძლევენ, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ აფთიაქში მოქმედებს. ჟურნალისტები ინტერნეტსაიტებზე ამ პრაქტიკის დამადასტურებლად ფარულ კადრებსაც ავრცელებენ, რომელიც ერთ-ერთ კონკრეტულ აფთიაქშია გადაღებული, თუმცა დასძენენ, რომ არ არის გამორიცხული, რომ იგივე სქემა სხვა აფთიაქებშიც იყოს ან მას ახლა ნერგავდნენ.

აფთიაქის შესასვლელთან მომხმარებელს ხვდება წარწერა **"ექიმი"**, რომელიც მომხმარებლის კარნახით ნებისმიერ რეცეპტს გამოწერს.

ფარულ ჩანაწერში ჟურნალისტი ექიმის კაბინეტს ეწვია. კითხვაზე, შეუძლია თუ არა ექიმს მისთვის რეცეპტის გამოწერა, ექიმი პასუხობს, რომ შეუძლია, მაგრამ მხოლოდ **"ავერსის"** მომხმარებლისთვის. ჟურნალისტის რეპლიკაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მისთვის (ექიმისთვის), თუ რომელ აფთიაქში იყიდის გაცემულ რეცეპტზე მითითებულ წამლებს, ექიმი პასუხობს – **"თქვენთვის არა, მაგრამ სამაგიეროდ ამას ჩემთვის აქვს მნიშვნელობა"...**

"ჩვენ ვართ "ავერსის" თანამშრომლები და ვინც შეიძენს მედიკამენტს "ავერსში", იმას გამოვუწერთ რეცეპტს, თუ არადა სხვა არ ვემსახურებით", – ამბობს ექიმი ერთ-ერთ ფარულ ჩანაწერში.

ამავე ფარულ ჩანაწერში ნათლად ჩანს, რომ ექიმი არათუ გამოკვლევის ჩაუტარებლად (რაც ახალი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ ცალსახად კანონდარღვევაა), არამედ პაციენტის იქ არ ყოფნის მიუხედავადაც კი წერს რეცეპტს. მას შემდეგ, როდესაც ჟურნალისტი მას სთხოვს გამოუწეროს წამალი დედისთვის, ექიმი ამას მარტივად, კანონის გვერდის ავლით, მომხმარებლის კარნახით აკეთებს, რაც სრულიად არამართებულია არა მხოლოდ ახალი რეგულაციების შემოღების შემდეგ, არამედ ზოგადად, სამედიცინო საქმიანობაში.

ჟურნალისტები მკითხველებს მაყურებელს ავერსის მენეჯმენტის პოზიციასაც აცნობენ, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ეს ექიმები სხედან აფთიაქისგან გამიჯნულ ადგილას და მათ არ აქვთ კავშირი აფთიაქთან, თუმცა ექიმის ნათქვამი, რომ მხოლოდ **"ავერსის"** მომხმარებელს გამოუწერს რეცეპტს, მენეჯმენტის ამგვარ განცხადებას ეწინააღმდეგება.

"აფთიაქი აფთიაქია და სამედიცინო დაწესებულება სხვაა. ანუ, მათ უნდა გააკეთონ ინსტალაცია ოჯახის ექიმის კაბინეტის. თუ ისინი დააკმაყოფილებენ სრულ მოთხოვნებს, ასეთ შემთხვევაში შეუძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ სადმე კუთხეში რომ მიუჩინონ მაგიდა და კალამი, ასე – ვერა", – ამბობს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო.

ექიმებსა და სააფთიაქო ქსელებს შორის ამგვარ თანამშრომლობას სახიფათოდ მიიჩნევენ ექსპერტებიც. წამლის სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ამბობს, რომ თუ ექიმი იქნება ფარმაცევტული კომპანიის მიერ მართული, ის აუცილებლად დანიშნავს იმ წამალს, რომლის გაყიდვაც კონკრეტულ სააფთიაქო ქსელს აწყობს.

"როგორ შეიძლება ჩვენ ეს ექიმები ვმართოთ ახალი რეგულაციებით, თუ ისინი იქნებიან აფთიაქების მიერ დანიშნულნი. ისინი მომხმარებელზე გასცემენ სწორედ იმ წამალს, რაც უნდა დაინიშნოს მათი პარტნიორი სააფთიაქო კომპანიის დირექტივით", – ამბობს თემის კომენტირებისას ექსპერტი.

შეგახსენებთ, რომ ახალი რეგულაციები, რომელიც რიგ წამლებზე რეცეპტის გარეშე გაყიდვის აკრძალვას გულისხმობს, მოსახლეობაში თვითმკურნალობის აღკვეთის მიზნით იქნა შემოღებული, თუმცა სურათი, რომელიც რეგულაციების შემდეგ რეცეპტის შავი ბაზარის სახით მიიღო მოსახლეობამ, ცხადყოფს, რომ არსებითად არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ამიერიდან მომხმარებელი დაინტერესებული პრეპარატებით თვითმკურნალობას უკვე აფთიაქების კუთვნილი ექიმების საშუალებით მიიღებს.

რ. წამალაიძე

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲑᲔᲜ?!

ᲩᲐᲘᲫᲘᲠᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲘᲡᲑᲔᲠᲒᲘ!

"შესასწავლია ყველა ის შესყიდვა, რომლებიც განხორციელდა 2013-14 წლებში, რადგან არ გამოვრიცხავ, რომ უფრო მძიმე ვითარებასთან გვქონდეს საქმე"

ამას წინათ სამართალდამცავებმა დააკავეს თავდაცვის სამინისტროს 5 მაღალჩინოსანი. საუბარია 4 მილიონზე მეტი ლარის გაფლანგვაზე. გამოძიების ინფორმაციით, 2013 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებისთვის ცნობილი გახდა, რომ კომპანია **"სილქნეტი"** კერძო სამეწარმეო მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე, გარკვეული მიმართულებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის გაყვანას გეგმავდა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირებმა: გიზო ღლონტმა (სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი), გიორგი ლობჟანიძემ (სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი), არჩილ ალავიძემ (შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი), ნუგზარ კაიშაურმა (გაერთიანებული შტაბის ჯეი-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი) და დავით წიფურიამ (კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი) განიზრახეს "სილქნეტის" სასარგებლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გაფლანგვა.

გამოძიების ცნობით, 2013 წლის 26 დეკემბერს თავდაცვის სამინისტრომ "სილქნეტთან" გააფორმა ხელშეკრულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შესყიდვის, ქსელური აპარატურის შეძენა-მონტაჟისა და მომსახურების პირობით. ამ ხელშეკრულებით თავდაცვის სამინისტრომ **"სილქნეტს"** უნდა გადაუხადოს, ჯამში, 6.720.877.42 ლარი, საიდანაც წინასწარ (ავანსად) უკვე გადარიცხულია 6.480.877.42 ლარი, სანაცვლოდ კი თავდაცვის სამინისტრომ "სილქნეტისგან" 2015 წლის 16 იანვარს უნდა მიიღოს ქონება და მომსახურება, რომლის რეალური საბაზრო ღირებულება, ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, მხოლოდ 2.618 004.82 ლარს შეადგენს.

"ამ ქმედებით თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით "სილქნეტის" სასარგებლოდ გაფლანგეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4.102.872.6 ლარი. გრძელდება მუშაობა ამ დანაშაულში მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვა თანამდებობის პირების გამოსავლენად", – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში. დაკავებულებს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა.

ექსპერტთა განმარტებით, კანონმდებლობით, როდესაც საუბარია ამ მოცულობის (6 მილიონი ლარი) სახელმწიფო შესყიდვაზე, პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს მინისტრი, უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში კი – მისი მოადგილე. თავდაცვის მინისტრის მოადგილე, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებს კურირებს, ალექსანდრე ბატიაშვილია. მას პროკურატურა მოწმის სახით დაჰკითხავს. ექსპერტების აზრით, მისი ჩვენებით, გამოძიება გაარკვევს, თუ რა ინფორმაციას ფლობდა თავად ირაკლი ალასანია ამ საქმის ირგვლივ და რა კავშირი აქვს თავად ბატიაშვილს კომპანია **"სილქნეტთან"**.

ამასთან, ორგანიზაცია **"ახალგაზრდა ადვოკატების"** ინფორმაციით, **"სილქნეტის"** კომერციული დირექტორის, ბაჩო ჩინალაძის დედა, თამარ ბატიაშვილი, ირაკლი ალასანიას მოადგილის, ალექსანდრე ბატიაშვილის ბიძაშვილია.

ასევე, თავდაცვის მინისტრის №636 ბრძანებაში, მკაფიოდ არის განსაზღვრული სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფლება-მოვალეობები. მე-4 მუხლში ვკითხულობთ, რომ შესყიდვების დეპარტამენტი **"საქართველოს თავდაცვის მინისტრის და კურატორი მინისტრის მოადგილის განკარგულებების საფუძველზე, ახორციელებს სამინისტროს, გაერთიანებული შტაბისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების საჭიროებებისათვის საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვას".**

ᲜᲘᲙᲐ ᲩᲘᲢᲘᲫᲔ, ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ: – ფაქტია, რომ ირაკლი ალასანია იყო საქმის კურსში, მაგრამ მეორე საკითხია, დადასტურდება თუ არა კორუფციული ფაქტი. ეს საბოლოოდ სასამართლოს გადასაწყვეტია. თუ დადასტურდა, რომ კანონდარღვევას ჰქონდა ადგილი, ბუნებრივია, გაჩნდება ეჭვები ირაკლი ალასანიაზე.

თუ კეზერაშვილის შემთხვევაში დადგა მინისტრის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რატომ არ უნდა მოხდეს იგივე ალასანიას შემთხვევაში?

ცხადია, ეს გააჩენს ეჭვს შერჩევითი სამართლის თაობაზე. ფაქტია, რომ კეზერაშვილს ედავებიან თითქმის ანალოგიურ საქმეზე (საქმე აღძრულია 182-ე მუხლით. ეს ის მუხლია, რომლის საფუძველზეც ბრალი აქვს წარდგენილი თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, ალექსანდრე ნინუას. ამავე მუხლით 5 მილიონი ევროს გაფლანგვის საქმეზე ბრალი წარედგინა კეზერაშვილს. – ვ. ბ.).

ᲒᲘᲐ ᲮᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ: – ნებისმიერ შემთხვევაში, ვიღაც დასასჯელი იქნება.

თუ ეს დანაშაული დადასტურდა, მინიმუმ, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვერავინ ასცდება თავდაცვის სამინისტროში.

საუბარია ისეთ თანხაზე, რომ, წესით, მაღალი რანგის ჩინოვნიკები საქმის კურსში უნდა ყოფილიყვნენ.

ჩემთვის ცოტა გაუგებარი იყო, თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განცხადება, შემდეგ მინისტრის მოადგილეების თავდებობის საკითხიც. ამ უწყების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამართალდამცავებთან კონფრონტაციაში შესვლა სახიფათო თამაშია.

თავდაცვის სამინისტრო ძალოვანი სექტორის ნაწილია და თავიდანვე იმის თქმა, რომ აქ არანაირ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია, არასწორია. ეს ნამდვილად ტოვებს უცნაურ შთაბეჭდილებას.

ᲒᲘᲐ ᲡᲐᲚᲣᲫᲕᲐᲫᲔ, ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ "ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ":

– გამოძიებამ საზოგადოებას უნდა აუხსნას, სხვა რომელი მაღალჩინოსნები იყვნენ ჩართულნი ამ სქემაში. რაც შეეხება თავდაცვის მინისტრს, გამორიცხულია, რომ ის ინფორმირებული არ ყოფილიყო ამ საქმის შესახებ. ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ საქმე გვაქვს სამსახურებრივ გულგრილობასთან.

მინისტრმა უნდა იცოდეს, რაში იხარჯება მილიონობით ლარი მისი უწყების ბიუჯეტიდან.

ნებისმიერ შემთხვევაში, თავდაცვის მინისტრი საქმის კურსში იქნებოდა ამ მოცულობის შესყიდვის დეტალებზე, მით უმეტეს, საუბარია გრიფით **"საიდუმლო"** შესყიდვაზე, რაზეც ხელი მხოლოდ ერთეულ პირებს მიუწვდებათ. დიდი ვარაუდით, თავდაცვის მინისტრი პასუხისმგებელია ამ გარიგებაზე. მან პირდაპირ მისცა თუ არა მითითება კორუფციულ გარიგებაზე, ჯერჯერობით, ამას ვერავინ იტყვის, თუმცა, მინიმუმ, სამსახურებრივ გულგრილობაზე უნდა დაიწყოს მსჯელობა. შესასწავლია ყველა ის შესყიდვა, რომლებიც განხორციელდა 2013-14 წლებში, რადგან არ გამოვრიცხავ, რომ უფრო მძიმე ვითარებასთან გვქონდეს საქმე.

არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ალასანიას სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს და ის დააკავონ კიდეც.

სპეციალისტთა აზრით, შესაძლოა პროკურატურა მართლაც დაინტერესდეს თავდაცვის უწყების სხვა შესყიდვებითაც. არსებული ინფორმაციით, 2013 წლის განმავლობაში სულ 1.010 კონტრაქტი გაფორმდა, რომელთა საერთო ღირებულებამ 167.826.000 ლარი შეადგინა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ, თავდაცვის ყოფილი მინისტრი: "მე დარწმუნებული ვარ ჩემი თანამებრძოლების, ჩემი თანამშრომლების სრულ უდანაშაულობაში, იმიტომ, რომ მე ვაკვირდებოდი შესყიდვების პროცესს და ვიცი, რომ ყველაფერი კანონთან სრულ შესაბამისობაში კეთდებოდა, თუმცა, რადგან კითხვები გაუჩნდა ვიღაცას, მათ უნდა გაეცეს პასუხი.

სრული ჭეშმარიტების დადგენისთვის მთავარია, გამოძიება წარიმართოს გამჭვირვალედ და გახსნილად. ვინაიდან ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას ამით ზიანი მიადგა, აუცილებელია, აღნიშნულთან დაკავ- შირებით უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე დისკუსიები გაიმართოს. ბუნებრივია, როცა ყველაფერი დასრულდება, ჩვენ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ და პასუხისმგებლობა უკვე იმ პირების დადგება, ვინც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩემმა ბიჭებმა თავი სამართლებრივად დაცულად იგრძნონ. გამოძიებას წინ არავინ და არაფერი არ უნდა აღუდგეს, სრული ჭეშმარიტება უნდა დადგინდეს.

აქვს თუ არა ამას პოლიტიკური სარჩული, მოგვიანებით ვილაპარაკებთ."

Ვ. ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

P.S. 2014 წლის 4 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ალასანია გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. ახლა რჩება ერთადერთი, ვიღაც-ვიღაცეებისთვის დილემად ქცეული შეკითხვა: დააკავებენ თუ არა ირაკლი ალასანიას? მალე მოვლენათა საინტერესო წყების გამომზიურების მოწმენი გავხდებით, რადგან არსებობს იმის სერიოზული ეჭვი, რომ ალასანია და ნაციონალები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ!

არნო ხიდირბეგიშვილი: „საქართველო საფრთხეშია!“

საქართველო საფრთხეშია! თუმცა, ეს ის საფრთხე არ არის, რომელზეც მთელი დღე პროპაგანდისტები – გამყიდველი პოლიტიკოსები, „ექსპერტები“, ტელეჟურნალისტები და ე. წ. ენ-ჯე-ო-შნიკები ტელევიზიით ტვინს გვიბურღავენ. საქართველოს რუსეთი არ ემუქრება, ხოლო აფხაზებსა და ოსებთან საერთო შეიარაღებული ძალების შექმნა მხოლოდ ერთზე მიუთითებს – რომ რუსეთი არ აპირებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერთებას! რუსეთს რომ ამ ტერიტორიების მიერთება სურდეს, ვინ შეუშლიდა ხელს ამაში ჯერ კიდევ 2008 წელს?! რატომ დახარჯავს რუსეთი დროსა და ფულს აფხაზებთან საერთო შეიარაღებული ძალების შექმნაზე, მით უფრო, მისი ეკონომიკისთვის არცთუ საუკეთესო დროს (დასავლეთის სანქციები, ნავთობზე ფასების ვარდნა), თუკი მას თავისი უკიდეგანო სივრცეებისთვის მიწის ამ ორი ნაგლეჯის მიერთება ჩაუფიქრებია? განა რუსეთი 2008 წლიდან ისედაც არ ეხმარება აფხაზებსა და ოსებს თავისი შეიარაღებული ძალებით, განა არ აწყობს მათთან ერთობლივ წვრთნებს, განა იქ არ დგანან რუსული სამხედრო ბაზები და მესაზღვრეები – სოხუმისა და ცხინვალის ოფიციალური თხოვნით?

მაშ რატომ აყვირდა მაინცდამაინც დღეს მთელი ქართული პოლიტისტებლიშმენტი მოსალოდნელ რუსულ ანექსიაზე? მარტო იმიტომ, რომ რუსეთის ფედერაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან სამხედრო თანამშრომლობისთვის ახალი იურიდიული ფორმის მიცემას აპირებს შეთანხმების გაფორმების სახით?! საქართველოს აშშ-თან უკვე დიდი ხანია ხელმოწერილი აქვს ასეთი სამხედრო შეთანხმება – გამოდის, ამერიკამ საქართველოს ანექსია მოახდინა?! რა ლოგიკით **„კარგავს საქართველო საბოლოოდ თავის ტერიტორიებს“** დღეს, და არა 1993 და 2008 წლებში, შევარდნაძისა და სააკაშვილის წყალობით?! რატომ აღელდნენ დღეს თბილისში აფხაზი ეთნოსის შენარჩუნებაზე უფრო მეტად, ვიდრე თავად აფხაზები? ნუთუ აშშ ქართულ ეთნოსს უკეთ დაიცავს, ვიდრე რუსეთი აფხაზურს?! და რატომ შეშფოთდნენ ვაშინგტონში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გამო რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ, ხოლო როცა საქართველო ამ ტერიტორიულ მთლიანობას კარგავდა, მისი ნომერ პირველი სტრატეგიული პარტნიორი მხოლოდ პამპერსებით შემოიფარგლა? საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი აშშ კი არა, რუსეთი რომ ყოფილიყო, რუსეთის ფედერაცია საქართველოს ჯარებით და არა პამპერსებით გამოესარჩლებოდა!

ყველა ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს: საქართველოში მოქმედებენ ანტისახელმწიფოებრივი შემდეგი სახით: ანტიქართული ძალები,

– ექსმმართველი პარტია **„ნაციონალური მოძრაობა“** მისი ლიდერი სააკაშვილის ხელმძღვანელობით (არალეგალის, აშშ-ში უვიზოდ მყოფის, რომლის ექსტრადიციასაც, თეორ სახლთან დაახლოებული უცხოური კომპეტენტური წყაროებიდან შემოწმებული ინფორმაციით, ინტერპოლი 2014 წლის ბოლომდე მოახდენს);

– საქართველოში დღეს დე-ფაქტო მმართველი **„რესპუბლიკური პარტია“** (სადაც 10 წევრია, თუმცა ყველა ისინი ხელისუფლების სათავეში იმყოფებიან – პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი, მისი პარლამენტარი მეუღლე ხიდაშელი, პარლამენტარი ძმები ბერძენიშვილები, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან შერიგების მინისტრი ზაქარეიშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი იმერლიშვილი და მისი მოადგილე ხაინდრავა);

– საქართველოს პრეზიდენტი მარგველაშვილი (რომელიც შეთქმულებაში იმყოფება **„ნაციონალურ მოძრაობასთან“** თავისი მეგობრების – ექსმმართველი პარტიის მთავარი იდეოლოგის, უშიშროების საბჭოს ექსმდივან ბოკერიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი ლიდერის, პარლამენტის ექსსპიკერი მაჭავარიანის ღვიძლი ძმის, მეშვეობით);

– თავდაცვის (უკვე – ყოფილი) მინისტრი ალასანია და მისი მეუღლის ღვიძლი და – საგარეო საქმეთა (უკვე – ყოფილი) მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ასევე მისი თანაპარტიელი მეგობარი – ევროატლანტიკური ინტეგრაციის (უკვე – ყოფილი) მინისტრი პეტრიაშვილი, და მეზობელი – ივანიშვილის ექსმრჩეველი, ჩრდილოვანი კომბინატორი ხუხაშვილი;

– სოროსის ფონდის, ამერიკული ინსტიტუტები NDI და IRI-ს მიერ დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების უზარმაზარი არმია;

– ე.წ. ექსპერტები – პოლიტიკური პროქტოლოგები და მათი გამპიარებელი მედია ყველა მსხვილი ქართული ტელეკომპანიის სახით, ასევე, ინტერნეტგამოცემების უმეტესობა და ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთი.

შეძახილებით – რუსეთი მტერი, აგრესორი და ოკუპანტია! – ზემოჩამოთვლილი ანტისახელმწიფოებრივი ძალები მიარბენინებენ ვიწრო კორიდორში, როგორც ხარს კორიდაზე, პრემიერ ღარიბაშვილს არენაზე, სადაც მას, ადრე თუ გვიან **„განგმირავს ტორეადორი“** – ალასანია ან აშშ-ის სხვა ხელდასხმული!

გავიხსენოთ, მკითხველო, 2012 წლის 18 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლების სათავეში ახალი ძალა – კოალიცია **„ქართული ოცნება“** მოვიდა, საქინფორმის მთავარმა რედაქტორმა მოახდინა საუბრის მოდელირება, რომელიც, როგორც მე ვიმედოვნებდი, უნდა შემდგარიყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და საქართველოს იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შორის. ამის შემდეგ გავიდა 2 წელი, თუმცა, 20 წელიც რომ გავიდეს, ჩვენი ორი ქვეყნის ლიდერების საუბარი ბევრად განსხვავებული არ იქნება იმ, ჩემ მიერ მოდელირებული, ვერსიისგან (გაცილებით ნამდვილი და რეალობასთან მიახლოებული, ვიდრე 2010 წელს ტელეკომპანია **„იმედის“** მიერ მოდელირებული **„ქრონიკა“ „საქართველოში „რუსეთის მეორედ მოსვლის“** შესახებ).

ახლახან კი, 2014 წლის 27 ოქტომბერს, საქინფორმმა შესთავაზა მკითხველებს არა მოდელირებული, არამედ რეალური ექსკლუზივი – რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ამომწურავად საუბრობს საქართველოსთან მიმართებაში ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკის ყველა ასპექტზე – წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, რომელშიც რუსეთი წინააღმდეგი არაა, რომ საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთიან ფედერაციულ სახელმწიფოში ცხოვრობდეს, რისთვისაც, პირველ რიგში, საჭიროა თბილისის დიალოგი სოხუმსა და ცხინვალთან, და არა პრეტენზიები მოსკოვთან.

თითქოსდა, ყველაფერი ბევრჯერ მკაფიოდ ნათქვამი და გამეორებულია... მაშ, რატომ ლაპარაკობენ დღეს დაჟინებით საქართველოს ხელისუფლებაში, ნაციონალოპოზიციასთან ერთად უნისონში, **„ძმებ აფხაზებსა და ოსებზე, რომლებსაც არ ესმით თავისი ბედნიერების და უნდა გონს მოეგონ – იცხოვრონ ეკონომიკურად აყვავებულ ევროპულ საქართველოში ნატოს ბაზების მფარველობის ქვეშ და არ შეერწყან ჭაობში ჩამთრევ რუსეთის იმპერიას რუსული ბაზების დაცვის ქვეშ?!“** კი, საქართველოს უწინდელ და ამჟამინდელ ხელისუფლებაშიც ბევრი სულელია, რომლებსაც არ გააჩნიათ ინტელექტი და სახელმწიფოებრივი აზროვნება, მაგრამ სრულებით გამორიცხულია, რომ ისეთი ფიგურები, როგორიცაა, ვთქვათ, ღარიბაშვილი ანდა ბოკერიაა, არ კითხულობდნენ ზემოდასახელებულ და ყველა მსგავს პუბლიკაციას, რომლებითაც სავსეა ინტერნეტი. მაშასადამე, მათ ყველაფერი კარგად იციან, ყველაფერი ესმით, მაგრამ საპირისპიროს ლაპარაკობენ. ესე იგი, ვიღაცას ასე სჭირდება...

გასაგებია, რომ ეს პიარი სჭირდება ბოკერიას, რათა **„ნაციონალები“** ხელისუფლებაში დააბრუნოს, მაგრამ რაში სჭირდება ის ღარიბაშვილს? ხელისუფლების სათავეში დასარჩენად? შეძლებს კი აშშ-ს საქართველოს მთავრობის დამხობას, თუ ის უცებ დაიწყებს პროქართული და არა პროამერიკული საგარეო პოლიტიკის გატარებას? შეძლებს, თუკი საქართველოს ხელისუფლება არ დაეყრდნობა ქართველ ხალხს!

აი რის ეშინია ღარიბაშვილს და ცდილობს ბალანსი შეინარჩუნოს, რათა ეტაპობრივად მოაშოროს ხელისუფლებას ზემოჩამოთვლილი მოწინააღმდეგენი! აი რატომ იყო, რომ 28 ოქტომბერს, უშიშროების საბჭოს სხდომაზე ის მარგველაშვილთან მივიდა! პრემიერი ღარიბაშვილი ვერ გაუძლებს ომს ერთდროულად ყველა ფრონტზე, პრეზიდენტ მარგველაშვილთან დროებით დაზავება კი მას წერტილოვანი იერიშის საშუალებას აძლევს მარგველაშვილზე გაცილებით საშიშ მოწინააღმდეგზე – თავდაცვის მინისტრ ალასანიაზე, რომელსაც დიდი ხანია ღრმა საიდუმლო კავშირი აქვს ცე-რე-უ-სა და პენტაგონთან!

საიდუმლო შეხვედრები **„ნაციონალების“** ლიდერებთან უცხოეთში, საყვარლებთან ერთად ვოიაჟები ევროპაში საბიუჯეტო ხარჯებით; ჩაჯიბული ფულები, რომლებიც მას ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს საპარლამენტო არჩევნებისთვის მისცა, რის შედეგადაც **“ქართულმა ოცნებამ“** სამეგრელო წააგო; მისდამი დაქვემდებარებული თავდაცვის სამინისტრო, სადაც დღემდე მუშაობენ პოლკოვნიკ თეთრაძის მკვლელები; და აი ბოლო კვირის მთავარი სკანდალი: თავდაცვის სამინისტროს 5 დაკავებული მაღალჩინოსანი, რომელთა წყალობითაც ქართული არმია დაახლოებით 5 მილიონით გაღარიბდა... ალასანიას წინააღმდეგ მთელი ამ კომპრომატის ამოქმედების დრო დადგა, აი რატომ დაძლია თავი სამაგალითო მეოჯახე ღარიბაშვილმა სამშაბათს – თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავების დღეს – მივიდა მარგველაშვილთან ავლაბრის რეზიდენციაში, რომლის მინის გუმბათსაც კარგად ახსოვს სააკაშვილის ორგიები, შემდეგ კი მოხსნა ალასანია...

ახალდაქორწინებული მთავარსარდალი მარგველაშვილი კი ხალხის ფულით მთელს მსოფლიოში იმოგზაურებს მეუღლესთან ერთად და განმარტოებით წინდებსაც მოქსოვს უზარმაზარ გაბრდღვიალებულ სასახლეში, სანამ საქართველოს პოლიტიკური ლიდერი ღარიბაშვილი და საზოგადოებრივი ლიდერი ივანიშვილი არ გამოიჩენენ პოლიტიკურ ნებას – არ დაეყრდნობიან პატრიოტებს – უმწიკვლო ბიოგრაფიის მქონე წესიერ პროფესიონალებს, რომელებსაც იცნობენ და პატივს სცემენ საქართველოში და რუსეთში, სოხუმსა და ცხინვალში, და ქართველ ხალხთან ერთად არ გაწმენდს საქართველოს ხელისუფლებას, საზოგადოებრივ სექტორსა და მედიას ანტისახელმწიფოებრივი ელემენტებისგან!

არნო ხიდირბეგიშვილი,
საქინფორმის მთავარი რედაქტორი

ადამიანებმა მგელს, ცოცხალი ვირი მიუყვანეს “სადილად”, თუმცა...

ჭკუის სასწავლებელი მაგალითი ადამიანებისათვის

ალბანეთის ჩრდილოეთით პატარა ქალაქ პატოკში დაიჭირეს მგელი და დაამწყვდიეს გალიაში. გარეული ცხოველი მშიერი რომ არ ყოფილიყო, ხალხმა გადაწყვიტა საკვებად მოხუცი ვირი მიეყვანათ, რომელიც ძალიან დიდ ხანს ემსახურებოდა თავის პატრონს, თუმცა როდესაც დაბერდა და აღარ შეეძლო ტვირთის ზიდვა, პატრონისთვის ის **“უვარგის ნივთად”** იქცა.

როდესაც ეს მოხუცი ცხოველი შეიყვანეს მგლის გალიაში, ვირმა მხეცს თვალებში შეხედა, მგელიც თვალს არ აშორებდა მას. ვერავის შეუძლია თქვას რა უხილავი კავშირი მოხდა მათ შორის, თუმცა ფაქტია, რომ გარეულმა ცხოველმა ვირი დაინდო და არ შეჭამა.

რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც გალიაში შეიხედეს, ვირი და მგელი, ერთმანეთის სიახლოვეს მშვიდად იდგნენ.

ჩვენთვის ეს წარმოუდგენელი რამ არის. ვერასოდეს გავიგებთ რა მოხდა ამ სრულიად განსვავებულ ცხოველებს შორის.

ფაქტია, რომ მშიერმა მგელმა დაინდო ვირი, მაგრამ ადამიანმა რომელსაც მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა ეს საცოდავი ცხოველი, გარეულ ცხოველს **“მიართვა”** სადილად.

დედამიწაზე არცერთ ცხოველს არ შეუძლია ისეთი სისასტიკის და დაუნდობლობის ჩადენა, რასაც ადამიანების უმრავლესობა სჩადის. ასევე ცამტვერდება ძველებური თქმა: “ადამიანი ადამიანისათვის მგელია”, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანმა გააკეთა ის, რაც არ გააკეთა მგელმა.

ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲐ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

მეხუთე: საყურადღებო და მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტი: ამ ხარისხის მსგავსება სახელების – ჰაერის და საკვების გამტარ ორგანოს სახელ ხახა-სი ხერხ, ხერხვა, ხეხვა-სთან მსგავსება, ხოლო, პლიუს ამას, ხმის აპარატის და ჰაერის გამტარ ორგანოს სახელ ხორხ-ის სრული იდენტურობა მეგრ. ხორხ-ი **„ხერხი“**-სთან მათი წარმოქმნის მექანიზმთა იგივეობაზე მეტყველებს. ეს სიახლე კი ნათელს ფენს საკითხს პრინვანდელობაზე ყია, ყრონტის ყ-სა და ხახა, ხორხ-ის ხ-ს შორის, პირველთა სამოგებოდ. როგორც უკვე ვიცით, ხმაბაძვითი სახელდება, ძირაითადად, მეტყველების მესამე პერიოდში ხდება, წ და ყ ბგერის ბაზაზე.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ – გა-გ-ება, გონ-ება, მო-გონ-ება, აზრ-ი, მო-აზრ-ება, აზრ-ოვნება და ა. შ. ნუთუ არ არიან **„სუფთა“** აბსტ. ტ-ები? რას უნდა დაუკავშიროთ ისინი? რადაგან მცნებები არიან და არა ობიექტის აღმნიშვნელნი თუ თავდაპირველი საგნის ან მოვლენისაგან გამოყოფილი თვისებების მქონე იდეალიზებული ობიექტების გამომხატველი სიტყვები.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – აზრი, აზროვნება ძვ. ქართ. არს სიტყვასთანაა კავშირში: რაც არს > არს-ი > არზ-ი > ფორმაცვლილებები და აბსტრაქციები სრულიად ბუნებრივია. იგივეა გა-გონება დან > გონ-ება.

თავად გონ-ება, მო-გონ-ება, გონ-იერი და ა. შ. სპეციფიური ხმაურის – გუგუნის გამომხატველ გ ბგერიდან არიან. ამას ამტკიცებს მეგრ. სპეციფიური ხმაურის გამომხატველი ს ბგერა, რომლიდანაც მიღებულია ს2მ2-ნი **„ხმა, ზვავი“**და > ს2მ2-ნი **„აზრი“**(იხ.გვ. 85). ამგვარ ტ-ებს მრავალს დავასახელებთ.

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘ – მართლაც, როცა ვკითხულობთ, გაიგონე? ვგულისხმობთ არა მარტო ყურით გაგონილს, არამედ აზრით შემეცნებულს, გაგებულსაც. ამგვარი აზროქრივი ტრანსფორმაციები შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

სპეციფიური გ... გ...ხმიანობებით მოცემული ხმაური – გუ-გუ-ნი > გა-გონ-ება > გონ-ება;

სპეციფიური ხმაური – ყურ-ყურ-ი > ყურ-ი **„სმენის ორგანო“**; ყურ-ი > ყრუ//მეგრ. „ყუნ-გა; მეგრ. ყუნ-გა > დ-ყუნ-გა > ტ-უნ-გა„სულელი“; ყურ-ი > მეგრ. ყურ-უ „უვიცი“;

ს...ს... ხმიანობებით მოცემული, სპეც. ხმაური > მეგრ.ს2მ2ნი„ხმა“ > ს2მ2ნი >„სმენა“ > ს2მ2ნი>**„აზრი“.**

ამ სახელქმნადობათა ერთნაირი პრინციპებიდან ამომდინარე, იმ დონის ურთიერთდამოწმებები არიან, აღწერილ პროცესებს დამტკიეცებულ ჭეშმარიტებად აქცევენ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – რაც შეეხება, ძვ. ქართ. არს სიტყვას, უნად ითქვას, შემდეგი: მეგრულში სტ. ზმნა რე **„არის“** გვხდება, აგერთვე ქო-რე და ო-რე ფორმებითაც. ქო მეგრ. მტკიცებითი ნაწილაკია და ქო + რე = ზედმიწევნით, კი + არის მ. ე. ო-რე მიღებულია, ავტორის მიერ აღმოჩენილ ხშირი მოვლენის – თავკიდურა, ხმოვნის წინარე თანხმოვნის დაკარგვის: ქო-რე > ო-რე. ამ ო-რე-ს შესატყვისია > ქართ ა-რს სიტყვა.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ – ეს ეწინააღმდგება ა. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებულ ქართ. > მეგრ. ა > ო მიმართულებას.

ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘ, ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘ – «დილეტანტური შენიშვნა»: არ ვიცით რას ეწინააღმდეგება, მაგრამ ფაქტია, ამიტომაც ჯიუტ არს.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ – როგორც ვიცით, მეტყველების მესამე პერიოდში წარმოქმნილი, რ ვიბრანტი მოძრაობას ხმაურს და, აქედან გამომდინარე, მისგან წარმოქმნილი რე ზმნა ყოფიერებას — სულიერი და უსულო რეალობას აღნიშნავდა. ქართ. რემა ცხენების ჯოგია. აშკარაა ეს სახელი ამ ჯოგის ჭენების ხმაურის ხმაბაძვის შედეგია. ადეკვატურობა კი რ ბგერის გამეორებითაა მიღწეული. ანუ წინაფორმა გახლდათ — რერა, რომლის მეორე რ მ სონორით შეიცვალა: რერა > რემა. სახელდების იგივე პრინციპი ამუშავდა ქართ. მეგრ. ურა „კვიცი ან ცხენი“-ს შემთხვევაში. მეგრულში, ურა-ს აღნიშნულმა მნიშვნელობამ მოგვცა ენერგიული დაუოკებელის გაგება: ურა კოჩი = ენერგიული დაუდეგარი კაცი. ყოველივე, აქვეთქმული, უფლებას გვაძლებს დავუშვათ: მეგრ. ლ2მა „ომი“ რ ბგერის მიერ ხმაურის მნიშვნელობის ქონების შედეგია და მიღებულია რ2რა წინაფორმიდან, რ>ლ და რ>მ მონაცვლეობით: რ2რა > ლ2მა „ომი.“

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ – სონორები, ხშირად, მონაცვლეობენ: ვიბრანტი – რ, ლატერალი – ლ და ნაზალი – ნ კი იმდენად ხშირად, რომ მათ მონაცვლეობას ბრუნს (როტაციას) უწოდებენ. ამიტომ, რომელიმე თაგანის დასაბამისმიერობის დადგენა შეუძლებელია. ასე რომ, ზემოთადნიშნულ, რ2რა > ლ2მა პროცესს აკადემიური საფუძველი, ნამდვილად, არ გააჩნია.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – რ ბგერის თაობაზე ჯერ კიდევ პლატონი მიუთითებდა: ...**“ᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲑᲒᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲝ.“** ლაიბნიცმა კი ბრძანა: რ ბგერა მოძრაობის გამომხატველიაო და სწორიცაა, რადგან ამას მხარს უჭერს ინდოევროპულ-ქართველური ლექსიკა. თქვენ კი, ბ-ნო ენათმეცნიერო, ნაშრომის დამუშავების სურვილში, თქვენივე ბავშვური ეგოიზმი ანუ **„საყმაწვილო სენი“** ხელს რომ არ გიშლიდეთ, **„გ. თ-ის“** 88 გვ-ზე წაიკითხავდით: **„...ლათ. რუგიო „ᲦᲛᲣᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲝᲛᲘ“**, ... ირლ. რუხტ **„ᲦᲛᲣᲘᲚᲘ“**... ამ პირველი მნიშვნელობებიდან, ბუნებრივია. ვითარდება ცხოველთა სახელები, კერძოდ ლომისა: სომხ. არივს **„ᲚᲝᲛᲘ“**; ძვ ისლ. რაუკნ **”ᲨᲔᲡᲐᲑᲛᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ.”** ... იხ. გამყრელიძე-ივანოვი **„ᲘᲜᲓᲝᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲔᲑᲘ“** გვ 511.

ნათელზე უნათლესია: ლათ. რუგიო, ირლ. რუხტ და ძვ. ისლ. რაუკნ-ს და სომხ. არივოს თანხმოვნებთან, მხოლოდ-დამხოლოდ, რ სონორი ანათესავებთ. ხოლო რაკი დასახელებულ, ლათინურ-ირლანდიურიდან ძვ. ისლ. და სომხური ვითარდება, ფაკტია: ყველა ამათში რ ბგერა დასაბამისმიერია.(აგრეთვე შდრ. ძვ. სლ. რუჩო **”ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘ”**; ძვ. რუს. რუატი **”ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘ, ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ”**; ძვ. ინგლის. რეოკ **”ᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ.”**; ძვ. გერმ. როჰონ **„ᲦᲛᲣᲚᲘ“;** ლიტ. რუკტი **”ᲦᲛᲣᲘᲚᲘ”;** ძვ სლ რუკატი **”ᲦᲛᲣᲘᲚᲘ”**\\ რუს რიკ...საერთო ი. ე. ფუძეა — რეუკ). ეს უცილო ფაქტი – ლომის აღმნიშვნელ ი. ე. სახელებში რ ბგერის დასაბამისმიერობა, ამ უკანასკნელს, ქართ. მეგრ. სიტყვების – ლომ-ი//ჯილ-ოს თანხმოვანთა წინაპრად აღაზევებს, რადგან, პლიუს ამას: ეს თანხმოვნები რ ბგერის ექვივალენტი ბგერები არიან. ე. ი. ქართველურ სიტყვათა პრეფორმებიდან განხორციელებული – რორ > რომ > ლომ; რირ > ჯილ უტყუარი დამოწმებაა თქვენგან უარყოფილ რ2რა > ლ2მა პროცესისა.

ქართულში მხოლოდ იმაშია განსხვავება, რომ ავტორის მიერ ხშირად აღწერილ მოვლენასთან – ხმოვნისწინა თანხმოვნის დაკარგვასთან გვაქვს საქმე: რ2რი > 2რი > ომი.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ – რამდენადაც გამეგება, მეგრ. ლ2 = ეცემა, ვარდება (ქვა ეცემა ან თოფი ვარდება). საწყისი ამ ზმნისა იქნება ლაფა **„ᲡᲠᲝᲚᲐ“**, რომელსაც ომი, თავისი მნიშვნელობით, უფრო ესადაგება, ვინემ ხმაურს. ავტორს კი, რომელიც რაც შეიძლება უკან – შორს წარსულისკენ ექაჩება ქართველურ სახელებს, მინდა ვუთხრა: ისრების სროლას, მაინცადამაინც, ძლიერი ხმაური არ ახლავს. ასე რომ მხედველობაშია ახლო წარსულის სროლები.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ – ჰ-ის ჯოგი ომობს სახელდახელო იარაღებით: ქვების სროლითა და ჯოხების ლაწა-ლუწით, ყვირილ-ყიჟინით და ჯოგის ხმაურიანი სირბილით, რაც ქმნის პირველი ომების საზარელ საერთო ხმაურს. ეს ყველაფერი ომის სახელდებისთვის ეტიმოლოგიურ ამოსავლადაა მრავალ ენაში, ხოლო მათში სროლასთან დაკავშირებული სახელდება ომისა, როგორც პარალელი ქართველურთან, ჩვენთვის უცნობია.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – ქართველურში და ბევრ სხვა ენაშიც ომთან დაკავშირებული სახელები – ომი, სიკვდილი, საომარი კიჟინი და ა. შ. ურთიერთკავშირშია. მაგრამ, რაც უმნიშვნელოვანესია, ამოსავალი მნიშვნელობა, ბევრ შემთხვევაში, ქართველურშია. მაგ: მეგრ. ღორა >// ღვარა **„ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ“** და > ღურა **“ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ”,** აშკარაა, ურთიერთკავშირშია. იგივეა ქართ. ყვირილი და >სიკვ(დ)ილ-ი (ყვირ > კვილ). შდრ კვლა; შდრ. მეგრ. ყვილ-უა < ყვილუა. (ყვილ < ყვირ)

მეგრღორა >// ღურა ხმოვნისწინა თანხმოვნის მოკვეცით, ეს როგორც ზემოთ რ2რი > ომის შემთხვევაშია, იძლევა ღორ-ა > ორა-თ „სლ. ყვირილს“ და ღორ-ა > ურა „სლ. საბრძოლო ყიჟინას;

მეგრ. ბუძოლ-ი „ხმაური“> ქართ. ბურძოლ-ა >// ბრძოლ-ა (ბურძ > ბრძ);

მეგრ. ყურ-ა>// ჰურ-ა „სამგლოვიარო ყმუილი ადამიანისა, მგლის ყმუილი“ და აქედან, თავკიდურა თანხმოვნის მოცილებით, და უ–ს ლაბიალიზაციით, გამარტივებით (ყურ-ა > ღორა >// ღურა > უა >) > ქართ. მეგრ ვა, ქართ. ვაი, მეგრ.\\ ვავას და ვოი „სლ. ყმუილ“-ს გვაძლევს. აქედანაა სლ. ვოი-ნა და ინგლ. ვოო „ომი.“

მეგრ. ღორა-ას ღ ბგერის წინარეა ქართ. ყვირ-ილის ყ, ხოლო ვი ო ხმოვნის დაშლის შედეგია. ყვირ-ილის არსებობს მრავალი ფორმა მაგ: ყრიყ-ინი, ყროყ-ინი. ეს უკანასკნელი, როგორც ცხოველის, ასევე, ადამიანის ხროტინიცაა. ძირი ამ სიტყვისა — ყროყ სლავურში გვაძლევს კანონზომიერ შესატყვის ფორმას – კრიკ სიტყვის სახით = ძახილი, „ყვირილი“. კრიკ > კრიგ კი გერმანულში ომს აღნიშნავს.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ – როგორც ვხედავთ, აღწერილ მაგალითებში არამარტო ფონეტიკური და სემანტიკური, არამედ, რაც უმთავრესია, თანხვედრებია სახელდების პრინციპებში, თანაც სისტემურად.

Историк -- Как видим в описанных примерах не только фонетические и семантичесие совпадения, но и совпадения в принципах наименования, и притом системные.

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ – ამდენი ფაქტორებით განპირობებული თანხვედრები შეუძლებელია იყოს შემთხვევითი: ეს სიტყვები ქართველური წარმომავლობისანი არიან.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – მეგრულში, ენის ვიბრირებით, გაბმულად წარმოთქმული რ...რ... ბგერები ძლიერი ხამაურის აღმნიშვნელია. მაგ: მეგრ. რია, რია-რია, ერია-მორია; ქართ. აურ - ზაური, ზრიალ-ზრიალი და მეგრ. ररრ ერთიდაიგივეა. უდრის ძლიერ ხმაურს. ამითაა განპიროვნებული ამ ბგერის მონაწილეობა მთაგორიან მდინარიან სახელ – რუ, მდინარეთა ხმაურის აღმნიშვნელ – რაკ-რაკ და, შედარებით, დიდი მდინარის სახელში რიო-ნი, რომლის ზედა წელს, ძველად, ბერძნული წყაროებით რუ ერქვა. რიო-ნი-ს ამ ნაწილის სახელი კი, ზემოთქმული განპირობებულობის თუ სესხების გამო, არგენტინაში (რიოკოლორადო, რიონეგრო); ამერიკაში (რიოგრანდე, რიობერმეხო); ესპანეთში და სხვა ქვეყნებშიც მდინარის აღმნიშვნელი სახელია.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ – პორტუგალიელ ზღვაოსნებს გუანაბარის უბე ზღვას მიერთებული დიდი მდინარე ეგონათ. ამიტომაც, დაარქვეს რიო-დე-ჟა-ნეირო – **„მდინარე იანვრისა“.**

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – სხვათაშორის, ჟა-ნეიროკოლხურისიტყვაა: ჟამეგრულში, მოფერებით, დღესაც მზეა. ნერა დამცხრალს, სწორს, მდორეს აღნიშნავს: ნერაწყარი = მდორეწყალი; ტოპ. ზუგდიდისრ-ში – ნარაზენი = ნარა//ნერა + ზენი „ვაკე“; მოწოდება: ნერას! = „მშვიდად!“ ამგვარადჟანეირო = „მცხრალმზეს, იანვარს.“

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ – სამეტყველო ბგერათა რაოდენობა რაღაც ათეულია. ენათა რიცხვი კი 3000 აჭარბებს. ამიტომ, მოსალოდნელია, ნებისმიერი დამთხვევა. ხოლო ქართ. იანვარი// მეგრ იანარი ლათინური ნასესხობაა, ცის, მზის და ა. შ. ღმერთის სახელ იანუს-იდან (ძვ.წ. მე-7 ს.).

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ – ძვ. ქართ. იანვარ-ს აპნისი ერქვა. უდაოა, კოლხურშიც იყო ამ თვის სხვა სახელდება. რაა ალოგიკური იმაში, რომ, სწორედ იბერიის ნახევარკუნძულზე, ძვ. წ. ა. მე-7 ს-ის იქითა პერიოდში მიგრირებულ იბერების – კოლხების სიტყვაა ჟა-ნეირო, შემორჩენილი პორტუგალიურში. გარდა ამისა, აქ საქმე გვაქვს ენებში არა – ბგერათა, არამედ ხდომილობასთან ბგერათკლომპლექსისა, რომელიც, დამტკიცებულად, არ წარმოადგენს ბგერათა უბრალო ჯამს, არამედ ფუნქციების მქონე ბგერათა კავშირია. პლიუს ამას, თანხვედრაა მნიშვნელობისა და სახელდების მოტივაციისა. ამდენი ფაქტორებით განპირობებული თანხვედრები კი შეუძლებელია იყოს შემთხვევითი.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – ჟან-ნეირო-ს პრინციპითაა სახელდებული:

და-მორჩილ-ი = მეგრ. და < დღა\\დღე + მორჩილი«მცირე» = „მცირე დღე;

ზა-ფხ-ულ-ი = ზა//ძვ. ქართ. მზა//მზე + ფხ „სითბოს აღმნიშვნელი ძირი(ჯავახიშვილი); ზა-ფხ-ულ-ი = თბილ მზეს.

ამგვარად, ეს სამი სახელი: ჟა-ნეირო, ზა-ფხ-ულ-ი და და-მორჩილ-ი ურთიერთ მადასტურებელნი არიან.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ – გამოგრჩათ ზამთარი: ზა„მზე”+ თარი//< მეგრ. თირ-ი„თოვლი ანუ ცივი.”ზა-მ-თარ-ი – „ცივი მზე;”მეგრ. ზო-თონჯ-ი == ზო „მზე” + თონჯ-ი > მეგრ. თინჯ-ი„დინჯ-ი” – „დინჯ-ი მზე ანუ მცხრალი მზე.” თუმცა ეს ფაქტები დამთხვევებს მაინც ვერ გამორიცხავს.

ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘ, ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘ – „ ნებისმიერი”მიხვდება: პორტუგ. ჟა-ნეირო-ს იანვარი იმიტომ რქმევია, რომ ეს თვე ზამთრისაა. ამიტომ მზეც ზამთრისაა ანუ მცხრალია. ბატონებო, ეს ფაქტია.

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘ – ამ სიტყვის კოლხურობა, თავისთავად, ფაქტზე მეტი მნიშვნელობისაა: იმაზეც მიუთითებს, რომ კოლხურ-ესპანურ-პორტუგალიური ენობრივი მიმართებები ბოლომდე შეუსწავლელია.

ᲐᲜᲗᲠᲝᲞᲝᲚᲝᲒᲘ – დასახელებულ ენობრივ თანხვედრებში გასაკვირი არაფერია, რადგან პირინეის, იგივე იბერიის ნახევარკუნძულზე „...ესპანური მოსახლეობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იბერთა ტომებმა, რომლებმაც... შექმნეს ალმერიის კულტურა”...(იხ. ქსე გვ.230).

ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘ – ბასკები კი, სისხლის გენეტიკური ანალიზებით, დამტკიცებულად, კოლხები არიან.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – «ალ-მერ-ია ერთ-ერთ-ი უძველესი ქალაქია პირინეის ნახევარკუნძულზე.” ამ სახელში, განსაკუთრებით, საყურადღებოა კოლხ. მერ ძირი, რომელიც ტოპონიმიკაში უხშირესია საქართველოშიც და მის საზღვრებს გარეთაც. მაგ. მა-დრიდ-ი დასაშვებია მარ-დიდ-ი//მერე-დიდ-ი „ჭალა დიდი“ ყოფილიყო (მარ//მერ). ეს ორი სახელი(ალ-მერ-ია, მა-დრიდ-ი) დიდ მნიშვნელოვანი პარალელია შუმერულ მარ-ა-დი და ქართვ. მერე (ზუგდიდის რაიონი), მერე-თი (გოროის რაიონი), მერ-ია (მახარაძის რაიონი)-თან და ა. შ.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ – რაც შეეხება პორტუგალიის უძველეს მოსახლეობას – ლუზიტანიელებს, მათ თავიანთ სახელში მოგვცეს უტყუარი ცნობა იმის თაობაზე, თუ ვინ იყვნენ: ლუზი-ტა-ნიელების ლუზიტა > იგივე დღევანდელი ლაზი-თა ანუ ლაზის ტერიტორიაა: ლუზი >// ლაზი + მეგრ. თი//თა .= ლაზის ტერიტორიას, სახლკარს.

ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘ, ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘ – შეუძლებელია, ამ სახელის ამგვარივე ახსნა უკვე არ ყოფილიყო გაკეთებული, რადგან საწინააღმდეგოს დაშვება მეცნიერათა მიერ ამგვარი თვალსაჩინო, „ნებისმიერს რომ თვალში მოხვდება“, ისეთი ფაქტის უარყოფა ანუ ნიჰილიზმი უფრო იქნებოდა.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ — ხა... ხა...ხა... როგორც ვხედავთ, ინდოევროპა გააკოლხეთ, მაგრამ ეს როგორ უნდა მომხდარიყო მაშინ როცა მეცნიერთა მიერ (ჯავახიშვილი, ჯანაშია, და ა.შ.) კოლხეთის საზღვრები დადგენილია და იგი, ძირითადად, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ – უძველეს წარსულში, კოლხეთი დიდი და ძლიერი ქვეყანა, ხოლო კოლხურის გავრცელების არეალი უფრო დიდი რომ იყო, ამაზე საქართველოს ტერიტორის გარეთ შორს განფენილი კოლხიზმები მეტყველებენ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – მაგ: ტოპ. აზერბაიჯანში მინგ-ეჩა-ურ-ი სამწილედი სახელია და მინგ = მეგრ. სვ. მანგ **„ᲡᲬᲝᲠᲘ“;** ეჩა = მეგრ. ოჩე „დიდი, დიდი ყანა“; (მეგრ. სიმღერის სახელი **„ᲝᲩᲔᲨ ᲮᲕᲔ ᲓᲝ ᲮᲕᲐᲠᲘᲔᲚᲘ» = «ᲓᲘᲓᲘ ᲧᲐᲜᲘᲡ ᲮᲕᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲐᲥᲐ”**) ურ-ი = უხშირესი სადაურობის სუფისი“. მინგ-ეჩა-ურ-ი = „ვაკე დიდ საყანე ადგილს“;

მინგეჩაურის ასლია ხელვაჩაური: ხელ იგივე ხორ + ვაჩა იგივე ოჩე + ურ-ი = დიდი სამოსახლო.

სუმ-გა-ი-თი, მკვლევართა აზრით, = სუმ „სამი“ + გა„ქედი“ + თი „ტერიტორია“ = სამი ქედის ჰიდრონიმი ა-ლა-ზან-ი მეგრულია, რადგან ა-ლა-ზონ-ი მეგრულში ქორფა მცენარეულ ადგილს აღნიშნავს (იხ. გვ.); ტერიტორია. ან სუმ, შეიძლება იყოს სან//ზან ძირის ექვივალენტი, მნიშვნელობით ჭანის//ზანის ქედის ფორმის ტერიტორია; სან-გა-ჩალა = სან //ზან + გა „ქედი“ + ჩალა „ჭალა“ = სანების ქედის პირა ჭალას (შდრ.ნებთი-ჩალა);

ბაქო, აზერბაიჯანულად არის ბაკი. ეს უკანასკნელი, ქართ. მეგ. „ცხვრის სადგომია“. საინტერესოა, რომ ქართ. ბილიკ-ი, სახეცვლილი, მეგრ. ბაკილ-ია, რაც, „დატკეპნილს“ აღნიშნავს (ბილიკი დატკეპნილი მიწაა). სწორედ ამ მეგრ. ბაკი-ლის „დატკეპნილის“ ბაკი გახლავთ ბაქო (გალის რ-ში არის ს. ნა-ბაკ-ი). როგორცა ჩანს, აზერბაიჯანელებს (ყოფილ კოლხებს) ძველად ბაქოს სანახებში ცხვრის სადგომი ბაკი ქონდათ, რომელიც, რა თქმა უნდა, ბაკი-ლი „დატკეპნილი იქნებოდა.

თავად აზერბაიჯანის, როგორც ქვეყნის ძველი სახელი – ალბანეთი-ც კოლხურია.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ – კავკასიისა და ბალკანეთის, ალბანეთის ალბ//ალპ ნაწილი მთიანეთის აღმნიშვნელ ი.ე. ძირიდანაა ამოსული...

ᲔᲓᲔᲛᲘ ᲘᲖᲝᲠᲘᲐ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

“ქართული რაგბის ისედაც მწირ ისტორიას უსამართლოდ ჩამოაჭრეს 12 წელიწადი”

საქართველოში რაგბი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტის სახეობაა. თუმცა აქამდე ის დიდი ბრძოლით, წვალებითა და სისხლსავსე ცხოვრებით მოვიდა. მის სათავეებთან ბევრი ღირსეული მორაგბე, ფუქციონერი თუ ქომაგი იდგა, რომლებმაც ოვალური ბურთით თამაშს ბოლომდე უერთგულეს, ლელო ბოლომდე გაიტანეს.

ქართული რაგბის პიონერი, რომელთანაც უშუალოდაა დაკავშირებული სპორტის ამ სახეობის ჩვენს ქვეყანაში განვითარება, გივი მრელაშვილია, რომელსაც ახლახან 77 წელიწადი შეუსრულდა.

– 77 წელი საიუბილეოდ არ ითვლება, მაგრამ ხუმრობით ვიტყვი, ორი შვიდიანი უფრო მიმზიდველად მოჩანს, ვიდრე 80. ამ ქვეყნად დარჩენილი მეგობრები ვეუბნებით ხოლმე ერთმანეთს დათქმულ მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით: **“თუ დამაგვიანდეს, დიდი ხანი არ დამელოდოთ”.**

– საინტერესოა, როგორ მოხვდით რაგბიში?

– გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ვსწავლობდი მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში (ამჟამად – მართვის ინსტიტუტში). ვთამაშობდი ინსტიტუტის კალათბურთის გუნდში. ერთი წარუმატებელი მატჩის შემდეგ, ჩემს მეგობარ გოგონასთან, რომელიც თამაშს ესწრებოდა, გამოვთქვი უკმაყოფილება მწვრთნელით და ვუთხარი, რომ მინდოდა თავი დამენებებინა კალათბურთისთვის.

მოულოდნელად მან მითხრა, რომ იცის ანალოგიური შემთხვევა, როდესაც მისმა ერთმა მეგობარმა მწვრთნელის გამო თავი დაანება ჰოკეის, წავიდა რაგბიში, რომელზეც ახლაც ჭკუიდან იშლება. მე ვთხოვე გაეგო იმ ახალგაზრდის კოორდინატები. ის აღმოჩნდა იმდროინდელი რაგბის მომავალი ვარსკვლავი სერგეი სელიხოვკინი, დავუკავშირდი. სერგეიმ მიმიწვია სავარჯიშოდ ლეფორტის პარკში მდებარე არმიელთა სტადიონზე. იქ გავიცანი რაგბის პიონერები, მათი თავკაცი და საბჭოთა რაგბის **“მამად”** აღიარებულ ანატოლი სოროკინი. ეს მოხდა 1959 წლის ივნისში.

იმავე წლის ოქტომბერში ჩატარდა ტურნირი, რომელმაც დასაბამი მისცა რაგბის განვითარებას საბჭოთა კავშირში. დეკემბერში კი მოსკოვში შეიქმნა რაგბის პირველი ოფიციალური ორგანო, რაგბის სექციის (ფედერაციის) ორგბიურო, რომლის შემადგენლობაში მეც ამირჩიეს. ამ თარიღებთან დაკავშირებით მოსკოვში გამოიცა ბუკლეტი, საიდანაც ამოღებული რამდენიმე მასალა **“ლელომ”** გამოაქვეყნა კიდეც.

– რას იტყოდით რაგბიში გატარებულ წლებზე, რა მოგცათ მან?

– ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი, მაგრამ საგაზეთო ფორმატში ვერაფრით ვერ ჩავეტევი. თუ დამცალდა, მინდა მოგონებები დავწერო. მოკლედ კი გეტყვით, რომ ეს იყო გზა ჯოჯოხეთიდან სამოთხისაკენ. როცა რაგბისთან **“დავიჭირე კავშირი”**, ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი დროებითი გატაცება იყო და მეტი არაფერი.

მაგრამ გამოვიდა ისე, რომ 1959 წლის გაზაფხულიდან, როდესაც რაგბის პირველ ვარჯიშზე მივედი, თითქმის ოცი წლის განმავლობაში, ჩემი ძირითადი სამუშაოს პარალელურად, რაგბიში ვასრულებდი სხვადასხვა ერთმანეთისგან განსხვავებულ **“სამუშაოს”**: ჯერ მოსკოვში, როგორც სსრკ-ს რაგბის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი ვმონაწილეობდი მოსკოვსა და სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქში რაგბის დანერგვის ღონისძიებებში (სემინარები, საჩვენებელი თამაშები, შეჯიბრებები), თბილისში კი, – ერთდროულად ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ ფედერაციას ვთავმჯდომარეობდი, თან ვმწვრთნელობდი, ხან ვმსაჯობდი, ხან ფედერაციის სხვა წევრებთან ერთად, ფორმების ან ბურთების შესაკერად დავრბოდი, ხან სავარჯიშო ან საშეჯიბრო სტადიონების მოსაპოვებლად, ხან სარეკლამო აფიშების შესაკვეთად, ხან რადიოში, ხან ახალგამომცხვარ ტელევიზიაში, ღამეებს ვათენებდი, წერილებს ვამზადებდი და დილით ვუგზავნიდი სხვადასხვა ბირჟაზე გაცნობილ **“დამრტყმელებს”** ან აბანოში გაცნობილ ტანაღნაგოვან ბიჭებს და ასე შემდეგ.

ჯოჯოხეთური შრომა იყო, მაგრამ ამ გადმოსახედიდან რომ ვუყურებ, ამად ღირდა.

– აღნიშნეთ, ჯოჯოხეთური ოცი წელი გავიარეო. რა იყო იმაზე ადვილი, ამდგარიყავით და მიგეტოვებინათ რაგბი?

– მეც მიკვირს. ერთ მწერალს აქვს ნოველა, ციხიკურთან მიახლოებული ანალოგიურ თემაზე, ანუ იმაზე, რომ ადამიანს აქვს აღტაცების პერიოდი, რომლის დროსაც ის რაღაცას ქმნის, მაგრამ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, მისთვისაც გაუგებარია, რა ზეძალა ამოძრავებდა მას, თითქოს ეს ქმნილება სულაც მან კი არა, სხვამ შექმნა.

ჩვენც, რაგბის ვეტერანებიც, ასე ვართ. მართლაც საიდან მოვიდა ის მოულოდნელი სურვილი და ენერგია, რომელმაც გვაიძულა, ჩვენი ახალგაზრდული ასაკისათვის შესაფერი მყუდრო, უხიფათო და გაკვალული გზის, ანუ კარიერის მაგივრად თავდაყირა გადავშვებულიყავით.

– რაგბის მოყვარულებს და არა მხოლოდ მათ შორის მუდმივად მიდის კამათი, როდის და ვინ შემოიტანა რაგბი საქართველოში?

– რაგბის ბურთი გასული საუკუნის დამდეგს გამოჩნდა საქართველოში და ეს სხვადასხვა ზეპირი წყაროებით დასტურდება. თუმცა მისი გამოჩენა დაკავშირებულია არა ქართველებთან, არამედ ფოთსა და ჭიათურაში საქართველოში ჩამოსულ ინგლისელ მეზღვაურებთან და ინჟინრებთან.

წინა თაობებისგან გაგვიგია, რომ იყო რაგბის გუნდის შექმნის ამაო მცდელობები სხვადასხვა პერიოდში, მაგრამ, რაიმე სერიოზული ვერსია, 1947 წლამდე, არ არსებობს. მე ყოველთვის ვიყავი ამ თარიღის, როგორც რაგბის საქართველოში დაბადების წლის, მომხრე. ჩატარდა ოფიციალური ტურნირი, – სხვა რა დამამტკიცებელი საბუთია საჭირო?

ჩემთვის გაუგებარი იყო რაგბის მესვეურთა გადაწყვეტილება, როდესაც ამოსავალ წერტილად აიღეს 1959 წელი, რითაც ქართული რაგბის, ისედაც მწირ ისტორიას, სრულიად უსამართლოდ ჩამოაჭრეს 12 წელიწადი.

– ჩვენ ხომ 2009 წელს დიდი ზარზეიმით აღვნიშნეთ 50 წლისთავი, რადგან ათვლის წერტილად ავიღეთ 1959 წელი. გამოდის, რომ ტყუილად ვიზეიმეთ?

– ასე გამოდის! არ უნდოდათ იმის აღიარება რომ რაგბი **“დაიწყო”** საქართველოში არა 1947 წელს საბჭოელი რუსის ინიციატივით, არამედ ფრანგი იმიგრანტის წყალობით. თუმც, მაინც, ვერ ასცდნენ რუსეთს: **“კომსომოლკაში”** გამოქვეყნებული სტატია აქ გამხდარა რაგბის გუნდის შექმნის მოტივაცია.

ჟაკი მართლაც დაგვიკავშირდა მოსკოვში, მაგრამ ჯერ ერთი, ეს იყო 1960 და არა 1959 წელს, და მეორეც, მართალია, მან შექმნა გუნდები, მაგრამ მას შემდეგ, რაც სავარჯიშოდ იპოდრომის გარდა, სხვა ვერაფერი ვერ მოიპოვა, თანაც გუნდის შეჯიბრებაზე გაგზავნის კი არა, მოსკოვის სემინარზე გასამგზავრებელი თანხაც არ მისცეს, – მიატოვა რაგბი. ისევე, როგორც ადრე მოუვიდა ბევრ სხვას.

ჩემი ჩამოსვლისას თბილისში 1961 წლის შემოდგომაზე, რაგბის მონომეტრი უჩვენებდა ნულს, ხოლო ასპეკიანის სარაგბო ბიოგრაფია მთლიანად დაკავშირებულია იმ ღონისძიებებთან, რომელიც შემდგომ დასახა თბილისში ოფიციალურად დაფუძნებულმა რაგბის ფედერაციის (ადრე სექციას უწოდებდნენ) ორგბიურომ. სახელმწიფომ მაშინ ცნო რაგბი და ის შეიტანეს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში, რაც თავისთავად, დაფინანსებასაც ნიშნავდა.

სხვა წვრილმან-მსხვილმანებს არ შევეხები; აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მე დიდი სტატია დავწერე გაზეთ **“ლელოში”** სათაურით: **“გაკვირვებული ვარ, რატომ აწერენ ჩემს ნამოღვაწარს ასპეკიანს”.** ახლაც მიკვირს, რას ემსახურება ეს ყველაფერი. რატომ აწერენ ამ კაცს იმას, რაც მას არ გაუკეთებია და თვითონაც ამაზე პრეტენზია არა ჰქონია.

– ხომ ვერ გაიხსენებდით, ერთი მხრივ რომელმა შეჯიბრებამ მოგანიჭათ ყველაზე დიდი სიხარული და მეორე მხრივ – სინანული?

– სიხარული მომანიჭა ყველა შეჯიბრებამ, რომელსაც წინამდებარედ სიტყვა **“პირველი”** უძღოდა: პირველი გასვლა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, საქართველოს პირველი ჩემპიონობის მოპოვება, პირველი თამაში საზღვარგარეთ და ვარშავაში გამარჯვება, **“დინამოს”** პირველ საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლების მოპოვება, პირველი უნივერსიადის ვიცეჩემპიონობა. სიხარულისა და სინანულის გრძნობა ერთდროულად მქონდა საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. სიხარულის, რომ მეორე ადგილზე გავედით, და სინანულის, რადგან გადამწყვეტი თამაშის მოგების შანსი ხელიდან გავუშვით. წავაგეთ 3:5. თანაც ირაკლი კიზირიამ, რომელიც შესანიშნავ ფორმაში იყო, ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ეჰ, ჩემპიონობას მაინც სხვა გემო აქვს.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალეძსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

მსახიობი გურამ ფირცხალავა გარდაიცვალა

74 წლის ასაკში ცნობილი ქართველი მსახიობი გურამ ფირცხალავა გარდაიცვალა. გურამ ფირცხალავა 1940 წლის 18 თებერვალს ფოთში დაიბადა. 1966 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. 1966 წლიდან მუშაობდა გორის გ. ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში, შემდეგ კი თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. 1972 წლიდან გურამ ფირცხალავა კინოსტუდია **“ქართული ფილმის”** მსახიობი იყო და კინოფილმებსა და სპექტაკლებში ბევრი როლი აქვს შესრულებული.

ინჟინრების ოჯახი. ქმარი ცოლს ეუბნება:

– დედამიწის გარშემო რამდენიმე ფენად სპილენძის მავთულს თუ შემოვახვევთ, ცვლადი დენის გენერატორი გამოვა.

– დღესაც დათვერი, არა? ცვლადი კი არა, მუდმივი დენის!

* * *

კახეთში ქელეხია. მიტომ ხაშლამის ჯერ ერთი ნაჭერი გადმოიღო, მერე – მეორე, მერე – მესამე. შაქრომ ვეღარ მოითმინა:

– გეყოფა, ჯო! თეფშზე ძვლების დასაყრელი ადგილი მაინც დატოვე!

* * *

ავადმყოფი საოპერაციოდ გაამზადეს, ქირურგმა სკალპელი მოიმარჯვა.

– არ გაჭრა, ექიმო, არ დაიწყო ოპერაცია! – შემორბის ასისტენტი. – ავადმყოფს ოპერაციისათვის სერიოზული უკუჩვენება აღმოაჩნდა.

– რა უკუჩვენება?

– მთელი ღამე აბოდებდა, კაპიკი ფული არა მაქვსო.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დიმენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დიმენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარედ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ძოგალია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: **ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)**

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge